ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №5 (2023) 26.07.2006 • ფასი 30 თეთრი

# მესხეთი დარტყმის ქვეშ

## რამდენი მუსულმანი მოისწრაფვის საქართველოში დასახლებისაკენ?

მე-2-3 გვ.

## რას წარმოადგენს კანონპროექტი „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“

მე-3-4 გვ.

## წარსულის რამდენიმე ეპიზოდი

მე-4 გვ.

## რუსული პრესაც გვიტევს

მე-5 გვ.



## უთანასწორობანი ზეგანვითარებულ ქვეყნებში

### რაა პერსპექტივა?

მე-12-13 გვ.





## ნოდარ ნათაძე: როგორ გვიპირებენ კოდორის წართმევას

მე-6-7 გვ.



მე-16 გვ.

## ტყესაც ანადგურებენ




## საქართველოს და უკრაინის პერსპექტივები ნატოში

მე-15 გვ.

# რამდენი მუსულმანი მოისწრაფვის საქართველოში დასახლებისაკენ?

*ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ იმ მუსლიმანთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, ვინც ახლა საქართველოში ჩასახლებას ითხოვს, „რეპატრიაციის" (სამშობლოში დაბრუნება) ფორმით, საქართველო არ .არის სამშობლო („პატრია") არც ფსიქოლოგიურად, არც ფიზიკურად. მათი ძალიან დიდი პროცენტი იმავე 1944 წლის შემოდგომაზე სომხეთიდან გასახლებულ მაჰმადიანთა შთამომავლობაა. ბუნებრივია, რომ რუსეთის ხელისუფლება და მისი აგენტურა საქართველოში, რომელიც დღესაც სახელმწიფოს .საჭესთანაა, არ ამხელს და არ გაამხელს სომხეთიდან ჩატარებული გასახლების მომენტებს. ბ-ნი ა. მიქელაძის წერილი, რომელსაც ვაქვეყნებთ, ფაქტთა დაკონკრეტების ერთ-ერთი ცდაა შემოვლითი მეთოდით.* ნ. ნათაძე

## სამხრეთ კავკასიის რომელ რეგიონებიდან გაასახლეს მაჰმადიანები 1944 წლის დამლევს?

ოფიციალური წყაროებით 1944 წლის დამლევს ამიერკავკასიიდან მაჰმადიანების დეპორტაცია განხორციელდა მხოლოდ საქართველოდან, ისიც ძირითადად მის ძირძველ მხარედან „სამცხე-ჯავახეთიდან". ეს მცდარი ვერსია შემუშავებული ჰქონდათ და დაჭირდათ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს, რათა მათივე ინიციატივით უზბეკეთიდან გამოძევებული მაჰმადიანები მოენათლათ „თურქ-მესხებად" და განეხორციელებინათ მათი კომპაქტური ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში თუ არა, სხვაგან საქართველოში მაინც, როგორც მათ „ისტორიულ სამშობლოში". ამით სპეცსამსახურებს სურდათ ახლადჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოსათვის შეექმნათ კიდევ ერთი დესტაბილიზაციის კერა, რომელიც აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და აჭარის მოვლენებთან ერთად ხელს შეუწყობდა ქვეყნის ცალკე სამთავროებად დაშლას (იხ. ა. მიქელაძის „დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო, თბილისი, 2005).

იმისათვის, რომ სარწმუნო იყოს სამხრეთ კავკასიის სხვა საზღვრისპირა რეგიონებიდანაც მაჰმადიანების დეპორტაციის ფაქტი, მაშინ როდესაც ოფიციალური ხელისუფლებანი ამ ფაქტს არ ადასტურებენ, სასურველი იქნებოდა მოგვეპოვებინა აღნიშნულ რეგიონებში დასახლებული მაჰმადიანების რიცხოვნობის და ეროვნულობის ამსახველი მასალა დეპორტაციამდე და მის შემდეგ და მათი ურთიერთშედარებით დაგვედგინა, თუ რომელი რეგიონიდან რა რაოდენობისა და რომელი ეროვნებისა თუ ეთნოსის წარმომადგენელი გაასახლეს 1944 წელს. სამწუხაროდ, ამისათვის საჭირო მასალა ვერ მოვიძიეთ. უშედეგო აღმოჩნდა ჩვენი მცდელობა საჭირო მონაცემები მიგვეღო სომხეთისა და აზერბაიჯანის სტატისტიკურ დეპარტამენტებიდანაც.

პრობლემაზე მეტ-ნაკლებად სარწმუნო დასკვნების გამოსატანად გადავწყვიტეთ შეგვეჯერებინა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში მცხოვრები მაჰმადიანების რიცხოვნობისა და ეთნიკური შემადგენლობის ამსახველი ცნობები დეპორტაციამდე (1944 წ.) და მის შემდეგ მოსახლეობის საკავშირო აღწერების მასალების მიხედვით. ყოფ. საბჭოთა კავშირში, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოსახლეობის სრული აღწერა მაჰმადიანების დეპორტაციამდე განხორციელდა 39 წლის 17 იანვარს (იხ. „Численность населения СССР в 1939 Г." Изд-во Госпланиздат 1941 Г.). სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის არც ერთ წიგნსაცავში, მათ შორის საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოში და საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეს წიგნი არ აღმოჩნდა.

შემდგომი ძიების პროცესში ჩემს ხელთ აღმოჩნდა 1926 წელს მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალები და 1937 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განხორციელებული საგანგებო საკავშირო აღწერის ანგარიში, რომელიც გამოცემულ იქნა მხოლოდ 1991 წელს (ფერგანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ) საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სსრკ-ს ისტორიის ინსტიტუტის ეგიდით. ამ წყაროებიდან ამოკრეფილი მასალა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხოვნობის და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მოტანილია ცხრილში. მასში შეტანილია, აგრეთვე, მაჰმადანების დეპორტაციის შემდეგ 1959 წლის აღწერის და 1989 წლის ბოლო საკავშირო აღწერის შედეგები. ცხრილში მოტანილი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

I. 1926 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ირიცხებოდა 5895 ათ. კაცი, რაც შეადგენდა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 4,0%-ს. აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების ხვედრითი წილი თავიანთ რესპუბლიკებში შესაბამისად შეადგენდა: 78,9; 75,1 და 83%. ამას გარდა, სომხების წილობრივი მაჩვენებელი აზერბაიჯანსა და საქართველოში შესაბამისად შეადგენდა: 11,1% და 7,9%; აზერბაიჯანელებისა – სომხეთსა და საქართველოში – 10,8% და 6,6%, ხოლო ქართველების აზერბაიჯანში – მხოლოდ 0,4%, ხოლო სომხეთში კი უფრო ნაკლებს, ისიც იმის გამო, რომ 1921 წელს საქართველოს რევკომის გადაწყვეტილებით სომხეთს უკანონოდ გადაეცა ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილი (ლორე), ხოლო აზერბაიჯანს – ზაქათალის ოლქი (საინგილო) მოსახლეობითურთ.

ცხრილიდან ჩანს, რომ იმავე წელს აზერბაიჯანელების გარდა აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ: თალიშები (მოსახლეობის 4,8%), ქურთები (2,6%), ლაზები (2%), თათრები (1,3%), წახურები (0,9%) და სპარსელები (0,7%). სომხეთში ცხოვრობდნენ: ქურთები (2,3%), ანატოლიელი თურქები (0,2%), სპარსელები (0,8%), და აისორები (0,3%); ხოლო საქართველოში – ქურთები (0,2%), ლაზები (0,15%), აისორები (0,05%), ჭანები (0,02%), ანატოლიელი თურქები (0,02%) და სპარსელები (0,01%). („ლაზები" და „ჭანები" სინონიმებია, ლაზები ერთ-ერთი ძირითადი ქართველური ტომია, ამიტომ აღწერაში ისინი უნდა მოთავსებულნი ყოფილიყვნენ „ქართველების" გრაფაში. რედ). აქ ჩამოთვლილი ეთნოსების წარმომადგენელთა ჯამური რაოდენობა, რომელთა ნაწილი ეჭვსგარეშე განსახლებულნი იქნებოდნენ საბჭოთა კავშირ-თურქთის საზღვრისპირა რეგიონებში, შეადგენდა: აზერბაიჯანში – 168 374, საქართველოში – 16 428 (10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აზერბაიჯანში ) და სომხეთში – 25 532 (1,5-ჯერ მეტს, ვიდრე საქართველოში). ეს თანაფარდობა დეპორტაციის მომენტისათვის (1944 წელს), ცხადია, კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა. ისმება სავსებით ლოგიკური კითხვა; ასეთ პირობებში რატომ უნდა განხორციელებულიყო მაჰმადიანების დეპორტაცია მხოლოდ საქართველოდან და რატომ არ მოიცვა ამ ღონისძიებამ მეზობელი რესპუბლიკების რეგიონები, მით უმეტეს, რომ ამ ღონისძიებების გატარების საჭიროება ფაქტიურად ნაკარნახევი იყო გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის სტრატეგიითა და ტაქტიკით? (იხ. ა. მიქელაძის ხსენებული ბროშურა).

II. 1937 წელს საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ჯამური რაოდენობა შეადგენდა 162 მილიონ კაცს. აქედან ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე მოდიოდა 7 მლნ. 653 969 კაცი, ანუ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 4,73%. 1926 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 1937 გაზრდილა აზერბაიჯანში – 1,33-ჯერ, საქართველოში – 1,25-ჯერ, ხოლო სომხეთში 1,370-ჯერ. ამასთან, აღინიშნება მაჰმადიანი მოსახლეობის სხვადასხვა ეთნოსის ქაოტური, რესპუბლიკების ჯამური მოსახლეობის რიცხოვნობის არაადეკვატური ცვალებადობა (გაზრდა-შემცირება ან წარმოქმნა-გაუჩინარება). ასე, მაგალითად, აზერბაიჯანში აღინიშნება ქურთების მკვეთრი (5,53-ჯერ), ხოლო თალიშებისა და სპარსელების შედარებით მოკრძალებული კლება (შესაბამისად 10,8% და 12,5 %) და თითქმის 21 ათასიანი წახურების გაუჩინარება. (ქურთებიც და წახურებიც, რომელნიც ერთ-ერთი დაღესტნელი ხალხი არიან კავკასიური მოდგმისა, აზერბაიჯანულმა ხელისუფლებამ აღრიცხა აზერბაიჯანელებად ასიმილაციური მიზნით. რედ.). საქართველოში მკვეთრად გაზრდილა ანატოლიელი თურქების (6,3-ჯერ), ქურთების (2,3-ჯერ) და სპარსელების (1,63-ჯერ) რიცხოვნობა და გაუჩინარებულან ინგუშები, ჭანები და ლაზები; სომხეთში კი თითქმის მთლიანად გაუჩინარებულან ანატოლიელი თურქები (შემცირებულან 1760-დან 17-მდე) და სპარსები (შემცირებულან 7040-დან 28-მდე). აშკარად ჩანს მცდელობა 1937 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთში შეემცირებინათ, ხოლო საქართველოში, პირიქით, გაეზარდათ მაჰმადიანური რწმენის ისეთი ეთნოსების (ქურთების, ანატოლიელი თურქების და სპარსელების) რიცხოვნობა, რომელთა უმეტესობაც სავარაუდოდ განთავსებული იქნებოდა საზღვრისპირა რეგიონებში.

III. 1959 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში აღწერილი იყო 9მილიონ 504 810 კაცი, რაც შეადგენდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 4,55%-ს. 1959 წელს 1937წელთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნობა გაზრდილა: აზერბაიჯანში – 1,3-ჯერ, საქართველოში – 1,2-ჯერ, ხოლო სომხეთში – 1,46-ჯერ. მოსახლეობის აღწერის ამ დიაპაზონშიც დაფიქსირებულია მაჰმადიანური რწმენის სხვადასხვა ეთნოსის რიცხობრიობის მკვეთრი, ჯამურ მოსახლეობასთან შედარებით არაადეკვატური ცვალებადობა. მაგალითად, აზერბაიჯანში ადგილი ჰქონდა ქურთებისა და თათების რიცხობრიობის შემცირებას შესაბამისად 7,3 და 9,7-ჯერ.

მოსახლეობის აღწერის შედეგები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში (1926, 1937, 1959, 1989 წ.წ.)

| № № | ქვეყნები, წლები / ერები (ეთნოსები) | აზერბაიჯანი | | | | საქართველო | | | | სომხეთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1926 | 1937 | 1959 | 1989 | 1926 | 1937 | 1959 | 1989 | 1926 | 1937 | 1959 | 1989 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 1 | სულ | 2315000 | 3066449 | 3697717 | 7021000 | 2700000 | 3378064 | 4044045 | 5401000 | 880000 | 1209456 | 1763048 | 3305000 |
| 2 | აზერბაიჯანელები | 1687635 | 1778798 | 2494381 | 5805000 | 178200 | 170380 | 153600 | 308000 | 94040 | 124434 | 107748 | 85000 |
| 3 | ქართველები | 9260 | – | 9526 | 14000 | 2027800 | 2080179 | 2600588 | 3787000 | – | – | 816 | – |
| 4 | სომხები | 256965 | 370164 | 442089 | 391000 | 213300 | 396796 | 442916 | 437000 | 730400 | 1009004 | 1551610 | 3084000 |
| 5 | რუსები | 67135 | 479008 | 501282 | 392000 | 32400 | 275892 | 407886 | 341000 | 20240 | 40472 | 56477 | 51600 |
| 6 | უკრაინელები | 11575 | – | 25778 | 32000 | 8100 | 40855 | 52236 | 52000 | 880 | 2866 | 5593 | – |
| 7 | ბელორუსები | – | – | 4284 | – | 270 | – | 5158 | – | – | – | – | – |
| 8 | გერმანელები | 4630 | – | – | – | 6210 | – | – | – | – | – | – | – |
| 9 | პოლონელები | – | – | 1483 | – | – | – | 2702 | – | – | – | – | – |
| 10 | მოლდაველები | – | – | 1501 | – | – | – | 2630 | – | – | – | – | – |
| 11 | ოსები | – | – | 21114 | – | 145800 | 143604 | 144178 | 164000 | – | – | – | – |
| 12 | აფხაზები | – | – | – | – | 72900 | 55409 | 62878 | 96000 | – | – | – | – |
| 13 | ბერძნები | – | – | – | – | 59400 | 87385 | 72938 | 100000 | 1760 | 3803 | – | – |
| 14 | ებრაელები | 2315 | 10898 | 40204 | – | 8100 | 29721 | 51582 | – | – | – | 1024 | – |
| 15 | თურქები | – | – | – | 18000 | – | – | – | – | – | – | – | – |
| 16 | ანატოლიელი თურქები | – | – | – | – | 540 | 3387 | – | – | 1760 | 27 | – | – |
| 17 | თათრები | – | – | 29552 | 28000 | – | – | 5441 | 4100 | – | – | – | – |
| 18 | ქურთები | 60190 | 10878 | 1487 | 12000 | 5400 | 12601 | 16212 | 33000 | 20240 | 22313 | 25627 | 56000 |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 19 | აისორები | – | – | 1367 | · | 810 | – | 5005 | – | 2640 | 3164 | 4326 | – |
| 20 | თალიშები | 111120 | 99145 | – | · | – | – | – | – | – | – | – | – |
| 21 | თათები | 30095 | 56933 | 5887 | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 22 | დაღესტნელები | 27780 | 117144 | 121442 | – | – | – | 5087 | – | – | – | – | – |
| 23 | ინგუშები | – | – | – | – | 2700 | – | – | – | – | – | – | – |
| 24 | უდები | – | – | 3202 | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 25 | წახურები | 20835 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – |
| 26 | ჭანები | – | – | – | – | 540 | – | – | – | – | – | – | – |
| 27 | ლაზები | 46360 | – | – | – | 4050 | – | – | – | – | – | – | – |
| 28 | სპარსელები | 1620 | 1418 | – | – | 270 | 440 | – | – | 7040 | 28 | – | – |
| 29 | ესტები | – | – | – | – | 1080 | – | – | – | – | – | – | – |
| 30 | დანარჩენი | – | 131982 | – | 329000 | – | 67323 | – | 4000 | – | 3345 | – | 18400 |

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

გაუჩინარებულან 1937 წელს რიცხული 100 ათასიანი თალიშები და 1,5 ათასიანი სპარსელები. სამაგიეროდ დაფიქსირებულია წინა არჩევნებში არარსებული თათრები, აისორები და უდები. საქართველოში გაჩენილა ადრე არარსებული თათები, აისორები და უდები; (საქართველოში უდების ორი სოფელია. უდები კავკასიური მოდგმის ხალხია, ალბანეთის ძველი მოსახლეობის ნაშთი, მათი ორი სოფელი აზერბაიჯანშია, სადაც მათ მიმართ, საქართველოსგან განსხვავებით, ტარდება ძალდატანებითი ასიმილაციის პოლიტიკა. რედ.) სომხეთში კი გაუჩინარებულა ანატოლიელი თურქების და სპარსელების ერთეულებიც. ამავე რესპუბლიკაში 1926-37-59 წლებში ქურთების მატების შედარებით მოკრძალებული მაჩვენებელი (დაახლოებით 26%) 1959-89 წლების დიაპაზონში გაზრდილა მკვეთრად (120%-ით).

IV. 1989 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯამური მოსახლეობა შეადგენდა 15 727 ათას კაცს ანუ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 6,05%-ს. აზერბაიჯანში განთავსებული ყოფილა რეგიონის მთელი მოსახლეობის 45,65%, საქართველოში – 34,35%, ხოლო სომხეთში – 21%.

30 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობა გაზრდილა აზერბაიჯანში – 1,9-ჯერ, საქართველოში – 1,34-ჯერ, სომხეთში კი – 1,87-ჯერ. ამასთან, აზერბაიჯანში საკუთრივ აზერბაიჯანელების რიცხოვნობა გაზრდილა 2,33-ჯერ, ქართველების – 1,47-ჯერ. შემცირებულა რუსების და სომხების რიცხოვნობა შესაბამისად 21,8%-ით და 17,56%-ით.

საქართველოში გაზრდილა ქართველების რიცხოვნობა 1,4-ჯერ, აზერბაიჯანლების კი 2-ჯერ. სამაგიეროდ შემცირებულა რუსებისა და სომხების რიცხოვნობა შესაბამისად 16,4 და 1,34%-ით. სომხეთში გაზრდილა სომხების რიცხოვნობა – 1,99-ჯერ და შემცირებულა აზერბაიჯანლების და რუსების რიცხოვნობა შესაბამისად 21,8%-ით და 8,66%-ით. რაც შეეხება ქართველებს, მათი რიცხოვნობა არ დაუფიქსირებიათ სავარაუდიოდ მათი სიმცირის გამო.

დროის ამავე შუალედში აზერბაიჯანში გაზრდილა ქურთების რიცხოვნობა 8-ჯერ, შემცირებულა თათრები – 5,25%-ით, გაჩენილა თურქების მრავალათასიანი დიასპორა (მთელი მოსახლეობის 0,26%) და გაუჩინარებულან თათები, დალესტნელები და უდები (სავარაუდოდ, მცირერიცხოვნობის გამო შესაძლებელია გადაყვანილ იქნენ დანარჩენი მოსახლეობის კატეგორიაში). საქართველოში გაზრდილა ქურთების რიცხოვნობა 2,04-ჯერ და შემცირებულა თათრების რიცხოვნობა 24,6-ით. გაჩენილან აისორები (მოსახლეობის 0,09%) და დალესტნელები (მოსახლეობის 0,099%). სომხეთში გაზრდილა ქურთების რიცხოვნობა 2,19-ჯერ და გაუჩინარებულან აისორები (მოსახლეობის 0,25%).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერის პროცესში როგორც მაჰმადიანების დეპორტაციამდე, ისე მის შემდეგ, ოფიციალურად არ დაუფიქსირებიათ სამხრეთ კავკასიიდან დეპორტირებული ცალკეული ერების და ეთნოსების (თათრების, თარაქამების, ხემშილების, ყარაფაფახების, მაჰმადიანი მესხების – სპეცსამსახურების მიერ შეთხზული ე.წ. „თურქი მესხების“ და სხვების წარმომადგენლობა.

ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოსახლეობის აღწერის სხვადასხვა ეტაპზე ადგილი ჰქონდა მაჰმადიანების რიცხოვნობისა და ეთნიკური შემადგენლობის მკვეთრ და არაკანონზომიერ ცვალებადობას (შემცირება-გაზრდას ან წარმოქმნა=-გაუჩინარებას). ეს გარემოება გამოწვეულია უპირველესად ყოვლისა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1939 წლის აღწერის შედეგების გაქრობით (არარსებობით) და მის ნაცვლად 1991 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1937 წლის საგანგებო აღწერის შესახებ, რომელშიც დაფიქსირებულია ძალზე საეჭვო და არადამაჯერებელი მონაცემები ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მაჰმადიანების რიცხოვნებისა და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ეს 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან დეპორტირებული მაჰმადიანების და მათი შთამომავლების „თურქ- მესხებად“ წოდებული ეთნოსის უზბეკეთიდან იძულებულ გამოძევებასთან ერთად წარმოადგენს ყოფ. საბჭოთა კავშირის და რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მიერ საგულდაგულოდ შედგენილი გეგმის ნაწილს, რომლის მიზანი იყო, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საზოგადოებაში დაემკვიდრებინათ ცრუ აზრი, რომ იმხანად მაჰმადიანების დეპორტაცია მოხდა მხოლოდ საქართველოდან, მისი ისტორიულ მხარედან „სამცხე-ჯანვახეთიდან“, და ჩაეთვალათ კანონიერად უზარმაზარი ახალი მოსახლეობის მოთხოვნა – განხორციელებულიყო მათი კომპაქტური ჩასახლება სწორედ საქართველოში, როგორც მათ „ისტორიულ სამშობლოში“.

ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზის შედეგები უნდა გაითვალისწინოს „საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის საკითხების შემსწავლელმა კომისიამ“, მისდამი დაკისრებული საქმიანობის აღსრულების პროცესში.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ, როგორც დასტურდება მასმედიის მასალებიდან, ჩვენში შემუშავებულია დეკლარაცია 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანების რეაბლიტაცია-ადაპტაციის შესახებ. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტში დამტკიცებამდე იგი უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოების საფუძვლიანი განხილვის საგანი.

**ალ. მიქელაძე**

**საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნ. მეცნ. დოქტ. პროფ.**

# რას წარმოადგენს კანონპროექტი „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“

1. კანონპროექტში დადებით შეფასებას იმსახურებს ფორმულირება, რომ საქართველოს სამხრეთ რაიონებიდან 1944 წლის შემოდგომაზე გასახლებული მაჰმადიანი პირები „იძულებით გადასახლებულნი“ არიან „სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის №6279 CC დადგენილების საფუძველზე“, ანუ კონსტატირებულია ის ფაქტი, რომ ხსენებული დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია საქართველოს მიმართ გარეშე ინსტანციის, სახელდობრ, სსრკ-ს მიერ, რომლის სამართალმემკვიდრე დღეს არის მხოლოდ რუსეთი.

კონსტატაციის ხარვეზია ის, რომ იგი მოთავსებულია მხოლოდ „ტერმინთა განმარტებების“ პუნქტში, ანუ არ არის ექსპლიციტურად აღნიშნული, რომ:

ა) 1944 წლის ხსენებულ გადასახლებაში თანამონაწილე არ არის საქართველოს სსრ არც მისი იმ დროს მარიონეტული (მოსკოვიდან დანიშნული) ხელისუფლების, არც მისი საზოგადოებრიობის სახით.

ბ) ხსენებულ პირთა გადასახლება იყო დანაშაული, ჩადენილი არა საქართველოს და ქართველების მიერ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე, მაშასადამე, საქართველოს მიმართაც, რომელსაც ამ დანაშაულით დაერღვა მორალური სიმშვიდე და გაუჩნდა პრობლემები გასახლებულთა და მათ შთამომავალთა ბუნებრივი ადამიანური განცდების მოწმედ ყოფნასთან და, მომავალში, ამ ადამიანებთან მიმართებაში თავისი პოზიციის განსაზღვრის ურთულეს პრობლემებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ არის კონსტატირებული საქართველოს მიმართ სსრკ სამართალმემკვიდრის, რუსეთის მორალური ვალდებულებების ფაქტი და არ არის განსაზღვრული ამ ვალდებულებების ხარისხი.

2. კანონპროექტში უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის, რომ იგი, სამრთლებრივი საფუძვლის მიუთითებლად, ამყარებს სამართლებრივ კავშირს საქართველოსა და საქართველოს გარეთ მაცხოვრებელ ადამიანთა დიდ მასას შორის, რისთვისაც კანონპროექტის თანახმად საკმარისია ამ მასაში შემავალი პირის სურვილის გამომხატველი განცხადება, რის შედეგადაც ამ პირს უჩნდება უფლებები საქართველოს მიმართ (მუხლი II, 1). იმისათვის, რომ ასეთი საფუძვლები გაჩნდეს, მითითებული უნდა იყოს სათანადო მუხლები საქართველოს კანონმდებლობისა, საერთაშორისო სამართლისა (რამდენადაც საქმე ეხება რუსეთთან და იმ ქვეყნებთან ურთიერთობასაც, სადაც გადასახლებულები დღეს ცხოვრობენ) და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონვენციებისა, რომლებზედაც საქართველო ხელს აწერს. კანონპროექტი ასეთ საფუძვლებს არ უთითებს (და ვერც მიუთითებს, რადგან ასეთი საფუძველი არ არსებობს). „საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის“ განკარგულება (მუხლი II.2) ამ საფუძვლის შექმნისათვის საკმარისი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ რეპატრიაციის მსურველთა სამართლებრივი დაკავშირება საქართველოსთან უნდა მოხდეს (რაც განზრახულია) ხსენებული იურიდიული საფუძვლების გარეშე ანუ ამა თუ იმ არაიურიდიული (მორალური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული...) მოსაზრების საფუძველზე, მაშინ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ პლებისციტით, რამდენადაც საქართველოში ახალი მოსახლეობის შემოყვანა მისი დღევანდელი მოსახლეობის 12-15%-ის რაოდენობით შესაბამისად ავიწროებს საქართველოს ყველა მოქალაქის და მისი შთამომავლობის მატერიალურ საარსებო ბაზას (ანუ: სურს თუ არა გადასახლებულ მუსულმანთა სასრგებლოდ ამგვარი მსხვერპლის გაღება, უნდა გადაწყვიტოს ხალხმა და არა „ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ“).

3. კანონპროექტში უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის, რომ მასში „რეპატრიანტად“ ჩათვლისათვის უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია როგორც „არა აუცილებლად გადასახლებული“ პირი, არამედ როგორც, აგრეთვე, ამ უკანასკნელის „მეუღლე, შვილი, შვილიშვილი, შვილთაშვილი, ასევე ამ პირთა მეუღლეები, არასრულწლოვანი შვილები და გერები.“. ამ განსაზღვრას აქვს ორი მინუსი:

ა) მისი საშუალებით საქართველოში შემოსახლების უფლება მიეკუთვნება ადამიანთა განუსაზღვრელ,პრინციპში – უსასრულო რაოდენობას, რადგანაც, ჯერ ერთი, „რეპატრიანტის“ ნებისმიერ პრეტენდენტს ნებისმიერ ასაკში უფლება ეძლევა ითხოვოს ნებისმიერი რაოდენობის შვილების მყოლი ქალი (რისი ორგანიზებაც არ წარმოადგენს სირთულეს საქართველოსადმი აგრესიულად განწყობილი უცხო სამსახურებისათვის, ვინც დღეს თურქიზაციის პრობლემაზე მუშაობს), მეორეც, „შვილთაშვილობა“ დროში შეუზღუდველი მიმართებაა და საქართველოში შემოსახლების უფლება ამით ენიჭება გადასახლებულთა უსასრულო შთამომავლობას უსასრულო მომავალში.

ბ) მისი საშუალებით საქართველოში შემოსახლების შეუვალი უფლება (შეუზღუდველი რაოდენობით) ენიჭება იმგვარ პირებს, ვისაც საქართველოსთან არაფერი აკავშირებს ფსიქოლოგიურად, მაშასადამე, საქართველოში ცხოვრებას აპირებენ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან რაიმე მორალური, აქსიოლოგიური (ღირებულებრივი) და, ზოგადად, მენტალური ერთიანობის გარეშე, რაც შეუთავსებადია სახელმწიფოს ქმედუნარიანობის და სტაბილურობის ინტერესებთან.

4. კანონპროექტის მინუსია ის, რომ იგი საქართველოს აკისრებს მისი ეკონომიკის მასშტაბებთან სრულებით შეუსაბამო მატერიალურ ხარჯს (გადასახლებულთა დაკმაყოფილება ბინით და ა.შ.) ისე, რომ არ უთითებს, რა არის ამ კომპენსაციის რაოდენობის გათვლის საფუძველი და რის პროპორციულად გაიცემა ეს კომპენსაცია. თუ იგი გაიცემა განცდილი ზარალის მიხედვით, მაშინ რატომ ეძლევა იგი გადასახლებულის „შვილთაშვილს“ და „შვილიშვილის გერს“, რომელნიც არაფრით დაზარალებულნი არ არიან, ან რატომ ეძლევათ არათანაბარი კომპენსაცია რეალურად ერთნაირად დაზარალებულებს, ანუ ფიზიკურად გადასახლებულებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამრავლდნენ ისინი საქართველოს გარეთ, გასახლების შემდეგ?

5. კანონპროექტის იურიდიული მინუსია ის, რომ იგი საქართველოს აკისრებს მატერიალურ კომპენსაციას სხვის, სახელდობრ, სსრკ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულზე, რისთვისაც კომპენსაცია ნებისმიერი სამართლებრივი ნორმით მხოლოდ სსრკ-ს სამართალმემკვიდრე რუსეთს ეკუთვნის.

6. კანონპროექტის პრინციპული ხარვეზია ის, რომ იგი არ ახდენს სსრკ-ს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი 1944 წლის დანაშაულით დაზარალებულის იდენტიფიკაციას. ვინ არის იგი? ერი, როგორიც იყვნენ ქისტები, ჩეჩნები და სხვა 1943 წელს გადასახლებული ხალხები, რომელთაც დაკარგეს არა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში (სამშობლოში) ცხოვრების ბედნიერება და კომფორტი, არამედ თვით სამშობლოც (რამდენადაც მათმა სამშობლომ, როგორც მათ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მე-3 გვერდიდან

მა და მათი ერით დასახლებულმა ტერიტორიამ, ამ დანაშაულის შედეგად არსებობა შეწყვიტა)? მათთვის მათი სამშობლოს აღდგენა კაცობრიობის მოვალეობად დარჩებოდა იმ შემთხვევაშიც, ეს რომ მათ თუნდაც მეასე თაობას მოეთხოვა. არა, „მესხეთელი თურქები“ არც ერი, არც ხალხი, ამ ცნებათა არც ერთი ცნობილი განსაზღვრებით, არ არიან. ისინი, თუ თურქები არიან, თურქი ერის ნაწილი არიან, რომლისთვისაც მისი ეროვნული ტერიტორია არავის წაურთმევია. ხოლო თუ ისინი ქართველები არიან, მაშინ ისინი ქართველი ერის ნაწილი არიან და არა სხვა ცალკე ერი. ასევე, გასახლებული ხემშინები, ანუ მუსულმანი სომხები, სომხები არიან, სომეხი ხალხის ნაწილი, ქურთები – ქურთები, ანუ ქურთი ხალხის ნაწილი, რომელსაც თავისი სამშობლო სხვაგან აქვს. თვითიდენტიფიკაცია „იერლი“ ანუ „ადგილობრივი“, არც ეროვნული, არც ზოგადად ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია არ არის. მაშ ვინ არის დაზარალებული? დაზარალებულია ადამიანთა ძალიან დიდი ჯგუფი, ადამიანები, ინდივიდები. მათ მიერ განცდილი ყველა სხვა დაზარალების კომპენსაციის მოთხოვნა, გარდა მატერიალური ზარალისა, ანუ მორალური ზარალის ზღვევის მოთხოვნა, პირადად მათი უფლებაა და არა მათი შთამომავლობისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ მორალურ ზარალს მატერიალური (თანხის სახით) განსაზღვრა მიეცემა და შთამომავლობა ამ თანხის მემკვიდრედ ჩაითვლება, სამოქალაქო სამართლის ნორმების შესაბამისად. ამგვარი, ანუ მატერიალური ანაზღაურება, როგორც ზემოთ ვთქვით, ეკისრება მხოლოდ დამნაშავის სამართალმემკვიდრეს – რუსეთს.

7. და ბოლოს, კანონპროექტის მინუსია ის, რომ იგი არ განსაზღვრავს საქართველოში „რეპატრიანტის“ დასახლებისათვის აუცილებელ მინიმალურ მენტალურ კრიტერიუმებს, ანუ იმას, შეთავსებადია თუ არა მოცემული კონკრეტული პრეტენდენტის მენტალიტეტი მის სახელმწიფოებრივ ერთგულებასთან განჭვრეტად მომავალში. იგი უშვებს საქართველოს მოსახლეობის გაზრდას ერთი მეათედით და, პრინციპში, მრავალჯერ უფრო მეტითაც ისე, რომ არ აკანონებს მათ ინდივიდუალურ შერჩევას ფსიქოლოგიურად კომპეტენტური კომისიის მიერ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეთავსებადი იქნება სახელმწიფოს სტაბილობასთან მათი და მათი შთამომავლობის პოლიტიკური ქცევა მომავალში, რამდენად არ იქნებიან ისინი საქართველოს მტრები და საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილის თურქეთისათვის გადაცემის მომხრენი. კანონპროექტი არ ადგენს არც ამ თვალსაზრისით ადამიანთა შერჩევის კრიტერიუმებს, არც თავისი შედეგების სიზუსტეზე ზემოხსენებული (კანონპროექტის მიერ დღესდღეობით არდაკანონებული) კომისიისა და მისი წევრების პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს. იგი არ აკანონებს თვით დეკლარაციის სავალდებულოობას, მისი ძირითადი აუცილებელი პუნქტებითურთ, რომლითაც რეპატრიაციის პრეტენდენტმა უნდა დააფიქსიროს (განაცხადოს) თავისი ერთგულება საქართველოს კონკრეტული ინტერესებისადმი მათ მიმართებში სხვა კონკრეტული სახელმწიფოების (თურქეთის, აზერბაიჯანის) და რელიგიური კრებულების (ისლამი) ინტერესებთან ამ უკანასკნელთა საქართველოს ინტერესებთან შეჯახების შემთხვევაში.

ჩვენი დასკვნა ცალსახაა: კანონპროექტი მიუღებელია. მისი მიღება იქნებოდა საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი სასიცოცხლო ინტერესების ღალატი, სახელდობრ, საქართველოს დექართველიზაციისაკენ, კერძოდ, მისი თურქიზაციისაკენ გადადგმული რადიკალური ნაბიჯი.

საქართველოს ერთგული ხელისუფლების უფლებაა და პირდაპირი მოვალეობაა უარი თქვას თავისი უპასუხისმგებლო და ეროვნულ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას მოკლებული პარლამენტართა ჯგუფის (ვ. ხუხუნაიშვილის, ი. სარიშვილის, კ. ჩიტაიას, ლ. ღოღობერიძის და მ. სააკაშვილის) მიერ აღებულ ვალდებულებაზე საქართველოში 2012 წლისათვის „მესხეთელი თურქების“ მასობრივი შემოსახლების შესახებ. მისი ვალია, საქართველოს ინტერესებიდან და ქართველი ერის ინტერესებიან გამომდინარე, ამავე დროს, ყველა ღონე იღონოს, რათა ქართული წარმოშობის მესხეთელი მაჰმადიანების შთამომავლობაში გაავრცელოს მათი ეთნიკური და ეროვნული ვინაობის რეალური ცოდნა და მათი რაც შეიძლება დიდი ნაწილი (სასურველია – ყველა ეს ადამიანი) მენტალურად მოამზადოს თავისი თავის ნამდვილი (გენუინური) გაიგივებისათვის ქართველ ერთან, მის ისტორიასთან და მის სახელმწიფოსთან, რათა შესაძლებელი იყოს, თანდათანობით, მათი სამშობლოში – საქართველოში – დაბრუნება. საქართველო არავის წინაშე არც დამნაშავეა, არც ვალდებულია, რომ მას თავისი ქვეყნის კარი გაუხსნას და სამოსახლო მისცეს. მაგრამ იგი დაინტერესებულია, თავისი სისხლისა და ხორცის რაც შეიძლება დიდი ნაწილი თავის წიაღს დაუბრუნოს.

# წარსულის რამდენიმე ეპიზოდი

**ვაქვეყნებთ ბატონ სერგო ტაბატაძის მოგონებას, რომელიც შუქს ჰფენს ჩვენი საუკუნის ისტორიის ზოგ საინტერესო ფაქტს ამიერკავკასიაში. ბ-ნი ტაბატაძე სპეციალობით აღმოსავლეთმცოდნეა. მეორე მსოფლიო ომის დროს ოფიცერი იყო სსრკ შეიარაღებულ ძალებში. წლების მანძილზე იმუშავა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. ერთხანს იყო ამ კომიტეტის I მდივნის ვ. მჟავანაძის თანაშემწის თანამდებობაზე. იმის თვითმხილველი და მოწმეა, რასაც მოგვითხრობს.**

* * *

1944 წლის აგვისტოს ბოლოს სომხეთში ლენინაკანის გარნიზონის შესამოწმებლად ჩამოვიდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების სარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი სადეევი, რომელმაც მოაწყო გარნიზონის ჯარების ფართომასშტაბიანი მანევრები საბრძოლო სროლებით.

მანევრებში მონაწილეობდნენ ყველა სახის ჯარები (მსროლელთა შენაერთები, სატანკო და ცალკეული საარტილერიო ნაწილები).

იმ პერიოდში მე ლენინაკანის გარნიზონის ერთ-ერთ შენაერთში ვმსახურობდი, როგორც ოფიცერი, ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურად. ასეთი ფართომასშტაბიანი მანევრები ლენინაკანის გარნიზონის ჯარებში არ ჩატარებულა მთელი ომის განმავლობაში. ერთი სიტყვით, გარნიზონის ჯარები საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში იქნენ მოყვანილი.

როგორც შემდეგ შევიტყეთ, 1944 წლის 8 სექტემბერს უკრაინის II ფრონტის ჯარებმა (სარდალი – მარშალი ფ.ი. ტოლბუხინი, სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-პოლკოვნიკი ა.ს. ჟელტოვი) რუმინეთიდან გადალახეს ბულგარეთის სახელმწიფო საზღვრები და იქ შევიდნენ.

ბულგარეთის არმია ამ პერიოდში ითვლიდა 450 ათას კაცს (30 დივიზიას და ბრიგადას), 400 საბრძოლო თვითმფრინავს. გარდა ამისა, ბულგარეთის საზღვართან განლაგებული იყო თურქეთის არმიის 20 დივიზია და ბრიგადა.

ბულგარეთის პორტ რუშჩუკში იმყოფებოდა გერმანელთა 112 სამხედრო გემი. რამდენიმე ათეული სამხედრო გემი, რომელიც იდგა ბულგარეთის პორტებში ვარნასა და ბურგასში, გერმანელებმა ჩაძირეს: მათი ეკიპაჟები, ბულგარეთის მაშინდელი მთავრობის ხელშეწყობით დაუბრკოლებლად წავიდნენ გერმანიაში.

ბულგარეთის არმიამ წინააღმდეგობა არ გაუწია III უკრაინის ფრონტის ჯარებს, უბრძოლველად დანებდა და გადავიდა მათ მხარეზე. მოკლე დროში III უკრაინის ფრონტის ჯარები გავიდნენ თურქეთის სახელმწიფო საზღვრებთან. (გენერალ-პოლკოვნიკი ა.ს. ჟელტოვი. III უკრაინული ბალკანეთში, წიგნიდან „დიდი განმათავისუფლებელი ლაშქრობა“. მოსკოვი, 1970 წელი, გვ. 126-138, რუსულ ენაზე).

ამ პერიოდში, ე.ი. 1944 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში (დღე არ მახსოვს ზუსტად) მე, როგორც თანადამხვდური და თვითმხილველი, მოწმე გავხდი ლენინაკანის რაიონისა და მის მიმდებარე საზღვრისპირა ზონის ტერიტორიიდან მდინარე არპაჩაის ორივე მხარეს მცხოვრები თურქების გადასახლებისა (აქ მკაცრი ზამთარი იცის, ამიტომ ისინი ცხოვრობდნენ მიწურებში, აქვე ანთებდნენ შუაცეცხლს საქონლის ნაკელისაგან, ვინაიდან ეს ადგილები უტყეოა. იქვე ჰყავდათ საქონელი და ძირითადად მეცხოველეობას მისდევდნენ. ეს თურქები მომთაბარე-მეჯოგე თურქმანების შთამომავალნი იყვნენ და ამ რაიონებში მიწის სიმცირის გამო ისევ მეცხოველეობას ამჯობინებდნენ).

ეს ოპერაცია განახორციელა საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა ამერიკული მარკის „სტუდაბეკერების“ ბრეზენტით გადახურული საბარგო მანქანებით. ისინი გაყვანილი იქნენ კიროვაკანისკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გადასარბენზე გამზადებული მატარებლების საბარგო ვაგონებში და გაუყენეს შუა აზიისა და ყაზახეთის გზას. როგორც მაშინ ლენინაკანში გავრცელებული ხმებიდან შევიტყეთ, გადასახლებული იქნა დაახლოებით 120 ათასი კაცი.

1968 წელს შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახისტანის გაზეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 30 მაისის ბრძანებულება, რომ აქ დასახლებულ თურქებს „თუ ისინი ისურვებენ, უფლება ეძლევათ საცხოვრებლად აირჩიონ ნებისმიერი ადგილი სსრკ ტერიტორიაზე, რომ სახელმწიფო არ იღებს თავის თავზე მატერიალურ პასუხისმგებლობას გადასახლებისათვის, არ აბრუნებს კონფისკებულ ქონებას. იმაზე, რომ ხალხს შეუძლია დაბრუნდეს იქ, საიდანაც გადასახლდა, არაფერი იყო ნათქვამი.

1968 წლის ზაფხულში მესხეთელ თურქების ერთ ჯგუფთან ჩემი შეხვედრის დროს (იმ პერიოდში ვმუშაობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და დავალებული მქონდა მესხეთელი თურქების საკითხები) მათ შორის აღმოჩნდა სამი თურქი, რომელნიც გასახლებული იყვნენ სომხეთიდან. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა მისია აკისრიათ მათ, მითხრეს, რომ ვიყავით ერევანში, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომ მოგვესინჯა ჩვენი უკან დაბრუნების საკითხი. მათ ამის გაგონებაც არ უნდათ. გვიპასუხეს, რომ თქვენი დაბრუნება სომხეთში არ მოხდებაო. ჩამოსულმა თურქებმა განმიცხადეს, რომ იქ, სადაც ისინი განსახლებულნი არიან, კარგად მოეწყვნენ და გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე სომხეთში ცხოვრობდნენ. ყოველივე ამის შესახებ მოხსენდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ I მდივანს, ვ.პ. მჟავანაძეს, რომელიც დაუკავშირდა სომხეთის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და შეეკითხა, თუ რა აზრისა არის იქიდან გასახლებული თურქების უკან დაბრუნებაზე. მან უპასუხა, რომ ასეთი რამ არ მოხდება, ამის შესახებ მოხსენებითი ბარათი გავაგზავნე პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში ლ.ი. ბრეჟნევის სახელზე და თანაც ტელეფონით ველაპარაკეო. იგი დამთანხმდა, რომ არც ერთი გასახლებული თურქის ოჯახი არ დაებრუნებინათ სომხეთის ტერიტორიაზეო. ასე მოიხსნა დღის წესრიგიდან სომხეთში იქიდან გასახლებულ თურქთა დაბრუნების საკითხი.

ფერღანის ტრაგედიის შემდეგ უზბეკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი დატოვეს იქ მაცხოვრებელმა მესხეთელმა თურქებმა, სომხეთიდან გასახლებული თურქებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ეს რესპუბლიკები. როგორც უკანასკნელ პერიოდში გაირკვა, სომხეთიდან გასახლებული თურქები საქარველოდან გასახლებულ ე.წ. მესხეთელ თურქთა მასას მიეკედლა და მათთან ერთად იბრძვის ე.წ. „ისტორიულ სამშობლოში“ – მესხეთში დასაბრუნებლად.

ისმის კითხვა, რატომ მოხდა ლენინაკანის გარნიზონის ჯარების ასეთი ფართომასშტაბიანი მანევრები და ჯარები მოყვანილნი იქნენ სამხედრო მზადყოფნაში ან რატომ გაასახლეს სომხეთის საზღვრისპირა რაიონებიდან თურქი მოსახლეობა? როგორც იმ დროს გავრცელებული ხმებიდან ჩანს, ამის მიზეზი ერთადერთი იყო: ი.ბ. სტალინს განსაზღვრული ჰქონდა თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება მის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული და სომხური მიწების დასაბრუნებლად, აგრეთვე შავი ზღვის სრუტეების ბოსფორისა და დარდანელის საკითხის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადაწყვეტა, მით უმეტეს, უკრაინის III ფრონტის ჯარები გასული იყვნენ თურქეთის საზღვარზე, ამ სრუტეებიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. უკეთუ საქმე შეირაღებულ კონფლიქტამდე მივდოდა, არ უნდოდა სამხრეთ საზღვარზე სომხეთში და სამცხე-ჯავახეთში საშიში პროთურქული ელემენტი ჰყოლოდა.

როგორც ვიცით, ეს აქცია ვერც 1944, ვერც 1945 წლებში ვერ განხორციელდა, ინგლისამერიკის ქვეყნების ხელმძღვანელთა კატეგორიული წინააღმდეგობის გამო.

**სერგო ტაბატაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსული პრესაც გვიტევს

ჟურნალში „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“ გამოქვეყნებული წერილი „მესხების საქართველოში რეპატრიაციის პრობლემები“ (ირინე ბადურაშვილი, გიორგი წულაძე, გიორგი ანჩაბაძე), როგორც ტექსტიდან ნათლად ჩანს, მიზნად ისახავს პირველი რამდენიმე აბზაცის ფონზე, რომლებიც შეიცავს სწორ ინფორმაციას მესხეთისა და მთლიანად საქართველოს ისტორიის კარგად ცნობილი რამდენიმე ფაქტის შესახებ, მკითხველს ჩააგონოს რამდენიმე ყალბი წარმოდგენა როგორც თვით რეალურ ვითარებაზე, ანუ საქართველოდან, კერძოდ, მესხეთიდან 1944 წელს გასახლებული მუსლიმანებისა და მათი შთამომავლობის მდგომარეობასა და პრობლემებზე, ისე მათი საქართველოში დასახლების სურვილისადმი საქართველოს საზოგადოებრიობისა და მისი სხვადასხვა ფენების დამოკიდებულებაზე. წერილის შინაარსის ამ სამ ელემენტს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

**პირველი. სწორი ინფორმაცია საქართველოს ისტორიის სფეროდან.**

თურქების მიერ მესხეთის თანდათანობით დაპყრობის და შემდეგ მოსახლეობის ძალადობითი ისლამიზაციისა და თურქიზაციის პროცესი წერილში აღწერილია ობიექტურად, განსაკუთრებით დასაფასებელია ის, რომ ავტორები ხაზს უსვამენ რუსეთის მიერ ამ მხარის დექართველიზაციის, კერძოდ, მისი თურქიზაციის მიზანმიმართულ პოლიტიკას, როგორც მონარქიული, ისე საბჭოური იმპერიის ჩარჩოში. შეცდომა აქ მხოლოდ ორია. პირველი: ახალციხის მხარე არასოდეს ყოფილა „ქრისტიანული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“. „სამცხე“, როგორც ავტორები წერენ, იგი იყო მეტ-ნაკლებად გამდგარი და უცხოელთა გავლენაში მოქცეული ქართული პროვინცია, მაგრამ არა სახელმწიფოებრიობასთნ მიახლოებული სახით. მეორე: ახალციხის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეული იყო „საფაშო“ და არა „სასულთნო“, როგორც ავტორები წერენ.

**მეორე. სწორი, არასწორი და არასრული ინფორმაცია 1944 წლის დეპორტაციის შესახებ.**

ავტორები სწორად აღნიშნავენ 1944 წელს სსრკ-ს მთავრობის გადაწყვეტილებით მესხეთიდან მუსულმანთა დეპორტაციის ფაქტს, მაგრამ დუმან იმაზე (მკითხველს უმალავენ), რომ სსრკ მთავრობის ამ გადაწყვეტილებასა და მის შესრულებაში არანაირი მონაწილეობა არა აქვს მიღებული საქართველოს მთავრობას: არ არსებობს ამ უკანასკნელის არავითარი გადაწყვეტილება ამ ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. იგი ჩატარდა მხოლოდ სსრკ შინაგანი ჯარებით და რკინიგზის გამოყენებით, რომელიც სსრკ (საკავშირო) დაქვემდებარების საწარმო იყო და არა საქართველოს სსრ-სა. ამ დუმილის „გამჭოლი მიზანი“ ნათელია: ავტორებს ჰსურთ მკითხველებს არ დაურღვიონ ილუზია, რომ საქართველოდან 90 ათასი სულის გასახლება 1944 წელს ანუ საქართველოს ტერიტორიაში ჩადენილი დანაშაული, საქართველოს სვინდისზეცაა, და არა მხოლოდ სსრკ-საზე და მის სამართალმემკვიდრე რუსეთისაზე.

გასახლებულთა ეთნიკური ვინაობა დასახელებულია არასწორად, როგორც „თურქები, „თარაქამები და ხემშინები“. (გამუსლიმებური სომხები). ეთნიკური თურქები გასახლებულთა შორის არ ყოფილან, არამედ იყვნენ ქურთები (თურქეთიდან XIX საუკუნეში ინფილტრირებული მეჯოგეები, რომლებიც გაბნეულად ცხოვრობდნენ სამხრეთ საქართველოში). ავტორები დუმან ფაქტზე, რომლის გაუთვალისწინებლად ვერ წარმოადგენთ არსებული ვითარების სრულ სურათს: იმავე 1944 წელს ანალოგიური გასახლება მუსულმანებისა მოხდა სომხეთის ზოგ რაიონშიც ცოტა უფრო მცირე მასშტაბით. ის გასახლებულნი, სსრკ-ს ხელისუფლების მიერ „რეაბილიტაციის“ შემდეგ, და მათი შთამომავლები ცდილობდნენ სომხეთში დასახლებას, მაგრამ მიიღეს მკვეთრი უარი სომხეთის სსსრ ხელისუფლებისაგან. ამის შემდეგ ისინი მიკედლებულნი არიან საქართველოდან გასახლებულებსა და მათ შთამომავლობას და ცდილობენ „რეპატრიაციას“ საქართველოში.

გასახლებულ მესხთა ეთნიკური თვითცნობიერების აღწერაში ავტორები ავლენენ სრულ არაინფორმირებულობას. თავისი ქართული წარმოშობა წინააღმდეგ ავტორთა ინფორმაციისა, იცის ყველა გასახლებულმა, მაგრამ ეს არ უშლის მათ დიდ ნაწილს ხელს, რომ თავი თურქად ჩათვალონ. ამის მიზეზია ის, რომ თურქული ეროვნული ცნობიერება დეპორტაციის მომენტისათვის (1944) არ მოიცავს გენეტური ერთობის ცნობიერებას, არამედ დამყარებულია რელიგიაზე, როგორც ძირითად ფაქტორზე და თურქების შემადგენლობაში ყოფნაზე ორგანიზაციული (პირველ ყოვლისა – მილიტარული და პოტენციურად მილიტარული) თვალსაზრისით: „ისლამი მიიღე? მივიღე. ჩვენს ომებში მონაწილეობისათვის მზად ხარ? ვარ. მაშასადამე, სრულფასოვანი თურქი ხარ!“ სხვადასხვა ინდივიდთა განსხვავება მუსლიმან მესხებს შორის მდგომარეობს ცნობიერ თვითიდენტიფიკაციაში ან თურქებთან, ან ქართველებთან. თურქული თვითიდენტიფიკაცია გასახლების მომენტისათვის მოიცავდა მთელ დეპორტირებულ მოსახლეობას, დღეს კი იგი მოიცავს ყველას, იმათ გარდა, ვინც, ქართული ინტელიგენციის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, ცნობიერად გადავიდა ეროვნულ ორიენტაციაზე თავისი წინაპრების ეროვნულობისაკენ ანუ ქართველობაზე. ავტორები უმალავენ მკითხველს ამ ორი ჯგუფის პროცენტულ შემადგენლობას. სახელდობრ იმას, რომ პირველი ჯგუფი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მრავალჯერადად აღემატება მეორეს.

ავტორები აღნიშნავენ, საქართველოში მუსლიმან მესხთა ოჯახების (ძალიან მცირე რაოდენობით) დაბრუნების ფაქტს (ეს დაიწყო 1950-იანი წლების დამლევიდან), მაგრამ დუმან ამ ფაქტის მიზეზზე. ეს მიზეზი გახლავთ საქართველოს საზოგადოებრიობის აქტივობა, რომელიც გამოწვეული იყო პატრიოტული მოტივით – ქართული სისხლის დაბრუნების სურვილით ქართველი ერის შემადგენლობაში და ქართულ სახელმწიფოში (და ზოგადი ჰუმანურობის პრინციპებით).

დასასრულ, დეპორტირებულ მესხთა და მათ შთამომავალთა დღევადელი განსახლების ადგილთა ჩამოთვლაში ავტორებს გამოტოვებული აქვთ აშშ.

**სამი. ავტორთა ინფორმაცია დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებზე დეპორტირებულთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დასახლების შესახებ.**

ამ თემაზე ავტორთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია განსაკუთრებით და, უეჭველია, მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. იგი შეიცავს რამდენიმე სწორ კონსტატაციას, მაგრამ ძირითადად, თითქმის მთლიანად ყალბია.

ავტორთა მსჯელობა ემყარება 12 „ექსპერტის“ და 500 მოქალაქის გამოკითხვას. განვიხილავთ შედეგებს კითხვებისდამიხედვით.

ა) კითხვაა „სწორია თუ არა ტერმინი „ტურკი-მესხეტინცი“ იმ ხალხებისათვის, რომლებიც დეპორტირებულ იქნენ?“ ეს ფორმულირება შეიცავს შეცდომას, რამდენადაც გასახლებულნი „ხალხები“ არ იყვნენ, არამედ სხვადასხვა ხალხთა ინდივიდუალური ელემენტები იმისდა მიხედვით, ვინ რომელ ხალხს აკუთვნებდა თავს). საერთო სახელი აქაური სისხლით ქართველებისა (მესხებისა) – „იერლი“, (თურქულად – ადგილობრივი) არის მოსახლეობის წარმოშობითა და რელიგიით ერთგვაროვანი და ერთიანი ჯგუფის აღმნიშვნელი, სახელდობრ, გამუსლიმანებული და თურქულ ენაზე გადასული ადგილობრივი ქართველებისა. ეს ჯგუფი არანაირი ნიშნით არ წარმოადგენს, მიღებული ტერმინოლოგიით „ხალხად“ წოდებულ მაკროჯგუფს. გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ავტორთა ცნობით იწუნებს ამ ტერმინს. ეს ცნობა რეალურად ასახავს საქართველოში გავრცელებულ აზრს.

ბ) მეორე კითხვა ეხება „მესხთა ეთნიკურ წარმომავლობას“. ავტორთა ცნობით „ყოველი მეოთხე ექსპერტი მესხებს განიხილავს როგორც შერეულ ეთნიკურ ჯგუფს). ექსპერტთა ეს აზრი ყალბია. ამ სიყალბის გამოთქმისა და ციტირების ახსნა ორგვარად შეიძლება, მესამე ახსნა არ არსებობს, რამდენადაც მესხების ანუ ქართველი ხალხის შემადგენელი ერთ-ერთი ტომის ეთნიკური ვინაობა ცალსახად ცნობილია მეცნიერებისათვის და არც ერთი „ექსპერტის“ ან არაექსპერტის აზრი ამ თემაზე ვერავისთვის გასათვალისწინებელი ვერ იქნება (მას სულაც „აზრის“ სტატუსივე არ ექნება) მანამდე, სანამ მოყვანილი არ იქნება ამ აზრის მეცნიერული დასაბუთება, დღეს ცნობილის გამაბათილებლი. ერთი ახსნა ის არის, რომ ექსპერტებს არ ჰქონიათ აუცილებელი კვალიფიკაცია ამ თემაზე მსჯელობისათვის. მეორე ისაა, რომ „ექსპერტები“ ამა თუ იმ მოსაზრებით ტენდენციურნი ყოფილან.

ავტორთა ცნობით გამოკითხულ არაექსპერტთა მხოლოდ 10% თვლის გასახლებულ მესხებს წარმოშობით ქართველებად. ეს დეზინფორმაციაა. ხოლო „რესპონდენტთა“ მესამედი მათ თურქული წარმოშობისად თვლის. ეს დეზინფორმაციაა. საქართველოში ყველამ იცის, რომ გასახლებული მუსულმანი მესხები სისხლით ქართველები არიან. საქართველოს მოსახლეობისათვის პრობლემატურია (და ამდენად, კამათის საგანია) მხოლოდ ამ ადამიანთა დღევანდელი ცნობიერების მიმართულება (რამდენად ქართველობენ ან იქართველებენ ისინი და რამდენად თურქობენ და ითურქებენ) და არა მათი წარმოშობა. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილია, როგორც მათი გენეტიკური ვინაობა, ისე მათი გათურქების ისტორია.

გამოკითხვის ჩამტარებელთა ამავე რიგის დეზინფორმაციაა ავტორთა მიერ დამოწმებული გამოკითხვის შედეგები. თითქოს თბილისელ გამოკითხულთა 26,6% გასახლებულ მესხებს თურქებად თვლის (და არა გათურქებულ ქართველებად), ხოლო 11,4% – ქართული ორიენტაციის თურქებად. ასევე დეზინფორმაციაა ავტორთა ცნობა, რომ საშუალოდ თბილისელ რესპოდენტთა 42,8% თვლის, რომ მესხთა შორეული წინაპრები თურქეთში ცხოვრობდნენ“.

გ) თუმცა ავტორები კითხვის ციტაციას არ ახდენენ, მაგრამ ჩანს, რომ იგი ეხება დეპორტირებულთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დასახლების მიზანშეუწონლობას. ამ კითხვასთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ ავტორთა ცნობით „ექსპერტების“ 50% თანახმაა ყველა მსურველის შემოსახლებაზე საქართველოში (და არა მხოლოდ ქართული ორიენტაციის მქონისა), დანარჩენი გამოკითხულებისა კი მხოლოდ 6,6%.. ეს განსხვავება საკმარისია იმისათვის, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს ან ექსპერტთა კეთილსინდისიერება, ან დანარჩენი მოსახლეობის პოლიტიკური სიმწიფე, თუ გნებავთ – პოლიტიკური შერაცხადობა, ანუ გაირკვეს „ექსპერტები“ არიან მასის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგი თუ მასას არ ესმის საკუთარი სასიცოცხლო ინტერესი. ასეთ პირობებში მეთოდოლოგიის სისწორე მოითხოვს ან იმის ილუსტრაციას, რომ ექსპერტები მართლაც თავისი ინფორმირებულობით ფართო საზოგადოებისაგან მკეთრად გამორჩეული ადამიანები არიან, ან მასობრივი გამოკითხვის ჩატარებას ინტელექტუალურად გამორჩეული ჯგუფის (ვთქვათ, პროფესურის, ლიტერატურული ელიტის, პოლიტიკური ელიტის და ა.შ.) მასალაზე. ამ პირობის შეუსრულებლად „ექსპერტთა“ აზრის დამოწმება მეთოდოლოგიურად შეუსაბამოა.

დ) ასევე მკვეთრად განსხვავებულია „ექსპერტთა“ და არაექსპერტთა აზრი ზოგი სხვა საკითხის, პირველ ყოვლისა, გასახლებულთა და მათ შთამომავალთა მასობრივი შემოსახლების მოსალოდნელი დემოგრაფიულ შედეგთა (დადებითისა და უარყოფითის) შესახებ. ამ შემთხვევაშიც ძალაშია „ექსპერტთა“ შერჩევასთან დაკავშირებული შენიშვნა, რომელიც გამოვთქვით წინა („გ“) პუნქტის მიმართ.

ციტირებული შეუსაბამობა იწვევს ეჭვს, რომ ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“ მოთავსებული ზემოხსენებული პუბლიკაცია არის მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზინფორმაციის ცდა მისთვის იმ შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულება 2012 წლამდე საქართველოში დეპორტირებულებისა და მათი შთამომავლების შემოსახლების თაობაზე ამა თუ იმ ზომით მისაღებია საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. ეს მცდელობა ჩვენ გვსახება არა მეცნიერული კვლევის მიღწეულ შედეგთა გამოტანად ფართო საზოგადოების წინაშე, არამედ ასეთ „მონაცემთა“ ფაბრიკაციად ხსენებული მიზნით. ამ ეჭვს ამაგრებს ის ფაქტი, რომ ამ ინიციატივაში მონაწილეობს სოროსის ფონდი, რომელიც დღეისათვის უკვე საკმარისად მხილებულია, როგორც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ორგანიზაცია. მეორეც, ავტორთა შორის გ. ანჩაბაძის გვარის ფიგურირება, რომელიც ცნობილია როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი, თუმცა რიგ საერთაშორისო არასამთავრობო მოლაპარაკებებში საქართველოს სახელით მონაწილე პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# ინტერვიუ „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარესთან ნ.ნათაძესთან



**„საქართველო“: მდგომარეობა დღითიდღე მწვავდება. რომელი პრობლემა მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათოდ?**

**ნ.ნათაძე:** ასეთი პრობლემა ბევრია. სამწუხაროდ, სასიკვდილო შედეგისათვის ყოველი მათგანის გადაუჭრელობა კმარა.

ერთია ცხინვალის პრობლემა. იგი ბოლო დღეებში ძალიან დაიძაბა და ამიტომ ვახსენებ მას პირველს. შეგახსენებთ ფაქტს. საქართველოს ხელისუფლებამ ისე დაუშვა თოფის გავარდნა იქ ამ ორი წლის წინ, რომ გაუქმებული არ ჰქონდა რუსების სამშვიდობო მანდატი, „ჩვენგანვე“, ანუ რუსეთის აგენტი შევარდნაძის მიერვე მიცემული. რუსებს დარჩათ უფლება, რომ ჩვენ ცეცხლი გაგვიხსნან, ჩვენ კი არ მოგვეცა უფლება, მათ ცეცხლი გავუხსნათ. შედეგი: რუსი შეუძლვა ოსებს გაბატონებულ სიმაღლეებზე, რომლებიც ჩვენ გვეჭირა, ჩვენ ცეცხლი ვერ გავხსენით. ამიტომ დღეს ის სიმაღლეები რუსულ-ოსურ ძალას უჭირავს და ჩვენი მოსახლეობა მათი მძევალია.

დღეს რა პერსპექტივაა? ერთი შესაძლო ვარიანტია, რომ იგივე განმეორდეს, ჩვენ დავმარცხდებით (როცა პრეზიდენტი და მთავარსარდალი მტრის მხარეზეა, ეს გარდუვალია), უკან დავიხევთ და „ჩვენს მხრებზე“ თბილისში შემოვა გიორგაძე, რომელსაც ცხინვალის ზონაში რუსულ-ოსური პირადი შემადგენლობის ძალა ჰყავს. მეორე შესაძლო ვარიანტია: რუსების მანდატი უქმდება და ჩვენ გვეძლევა რუსისთვის ცეცხლის გახსნის უფლება, მას კი ერთმევა. ამ შემთხვევაში ჩვენ გამარჯვებულნი ვართ. რუსი გაშლილი დროშით ვერ შემოგვიტევს, რადგან დღეს 1921 წელი აღარაა. მაგრამ ვერ შემოგვიტევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება ერთგულია და ყველა საჭირო დიპლომატიურსა, სამართლებრივსა და პოლიტიკურ ნაბიჯს გადადგამს. ასეთი ხელისუფლება, მოგეხსენებათ, დღეს საქართველოს არ ჰყავს. მაგრამ მანდატი გაუქმდება? ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მანდატის გაუქმების ბრძანება (რბილად ვთქვათ, „მესეჯი“) საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისაგან რამდენიმე თვის წინ მიიღო. მიიღო ცალსახად და კატეგორიულად. ამის შემდეგ დაიწყო სიტყვიერი ფახიფუხი და, ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა პარლამენტის გადაწყვეტილება მიეღო მანდატის გაუქმების თაობაზე. ამით სააკაშვილმა, რომელიც ცალსახად რუსეთის კაცია, თავის პატრონთან ნამუსი მოიწმინდა: „აი, ეს გადაწყვეტილება იძულებული გავხდით მიგვეღო, მაგრამ მისი შესრულება თქვენსავე კაცს, ნოღაიდელს გადავაბარეთო“. ნოღაიდელი, მოგეხსენებათ, ძვალრბილიანად რუსებისაა, იგი ერთერთი ყველაზე ავთვისებიანი პრორუსული ხროვის, ჟვანიას ხროვის წევრია.

**„საქართველო“: თქვენ სულ იმეორებთ, რომ სააკაშვილი რუსების კაცია. რა საბუთი გაქვთ?**

**ნ.ნათაძე:** როცა ვიმეორებ, საბუთებიც ყოველთვის იქვე მომყავს. ეს საბუთებია: ესენგედან არ გამოვსულვართ, რუსეთის ბაზები არ გაგვიყვანია (პირიქით, სამი წლით სტატუსი მივეცით, რომელიც საერთოდ არ გააჩნდათ), სამშვიდობო მანდატი არ გავაუქმეთ, სანამ ის „მესეჯი“ არ მოვიდა, ოფიციალურად არ გავაცხადეთ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის ომი ქართულ-რუსულია და არა ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური, რუსეთის ხელში ჩავაგდეთ საქართველოს უმთავრესი ეკონომიკური სიმძლავრეები. ეს საბუთები საკმარისზე მეტია. ამ თემაზე რომ სიტყვას ჩამომიგდებენ, მე ვამბობ: ახსენით ეს ფაქტები სხვაგვარად და ხელს ავიღებ ჩემს მწუხარე ჰიპოთეზაზე.

**„საქართველო“: აფხაზეთის პრობლემასაც ალბათ ანალოგიურად უყურებთ.**

**ნ.ნათაძე:** დიახ. განსხვავება ისაა, რომ ცხინვალის ზონაში ხელისუფლება ქვეყანას ჰლალატობს საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ დაშვების, ანუ ჩვენი ტერიტორიის ერთი ნაწილის მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილად აღიარების ფორმით. აფხაზეთში კი ამ იურიდიულ ღალატს სჩადის აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს „ერთობლივი სახელმწიფოსათვის“ „სახელშეკრულებო სახელმწიფოს“ სტატუსზე თანხმობის ფორმით. დანარჩენი, პრინციპში, იგივეა. დღეს ამ პრობლემას ახალი ეტაპი აქვს. რუსეთი პოლიტიკურად, იურიდიულად და ლოგიკურად ამ საკითხში ჩიხშია: თუ მას საქართველოს ტერიტორიაზე თავისი მოქალაქეები ჰყავს დასაცავი ქართველთა ძალმომრეობისაგან, მაშინ როგორღაა იგი „მემშვიდობე“, ანუ მიუდგომელი გამშველებელი? ამიტომ რუსეთი იძულებული ხდება ახალი ხრიკი მოიგონოს, რაგინდარა სუსტი და არადამაჯერებელი. ერთი ხრიკია ის, რომ ცხინვალში მშვიდობიანი ოსები დახოცეს და აცხადებენ „აქ ყველას ეს ბოროტება ქართველების ჩადენილად მიაჩნიაო“. ამას აცხადებენ პუტინის ადმინისტრაციის წევრები, რომლებიც არ დაერიდნენ ტერაქტების მოწყობას საკუთარი რუსი მოსახლეობის წინააღმდეგ საკუთარ ქალაქებში (მოსკოვი და ვოლგოდონი), რათა ჩეჩნებისათვის ბრალი დაედოთ და შეტევის საბაბი შეექმნათ. აფხაზეთში ასეთი ხრიკია გეგმა, რომ დალის ხეობა დაიკავონ და მით საქართველოს რეალური იურისდიქციის ქვეშ აფხაზეთის ტერიტორიის არც ერთი გოჯი არ დატოვონ, რაც ჩვენი მტრებისათვის დიდი პოლიტიკური კოზირი იქნება. მუშაობის ტაქტიკა ასეთია: ერთი წლის წინ გააუქმეს და განიარაღებისთვის გაიმეტეს ადგილობრივი ბატალიონი „მონადირე“ ემზარ კვიციანის მეთაურობით, ახლა კი ქმნიან სიტუაციას, რომ ემზარ კვიციანის გამწარებულ განცხადებაზე „წამოეგოს“ პრეზიდენტი ან თუნდაც თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი და დალის ხეობაში მისი ერთადერთი რეალური დამცველის — ადგილობრივი მოსახლეობის — წინააღმდეგ შეიარაღებული აქცია მოინდომოს. ამ შესაძლებელ პროვოკაციას (ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს შესაძლებლობა რეალური იყოს!) ორი ხილული „მონაწილე“ ჰყავს: ემზარ კვიციანი თავისი ძალიან სამწუხარო განცხადებით ერთის მხრივ და ოქრუაშვილი თავისი შესაძლო საბედისწერო — ჯერ არჩადენილი — შეცდომით მეორეს მხრივ. ამ სიტუაციაზე რეალური წარმოდგენა რომ შეგექმნათ, გეტყვით ერთ ფაქტს. ამ რამდენიმე წლის წინ ხელში ჩამივარდა ტექსტი გაეროს აფხაზეთში მყოფი დამკვირვებლების მოხსენებისა თავისი შტაბბინისადმი ნიუ-იორკში. ამ მოხსენებაში არც ქართველებისადმი სიმპათიის ნასახია და არც დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვისა, ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. პატივისცემას არც ერთი მოქმედი ძალისადმი არ გამოთქვამენ: ერთადერთი, ვისაც ანგარიშგასაწევად თვლიან, კოდორის ქართველი მოსახლეობაა: „მაგარი ბიჭები არიანო“. აიტანს რუსეთი ამგვარი შეფასების მქონე ქართველი ელემენტის მონაწილეობას მიმდინარე ისტორიულ პროცესში? არა. აატანინებს ამას თავის ქართველ აგენტურას? ცხადია, არა! იგი შეეცდება, მის გამოსათიშად ყველა ძალა გამოიყენოს.

**„საქართველო“: როგორ ეგუება ეს თქვენი აზრი იმას, რომ რუსეთის გენერალიტეტი საქართველოსადმი უაღრესად აგრესიულია. ვერ ხვდებიან, რომ, როგორც თქვენ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლება „მათია“?**

**ნ.ნათაძე:** ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათი განცხადების კილოს სახელმწიფოს ერთიანი კურსი განსაზღვრავს და არა გენერლების მოპრიანება. თქვენი კითხვის პასუხი ცალსახაა: რუსეთი ფახიფუხობს, როგორც იფახიფუხა ნატოში ბალტიის ქვეყნებში შესვლის წინ (რაც აღიარებულია მსოფლიოში), იმ ერთადერთი მიზნით, რომ თავის ქართველ აგენტურას საბაბი და გამართლება მოუპოვოს პოლიტიკური კაპიტულაციებისათვის. მეორე ლოგიკურად შესაძლებელი მიზანი, — დასავლეთის „დაშინება“, — რეალური არ არის. დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის ჩვენს რეგიონში იმდენად მწვავეა და სასიცოცხლოა და საყოველთაო ინფორმირებულობის ხარისხი იმდენად დიდია, რომ ასეთი ზედაპირული „ბლეფები“ გასავალს ვერ ნახავს.

**„საქართველო“: ეს ორი პრობლემა თქვენის აზრით ყველაზე მძიმეა?**

**ნ.ნათაძე:** დიახ. იმდენად, რამდენადაც აქ დაშვებული შეცდომა ან ღალატი ყველაზე უფრო გამოუსწორებელია. თორემ სასიკვდილო, როგორც მოგახსენეთ, სხვა პრობლემებიცაა. ასეთია ეკონომიკური სიმძლავრეების გაყიდვა უცხოელებზე და, პირველ ყოვლისა, რუსებზე, მიწის ჩათვლით, ასეთია განათლების შეგნებული ნგრევა და, სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს მომხდარი მუსლიმანების დეპორტაციის საბაბით, საქართველოში განუსაზღვრელი რაოდენობით მუსულმანური მოსახლეობის შემოყვანა. ამ თემებზე ბევრია დაბეჭდილი, საზოგადოებამ ბევრი იცის და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამათთან შედარებით ზერელე, მაგრამ ძალიან საშიში პრობლემაა გიორგაძის ამბოხების საშიშროება. ესაა გრუს ოფიცერი, არსებითად რუსი, თავისი სპეციალური განათლების პროფილში ბალაშიხის კურსების გავლის მომცველი, რომელთა პროფილია ტერორისტული მკვლელობების ორგანიზება. მისი „ფონდისათვის“ რუსეთში მომუშავე ქართველ ბიზნესმენებს პროცენტი აქვთ შეწერილი, ამის გარდა მას განუსაზღვრელი რაოდენობით რუსული ფული აქვს, პასუხისმგებლობა — არანაირი და საქართველოში შეიარაღებული და ორგანიზებული ძალის ყოლის შეუვალი მონოპოლია. იგი და მისი „პოლიტიკური“ პარტია მრავალი განზომილებით კრიმინალში მხილებადნი არიან, თუნდაც მათი გამოსვლების ტექსტების გამო, მაგრამ ხელისუფლება ამას არ აკეთებს. სააკაშვილის ხელისუფლება მიზანმიმართულად მუშაობს გიორგაძის, როგორც დღესდღეობით უჩინარი საფრთხობელისა და პოტენციურად ყოვლისშემძლე ჩუმი მკვლელის, პოლიტიკურ „გასუქებაზე“ იმით, რომ რაც კი შეუძლია ამწარებს მოსახლეობის ფართო მასებს, რათა ათქმევინოს „იმის მარჯვენას ვენაცვალე, ვინც ამათ ფიზიკურად გაუსწორდებაო“. „ფიზიკურად გამსწორებელი“ საქართველოში, ამ რუსული ძალის გარდა, დღეს არავინ ჩანს, ამიტომ იმ განწირული სიტყვების სათქმელად, რომელიც წეღან მოვიყვანე, ბევრია მზად. კიდევ უფრო ბევრნი მზად არიან ამ სპეციალისტ მკვლელებს შიშით გაექცნენ და გულგრილად შეჰხედონ მათ მიერ საქართველოს კიდევ ერთ ანექსიას რუსების სასარგებლოდ. ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება. დასავლეთი რუსეთს ჩვენს რეგიონში, კავკასიაში არა მხოლოდ ძალით სჭარბობს (ჯამურად, ანუ ძალთა მსოფლიო შეფარდების ფაქტორის ჩათვლით), არამედ ამ რეგიონისადმი ინტერესის ხარისხითაც. მაგრამ რუსეთისათვის არაა აუცილებელი, რომ გიორგაძის ხელით მოწყობილ ამბოხებაში გამარჯვება მოიპოვოს. მისთვის საკმარისია ამბოხება დაიწყოს, რათა მრავალი თვით და წლით საქართველოში სისხლის მორევი დადგეს და საქართველო გაუვალი გახდეს დასავლეთის სტრატეგიული მოძრაობისათვის აღმოსავლეთისაკენ, ცენტრალური აზიისაკენ.

იმ გამომწვევი, ერისათვის სილის გამწნავი მკვლელობის შესახებ, რომელიც ყველაზე მკაფიოა ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკვე მრავალ მკვლელობას შორის — სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ — მეც იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ, ამიტომ ახალს ვერაფერს გეტყვით. საქმის განვითარება მრავალი მიმართულებითაა შესაძლებელი: ასეთი გამომწვევი უსამართლობა შესაძლებელია საბოლოო ანგარიშში ხელისუფლების დაცემის მიზეზი გახდეს; შეიძლება ხელისუფლებამ ამ ტრაგედიის სხვა, თითქოს მისი დანაშაულის გარეშე მომხდარი ტრაგედიებით გადაფარვა მოინდომოს; შეიძლება (ვალდებულნი ვართ, ლოგიკურად შესაძლებელი ყველა ვარიანტი გავ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

მე-6 გვერდიდან

ითვალისწინოთ, თუმცა მათი რიცხვი ძალიან დიდია) სანდრო გირგვლიანის მკვლელები ფიზიკურად გაანადგურონ არაოფიციალურად, ხოლო შემდეგ „ინფორმაციას““ გააჟღინინონ, ეს „გიორგაძის ბიჭების“ ნამოქმედარიაო, და ამით ამ რუსულ აგენტურას ხალხის სიმპათია მოუპოვონ. ნუ დაგვავიწყდება ნურც ის, რომ ეს ხელისუფლება გიორგაძის „გასუქებაზე“ მუშაობს, და ნურც ის, რომ ანალოგიური მეთოდი — ხალხისთვის საძულველი პიროვნების, რომელსაც კანონი ვერ ერევა, არაოფიციალური ლიკვიდაციის მეთოდი — ის ძირითადი საშუალებაა, რომლითაც იტალიის მაფია ტრადიციულად აზერხებს, ხალხის თვალში სიმპათია თუ არა, ცოტა შემწყნარებლური და ლმობიერი დამოკიდებულება მაინც მოიპოვოს.

22 ივლისი 2006

**ნ.ნათაძე:** დღეს კოდორის სიტუაცია, სამწუხაროდ, უკვე დღესავით ნათელია. ეს არის რუსული პროვოკაცია, რომელშიც მონაწილეობს ორი მხარე. ერთი, შედარებით ბრმა არის. ემზარ კვიციანი, რომელსაც, ჯერჯერობით, არაფერი დაუშავებია ფიზიკურად. იგი სამართლიანად გამწარებულია 2005 წლის მოღალატური გადაწყვეტილებით მოხალისე ბატალიონის „მონადირის“ გაუქმების შესახებ და მისი წამოგება ამ პროვოკაციაზე, ჩემის აზრით, ამიტომ გახდა შესაძლებელი. მეორე და სავსებით შეგნებული მხარე არიან პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი. სცენარი მარტივია: სამთავრობო ძალა შედის კოდორის ხეობაში (იმ დროს, როცა ხაიშში დგას რუსი!). ვარდება თოფი. რუსი ამბობს: „მე მშვიდობა მაინტერესებს. არის შეთანხმება კოდორში შეიარაღებული ძალის არშეყვანის შესახებ, თქვენ იგი დაარღვიეთ“ და იწყებს მოქმედებას. მას აქვს უფლება, ცეცხლი გაუხსნას ქართველს — პოლიციელსაც და „მონადირესაც“, რომელიც განსაკუთრებით სძულს ამ უკანასკნელის დიდი ეფექტიანობის გამო. მას ამის უფლება აქვს, რადგან მემშვიდობის მანდატი აქვს, პოლიცია და „მონადირე“ კი ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან ამავე მიზეზით. შედეგად რუსი შედის კოდორის ხეობაში, მას შეჰყვება აფხაზი და კოდორის ხეობა იკარგება. ამით, ჯერ ერთი, აფხაზეთის მთელი ტერიტორია ექცევა სეპარატისტების კონტროლში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკურად. მეორეც, წყდება მემშვიდობეების გაყვანაზე ლაპარაკი, რადგან მათ ფუნქცია გაუჩნდათ. ეს სცენარი ზუსტი განმეორებაა იმ ღალატისა, რომელიც სააკაშვილის ადმინისტრაციამ უკვე ჩაიდინა ცხინვალის ზონაში ორი წლის წინ: მან დაუშვა თოფის გავარდნა ისე, რომ მანამდე რუსი „მემშვიდობეები“ არ გაიყვანა. შედეგი ის იყო, რომ რუსები ოსებს შეუძღვნენ სტრატეგიულ სიმაღლეებზე, რომლებიც ქართველებს ეკავათ, და ქართველებმა ცეცხლი ვერ გახსნეს. მაშინ დაიკარგა ის სტრატეგიული სიმაღლეები (ახლაც დაკარგულია), ახლა დაიკარგება კოდორიც.

სააკაშვილისა და მისი გუნდისადმი კიდევ ერთი ღალატის ბრალდების წასაყენებლად ეს კმარა. კვიციანისათვის ამგვარი ბრალდების წაყენებისათვის დღეს მხოლოდ ერთი საბუთი არსებობს, როგორც ეჭვი. რატომ დაინიშნა პოლიციური აქცია კვიციანის წინააღმდეგ მაინცდამაინც ამ დროისათვის, წლევანდელი ივლისის ბოლოსათვის? ცხადია, იმიტომ, რომ მემშვიდობეების საკითხი ახლა გაცოცხლდა (მსოფლიო აზრის ინიციატივით და არა სააკაშვილის დამსახურებით) და რუსული პროვოკაცია ამ გაცოცხლების პასუხია. კვიციანის „განდგომაც“ ახლა მოხდა და არა აქამდე. მაგრამ რატომ ამბობს კვიციანი საჯაროდ, მე შემოდგომაზე ვიცოდი, რომ ეს აქცია ზაფხულისათვის იგეგმებაო? იმისთვის ხომ არა, რომ თავის „მტერს“ სააკაშვილს საშუალება მისცეს შენიღბოს ამ აქციის კავშირი რუსული მანდატის ინტერესთან?

საოცარია ბრმა პრესა და ტელევიზია, რომელიც საათობით მსჯელობს დღეს კოდორის თემაზე, მაგრამ ამ მარტივ დასკვნას ვერ აკეთებს თავის ეკრანზეგამოყვანილი ვერც ერთი „პირველის“ და ვერც ერთი მეასის პირით. იმასაც ვერ ანგარიშობს (ვერც ერთი თავისი მონაწილის პირით) თუ რა ხანგრძლივობა, ენერგიის ხარჯი და წარმატება ექნება „ოპერაციის“ განმახორციელებელ სააკაშვლის ადმინისტრაციას, რომელსაც ჯერჯერობით ერთადერთი სამხედრო გამარჯვება — მკალავიშვილის მრევლზე გამარჯვება — აქვს. განა ისე დაიცალა საქართველო საღი გონებისაგან, რომ ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება აღარავის ძალუძს?

ქალბატონი ინგა გრიგოლია ეკითხება თავის ეკრანზე შეკრებილ „ბრძენებს“, რა უნდა გაკეთდესო. ვერც ერთი ვერ ეუბნება ამ მარტივ სიტყვებს: ხელი არ გაანძრიოს (და, უკეთეს შემთხვევაში, თავისი ბრიყვი ენაც არ გაანძრიოს) არავინ მანამდე, სანამ რუსი „მემშვიდობე“ თავის მანდატს არ დაკარგავს. ამის მერე შესაძლებელია მისთვის ცეცხლის გახსნაც და მისგან ცეცხლის გახსნის გასაჩივრებაც მსოფლიოს სათანადო ინსტანციებში.

# თვითმმართველობის სიმულაცია საჯარო სკოლებში

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოების ფორმირება განხორციელდა. განათლების ეროვნული კავშირი და მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირი იყო, არის და იქნება თვითმმართველობის მომხრე, მაგრამ ის, რაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ა.ლომაიამ 2006 წლის 7 ივნისს განახორციელა — საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების ე.წ. „არჩევნებით“ სხვა არაფერია, თუ არა სიმულაცია და დემოკრატიული თვითმმართველობის პრინციპის დისკრედიტაცია. მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №30 ბრძანებით დამტკიცებული დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების აბუჩად აგდების ტიპიური ნიმუშია.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არ შეიქმნა. მინისტრმა ერთპიროვნულად დანიშნა არჩევნების ზედამხედველი კოორდინატორები, რომელთა მითითებები სავალდებულო იყო შესასრულებლად, როგორც სკოლის საარჩევნო კომისიების, ისე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისათვის.

დარღვეული იყო არჩევნების უმთავრესი ფარულობის პრინციპი ე.წ. „საარჩევნო ბიულეტენები“ ფარატინა ქაღალდის ფურცლები იყო. მას არ ჰქონდა დამცავი ნიშნები, მასში არ იყო ჩაბეჭდილი კანდიდატების ნომრები და გვარ-სახელები და ამომრჩეველი საკუთარი ხელით ავსებდა ამ ე.წ. „საარჩევნო ბიულეტენს“.

სამოქალაქო საზოგადოება — პროფკავშირები და არასამთავრობო ორგანიზაციები მინისტრის მიერ მიღებულმა დებულებამ არჩევნებს პროცესიდან გამოთიშა. მათ არ ჰქონდათ უფლება წამოეყენებინათ საკუთარი კანდიდატები არც სამეურვეო საბჭოებში და არც საარჩევნო კომისიებში. მაშინ როცა დებულება სკოლის საარჩევნო კომისიის წევრად უშვებდა სკოლის გარეშე პირის ყოფნას.

მინისტრმა თავი დაიზღვია და საარჩევნო კომისიების წევრების რეგისტრცია მის მიერ დანიშნულ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს დააკისრა.

სამოქალაქო საზოგადოებას — პროფკავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება არ ჰქონდათ დაკვირვებოდნენ საარჩევნო პროცესებს, ყოფილიყვნენ საარჩევნო ტერიტორიაზე, შეემოწმებინათ საარჩევნო ყუთები დალუქვამდე და გახსნის შემდგომ, დაკვირვებოდნენ საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, დაკვირვებოდნენ საარჩევნო ბიულეტენების გაცემასა და დამოწმებას, საარჩევნო ბიულეტენების ყუთში ჩაყრას, დაკვირვებოდნენ საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და სხვა დოკუმენტების შედგენას და მიეღოთ ეს ოქმები და დოკუმენტები ხელზე. ყველაზე მთავარი, მათ არ ჰქონდათ უფლება გაესაჩივრებინათ სასამართლოში საარჩევნო კომისიის ქმედება. აღსანიშნავია, რომ დებულება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლებას აძლევდა ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ჩაეკეტა ან გაეხსნა კენჭისყრის შენობა, შეეჩერებინა ან გაეგრძელებინა კენჭისყრის პროცესი. საარჩევნო ყუთის გახსნასა და ხმის დათვლაზე დასწრება გარანტირებული ჰქონდა მხოლოდ სამინისტროს წარმოგზავნილ დამკვირვებელს.

საარჩევნო კომისიაში დაზღვევაზე საჩივრის წარდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ საარჩევნო ყუთის გახსნამდე. ჩივილი შეიძლებოდა მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის, სამინისტროს ან სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დამკვირვებლის სახლზე და მხოლოდ საარჩევნო კომისიის ან მინისტრის მიერ დანიშნული კოორდინატორის მეშვეობით. ეს იყო არა არჩევნები, არამედ არჩევნების სიმულაცია. მინისტრის ტოტალური კონტროლის ქვეშ.

განსაკუთრებით ცინიკური იყო დამოკიდებულება სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების მიმართ. მათი რეგისტრაციისათვის დაადგინეს ვადა 26 მაისიდან 2 ივნისამდე, მაშინ, როცა 26-27 და 28 მაისი დასვენების დღეები იყო. დარჩენილ 5 დღეში ძალიან ბევრმა პედაგოგმა და უფრო მეტმა მშობელმა ვერ მოასწრო საკუთარი კანდიდატურის წამოყენება. კიდევ უფრო სასაცილოდ მცირე იყო კანდიდატთა საარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი დრო 3 ივნისიდან 6 ივნისამდე და აქაც 3-4 ივნისი შაბათ-კვირა იყო. დარჩენილ ორ დღეში კანდიდატს უნდა მოესწრო ბეჭდური და ფოტომასალების დამზადებაც და გავრცელებაც. ასეთ მცირე დროში საარჩევნო კამპანიის წარმოება შეუძლებელი იყო და ეს სპეციალურად გაკეთდა. კანდიდატები ვალდებულნიც კი არ იყვნენ წარმოედგინათ საკუთარი საარჩევნო პროგრამები. ამომრჩეველი არჩევანის გარეშე დარჩა.

დებულებაში აღნიშნული იყო, რომ მინისტრი შექმნიდა საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგების შემსწავლელ კომისიას. ამ კომისიის ფუნქციონირების შედეგები საჯაროდ არსად არ გაცხადებულა. ნათელია, რომ ამ კომისიაში სამინისტროს პოლიტიკის იდეური და სოციალური ოპონენტებისათვის ადგილი არ აღმოჩნდებოდა. მართალია, დებულებაში იყო მითითებული, რომ არჩევნების შედეგები ხმების დათვლის დასრულებიდან ხუთ დღეში ანუ 12 ივნისს უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ეს არ გაკეთდა. დებულებამ განსაზღვრა, რომ არჩევნების შედეგები ძალაში შევიდოდა მხოლოდ სამინისტროში რეგისტრაციის მომენტიდან.

ამ დებულებით გამართული „არჩევნები“ ბიუროკრატიული ვოლუნტარიზმის მიერ დემოკრატიის პრინციპებისა და თვითმმართველობის არსის საჯაროდ და ცინიკურად ფეხქვეშ გათელვის ტიპური მაგალითია.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებმა ახალი სასწავლო წლიდან უნდა დადონ შრომითი ხელშეკრულებები დირექტორებთან და პედაგოგებთან, დაამტკიცონ სკოლის შინაგანაწესი და წესდება, სასწავლო გეგმები და გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხა, სკოლის ბიუჯეტი და წლიური ანგარიში, განკარგონ ფინანსები და ქონება, გამართონ სასკოლო არჩევნები, განიხილონ საჩივრები, დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები სკოლის დირექციასთან და პედაგოგიურ საბჭოსთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან — საკრებულოებთან. ნათელია, რომ ანტიდემოკრატიული დებულების საფუძველზე „არჩეული“ სამეურვეო საბჭოები არ იქნებიან დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოები, არამედ იქნებიან შიმშილის დისციპლინაზე დამყარებული ანტისოციალური შრომის იძულების ორგანოები. საჯარო სკოლებში პედაგოგთა ადამიანური უფლებების დარღვევები ინსტიტუციონალურ ფორმებში განხორციელდება.

დღეს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური ამოცანაა მობილიზაცია და ორგანიზაცია სასიცოცხლო, ეკონომიკური, სოციალური, შრომითი, პროფესიული, კულტურული და სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მოვუწოდებთ ყველას, ვიმოქმედოთ ერთად!

**დავით არაბიძე,**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი, მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირის საბჭოს წევრი**

# კიდევ ერთხელ



*„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული...“*

*დემეტრე პირველი*

**მართალი ღვინო — მზე ჭიქაში**

*ხალხური*

საქართველოსათვის ვაზის კულტურა შეუცვლელია არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც ჩვენი ისტორიული კულტურისა და ცნობიერების თვალსაზრისით. მასთან ასოცირდება საქართველო და ქართველი ერი. ვაზი იყო და დარჩება ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერების სიმბოლოდ.

საქართველო ვაზისა და პურის ქვეყანაა — ბრძანებდა დიდი ილია, თუმცა ამასაც დასძენდა „ცოდვაა კახეთის მადლიანი მიწა კაცმა მარცვლისათვის მოაცდინოსო. ... ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, — პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს.“

თუ რა გაჭირვებაში გამოატარა ქართველმა კაცმა ვაზი შორეულ საუკუნეებში, ამაზე აქ არ შევუდგებით მოყოლას, უფრო ახლო პერიოდის რამდენიმე ეპიზოდს შევახსენებთ:

1. XX-ს 70-იანი წლების ბოლოს საქართველოში დაიწყო მოძრაობა ვენახების ფართობის ყოვლად დაუსაბუთებელი გაზრდისათვის, რომლის ძირითადი მიზანი არა ვაზისადმი სიყვარულის გამოხატვა, არამედ საკავშირო გარდამავალი დროშების მიღება იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, მას შესაბამისი ნეგატიური პროცესები მოჰყვა. კერძოდ:

— ვენახები გაშენდა ვაზისათვის შეუფერებელ ან ნაკლებად შესაფერის ადგილებში. ძირითადად დამლაშებულ, ბიცობ და ეროზირებულ ნიადაგებზე. დაირღვა ვენახების გაადგილებისა და სპეციალიზაციის ტრადიციული ზონები და მიკროზონები.

— ვენახების გაშენების გეგმების შესრულების სავალდებულო ხასიათმა აგროტექნიკით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების მეტად დაბალი ხარისხი განაპირობა, ვაზის გაშენებასა და მოვლა-პატრონობაში ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციები საერთოდ გამოირიცხა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ვაზის მოსავლიანობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

— ვაზის გაადგილებისა და სპეციალიზაციის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და ზონალური პრინციპების გაუთვალისწინებლობამ ცალკეული უნიკალური ვაზის ჯიშების გადაგვარებას და გაქრობას შეუწყო ხელი. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში გაშენებული ათასობით ჰექტარი ვენახიდან დღეისათვის აქა-იქ ერთეული ჰექტრები თუ იჩქება შემორჩენილი. ისინი ნაადრევად გამოვიდა ექსპლუატაციიდან და ჩამოიწერა.

2. მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ქვეყნის მევენახეობას XX-ს. 80-იანი წლების შუა პერიოდიდან საკავშირო მასშტაბით წამოწყებულმა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამ. ამ პერიოდში ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქციის წარმოებას მეორეხარისხოვანი როლი დაეკისრა. ალკოჰოლი გამოცხადდა კომუნისტური საზოგადოების მტრად და დაიწყო მევენახეობის დეგრადაციიის პროცესი, რაც ადგილებზე ვაზის გაჩეხვასა და მისი სხვა კულტურებით ჩანაცვლებაში გამოიხატა. შემდგომში, მართალია, „გორბაჩოვ-ლიგაჩოვის“ ანტიალკოჰოლური პოზიცია შეიცვალა, მაგრამ ვაზისადმი დამოკიდებულებაში პირველი ბზარი უკვე გაჩენილი იყო. ხელისუფლების მიერ სასწრაფო წესით მიღებულ იქნა დადგენილება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. განისაზღვრა ვენახის გაჩეხვისათვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სასჯელის სხვადასხვა ზომები, მაგრამ სიტუაცია არ შეცვლილა. საჭირო იყო უფრო ქმედითი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება. ამ მიზნით მთავრობამ მიიღო ახალი დადგენილება ვაზის უნიკალური და მაღალხარისხოვანი ჯიშების გაშენების თაობაზე, რომელიც იმავდროულად სტიმულირების სხვადასხვა ღონისძიებებსაც შეიცავდა. დადგენილების მთავარი მიზანი დაბალფასიანი ყურძნის ჯიშების უნიკალური და მაღალხარისხოვანი ღვინოების დასამზადებლად ვარგისი ყურძნის ჯიშებით ჩანაცვლება იყო (რომელთა შესატყვისი ფასი მაშინაც მაღალი იყო). ამ მიმართულებით მოძრაობა, მართალია, ინტენსიურად დაიწყო, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა მას წერტილი დაუსვა.

3. მევენახეობაში არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება (XX ს. 90-იანი წლები) ქვეყანაში შექმნილ უაღრესად არასტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას უკავშირდება. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ღვინის სამომხმარებლო ტრადიციული ბაზრების დაკარგვამ, არათანმიმდევრული სამთავრობო პოლიტიკის განხორციელებამ, კრიმინოგენული ვითარების გამწვავებამ და სხვა არასასურველმა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მევენახეობა-მეღვინეობის დარგებსაც.

უკანასკნელ წლებში გარკვეული წინააღმდეგობების მიუხედავად (რომელიც ძირითადად ღვინის საწარმოთა მონოპოლიურ მდგომარეობას უკავშირდება), მევენახეობაში ერთგვარად დასტაბილურდა მდგომარეობა, გამოიკვეთა ვაზის ჯიშობრივი სპეციალიზაციისა და ასაკობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების პერსპექტივა, აქცენტი სწორად იქნა აღებული ვენახის საერთო ფართობში წითელი და ვარდისფერი საღვინე ვაზის ჯიშების ხვედრითი წილის გადიდებაზე, მაგრამ როგორც იტყვიან, „ეშმაკს არ ეძინაო“. ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის ტრადიციული და მრავალსაუკუნოვანი ბაზარი, რომელზეც მოდიოდა ღვინის ექსპორტის 85-90 პროცენტი, დახურული აღმოჩნდა ქართული ღვინისათვის. ამდენად, დღის წესრიგში კვლავ დადგა ვაზის გადარჩენის პრობლემა.

ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის აღდგენამდე ვაზისა და ღვინისათვის არავის ეცალა. მხოლოდ 1998 წლის ზაფხულში მიიღო საქართველოს პარლამენტმა კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომელსაც საფუძვლად ფრანგული ღვინის კანონმდებლობა დაედო (იმ დროს არავინ დაფიქრებულა, ვიყავით თუ არა მზად ასეთი მკაცრი კანონის ცხოვრებაში რეალიზაციისათვის). გაჩნდა იმედი, რომ კანონის მოთხოვნების აღსრულების შემთხვევაში, როგორც მევენახეობა, ასევე მეღვინეობა ახალ სიმაღლეებზე ავიდოდა, ქართული ღვინო ევროპის ბაზრისაკენ გზას გაიკვლევდა და ღვინის მსოფლიო ბაზარზე კუთვნილ ადგილსაც დაიმკვიდრებდა (ამის რეა-ლურ საფუძველს იძლევა ის უნიკალური პირობები, რომელიც ქვეყანას გააჩნია მაღალხარისხოვანი ანუ კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოების თვალსაზრისით). „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლიდან 8 წელი გავიდა და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ვერ შეასრულა ვერცერთი მთავარი ამოცანა, ანუ ვერ უზრუნველყო მევენახეობა-მეღვინეობის დარგების პროგრესი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სამომხმარებლო ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ კანონის მოთხოვნები და ნორმები არ გახდა შესასრულებლად აუცილებელი მევენახისა და მეღვინესათვის. ეს კანონი თითქოს არც არსებობდა შესაბამისი მაკონტროლებელი და საზედამხედველო სამსახურებისათვის. განუკითხავად ირღვეოდა კანონით გათვალისწინებული დებულებები ვაზის სარგავი მასალის წარმოების და ახალი ვენახების გაშენების, აგრეთვე ვაზის ჯიშობრივი სიწმინდის დაცვის შესახებ. არ სრულდებოდა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების და რეგისტრაციის, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების სერტიფიცირების, ექსპორტისა და იმპორტის ელემენტარული პირობები. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგებში არსებული მდგომარეობის — „სტატუს ქვოს“ შენარჩუნებას, საბაზრო პირობებისათვის შეუსაბამო „მამა-პაპური“ წესით მუშაობის გაგრძელებას. შედეგმაც არ დააყოვნა. არნახულ მასშტაბს მიაღწია არა მარტო ღვინის, არამედ ღვინის პროდუქციის ფალსიფიკაციამ (საეჭვო წარმოშობის სპირტებზე არყის, ლიქიორის და სხვა შემაგრებული სასმელების წარმოება), რასაც სახელმწიფო მანქანა არა თუ ხელს უშლიდა, არამედ თავისი პასიური პოზიციით და ერთგვარი წაყრუებით ხელსაც კი უწყობდა. მაგალითისათვის მხოლოდ ერთ ფაქტს გავაანალიზებთ. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის 334-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში „ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ საჭიროებს დამატებით გადამუშავებას და განკუთვნილია უშუალოდ მოხმარებისათვის.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყანაში აკრძალულია ღვინო-მასალების, ღვინის კონცენტრატების, სპირტის ნაყენების, ყურძნის წვენის, ღვინის სპირტის და სხვა პროდუქტების იმპორტი, თუ ის საბოლოო მომხმარებელთან მიტანამდე კიდევ საჭიროებს დამატებით ტექნოლოგიურ და სხვა სახის გადამუშავებას.

მიუხედავად კანონმდებლობით აბსოლუტურად ნათლად და ცალსახად განსაზღვრული ამ მოთხოვნისა, გასულ 2005 წელს ქვეყანაში უხეში გათვლებით იმპორტირებულია მსოფლიოს ქვეყნებიდან (გერმანია, რუსეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ესპანეთი, ტაილანდი და ა.შ.) სხვადასხვა დასახელების ყურძნისეული წარმოშობის პროდუქცია (ყურძნის წვენები, ღვინო-მასალები და ა.შ) 28-30 ათ. ტონა ყურძნის ეკვივალენტური რაოდენობით (ანუ ყურძენზე გადაანგარიშებით). შედარებისათვის შევნიშნავთ, რომ 2005 წელს ქვეყანაში სულ წარმოებული 250 ათ. ტონა ყურძნიდან სამრეწველო გადამუშავების მიზნით შესყიდული იყო 78 ათ. ტონა. ეს მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რომ არა კანონის დარღვევით განხორციელებული ყურძნისეული პროდუქტების იმპორტი, რითაც არა მარტო იმერელი თუ კახელი ყურძნის მწარმოებელი, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიც გვარიანად ისარგებლებდა, ღვინის ქარხნებიდან ამოღებული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით.

სხვათაშორის, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ზემოაღნიშნული პრაქტიკა წარმატებით გრძელდება დღესაც ანუ კანონის დარღვევა წესადაა ქცეული. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში 334-ე ქვეპუნქტს მხოლოდ ერთი ძირითადი დატვირთვა აქვს, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და მინიმუმამდე დაიყვანოს ღვინისა და ღვინის პროდუქციის ფალსიფიკაცია ქვეყანაში. ამ ფონზე ძნელია კვალიფიკაცია მოუძებნო მსგავს კანონდარღვევებს და შეაფასო ის. ეს არის ჩვეულებრივი კორუფციის შედეგი, ქართული გულარხეინობა, კანონის უპატივცემლობა თუ საბოტაჟი მევენახეობის წინააღმდეგ. ისმის სავსებით კანონზომიერი კითხვა, ვის აწყობს კანონის დარღვევა? ერთი უდავოდ ცხადია, რომ ბოლო პერიოდში ყურძენი, როგორც ნედლეული, აღარაა მიმზიდველი მეღვინისათვის. მისგან დამზადებულ ღვინოს მეტი შრომა და ფულად-მატერიალური დანახარჯები ესაჭიროება. გაცილებით ადვილია უფრო ნაკლები დროისა და სახსრების დანახარჯებით ფალსიფიცირებული პროდუქციის გაკეთება. ამ ვარაუდს შესაბამისი მონაცემებიც ადასტურებს. კერძოდ, ფაქტია, რომ სამრეწველო გადამუშავების მიზნით ყურძნის შესყიდვის მოცულობა ქვეყანაში წლიდან წლამდე მცირდებოდა, ხოლო ღვინისა და ღვინის პროდუქციის იმპორტი კი თანდათან იზრდებოდა.

ვერ უზრუნველყო დაკისრებული ფუნქციების შესრულება „სამტრესტმაც“, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის დარგების მარეგულირებელმა სახელ-მწი-ფო სამსახურმა. დავიწყოთ იმით, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის 2-30 ბრძანებით აღნიშნულ სამსახურს გადაარქვეს სახელი და მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტის ნაცვლად „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის“ სახელით მონათლეს. შესაბამისად შეუცვალეს ფუნქციები, მიზნები და ამოცანები. კერძოდ, ხსენებული ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი “სამტრესტი“ უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი დარგში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნათა დაცვაზე და მიიღოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე შესაბამისი სახდელის გამოყენების თაობაზე“. ამგვარი უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ არადამაჯერებლად და შეუთავსებლად ჟღერს ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შინაარსი,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# კიდევ ერთხელ

მე-8 გვერდიდან

რომლითაც „სამტრესტის“ საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს „საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირება და შესაბამისი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება“. ამ ქვეპუნქტში სიტყვა „რეგულირება“, ჩვენი აზრით, უფრო „სინდისის დასამშვიდებლადაა“ ნახსენები, რადგან „სამტრესტის“ ფუნქციებში დარგის რეგულირების რაიმე არსებითი ბერკეტი ან მექანიზმი (ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ირიბი და ა.შ.) ნაჩვენები არ არის. ასე გადაიქცა დარგის მარეგულირებელი ორგანო საზედამხედველო და მაკონტროლებელ სამსახურად, რომლისთვის დაკისრებული 27 ფუნქციიდან ნახევარზე მეტი შინაარსობრივად მხოლოდ დარგის განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. მათ შორისაა „დარგის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა“, „ყალბი ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების, აგრეთვე სასაქონლო და სავაჭრო ნიშნების გამოყენების აღკვეთის ღონისძიებათა ხელშეწყობა“, „ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სხვა პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა“ და კიდევ მრავალი სხვა ფუნქცია, რომე-ლიც კანონდარღვევათა არა პრევენციას ან აღკვეთას (მაგალითად, ღვინის ფალსიფიკაციის, სასაქონლო და სავაჭრო ნიშნების, არასერტიფიცირებული ვაზის ნერგის გამოყენების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა), არამედ მხოლოდ მათ „აღმკვეთ ღონისძიებათა ხელშეწყობას“ ითვალისწინებს.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნებისმიერი უწყების, მათ შორის „სამტრესტის“ უფლება-მოვალეობათა რეალიზაცია შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას მოითხოვს, რომლის გარეშე მინიჭებული უფლების თუ დაკისრებული ფუნქციის შესრულება, დიდი სურვილის მიუხედავად, უბრალოდ, ვერ ხერხდება. თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლებში „სამტრესტის“ მჭლე ბიუჯეტს, გასაკვირი აღარ დარჩება, თუ რატომ შეიძინა მისმა ბევრმა პირდაპირმა ფუნქციამ მხოლოდ „ხელშეწყობის“ დატვირთვა, რომლის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებში გამოხატვა პრაქტიკულად გამორიცხულია. სამაგიეროდ, კარგად იზომება ის სოციალური თუ ეკონომიკური ზარალი, რომელიც ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათის აქტების მოთხოვნების უგულებელყოფით, საკანონმდებლო ნორმების და წესების დარღვევით ადგება სოფლად საქონელმწარმოებელს, რიგით მომხმარებელს და სახელმწიფო ბიუჯეტს. აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პროდუქციაზე რუსეთის მიერ დაწესებული ე.წ. ემბარგო, რომელსაც, მართალია, პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად, მაგრამ ამ საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი გულარხეინობაც, კანონის მოთხოვნებთან „არაკანონიერი“ დამოკიდებულება, „წაყრუების“ პოლიტიკა და სხვ., რომლითაც გარკვეული სამართლებრივი საფუძველი მოვუმზადეთ ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე აკრძალვას. მხედველობაში გვაქვს ქვეყანაში გამოცხადებული და რეალურად დაწყებული (მართალია, დაგვიანებით) ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

დღეს სახელისუფლებო წრეების საკმაოდ მაღალი რანგისა და წონის წარმომადგენლები თვლიან, რომ ღვინის ექსპორტის აკრძალვა რუსეთში ქვეყნის შიდა პროდუქტს მხოლოდ 1-2 პროცენტით თუ შეამცირებს და ამიტომ აქ საგანგაშოც არაფერიაო. ასეთი მიდგომა ფრიად არასერიოზული და ძირშივე არასწორია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო ღვინის პრობლემა ქვეყანაში 150 ათასზე მეტ ოჯახს ეხება, ხოლო თუ ღვინოს, ხილს, ციტრუსს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქციას დავუმატებთ, მაშინ თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ემბარგო მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეეხება საქართველოში.

ამდენად, ჩვენი გულარხეინობის შედეგი ქვეყნის ერთობლივ შიდა პროდუქტში მარტო პროცენტების შემცირებით არ გამოიხატება. მას გაცილებით მეტი ნეგატიური შედეგი ახლავს თან. იგი ქვეყნის ყველა მოსახლეზე პირდაპირ თუ ირიბად აისახება და დღევანდელი „სტატუს ქვოს“ შენარჩუნების შემთხვევაში ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია შესაძლოა სერიოზული გადახედვის საგანიც კი გახდეს. აღნიშნულის თქმის საბაბს იძლევა ღვინის მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ვითარება, სადაც ყოველწლიურად 1-1.5 მლნ. ტონა ღვინო ეძებს მომხმარებელს. 3-4 წელი, რომელშიც ხელისუფლება გვპირდება ღვინისათვის ალტერნატიული ბაზრის მოძიებას, სრულიად საკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს იმისათვის, რომ მევენახეობა ქვეყანაში, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის აუცილებელი პროდუქციის მწარმოებელ დარგად გადაიქცეს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ შიდა მოხმარების ღვინოებში უმეტესი წილი თეთრი ყურძნის ჯიშებისაგან წარმოებულ ღვინოებს უკავია, მაშინ შესაძლოა უპირატესად შავი და ვარდისფერი ყურძნის მომცემი ჯიშები გაიჩეხოს, რითაც ხარისხობრივ მევენახეობაზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მომავალში რამდენიმე თაობის დიდი ძალისხმევა დასჭირდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლების დღევანდელი და უპირველესი საზრუნავი ვაზის გადარჩენის პრობლემის მოგვარება უნდა გახდეს.

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა პრობლემის გენეზისი, რომელსაც არსებითი ობიექტური მიზეზები არ გააჩნია. ის მხოლოდ სუბიექტური ფაქტორებითაა განპირობებული. უნდა ვაღიაროთ, რომ რაც მოგვივიდა, ყველაფერი ჩვენი თავით მოგვივიდა და პრობლემის სხვაზე გადაბრალება ამჯერად აღარ გამოვა.

რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში სამრეწველო მევენახეობის და კონკურენტუნარიანი მეღვინეობის დარგების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის?

– ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ მსოფლიოში არ არის ღვინის მწარმოებელი, მეტნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც ღვინის წარმოების რეგულირების, კონტროლისა და განვითარების საქმეში სახელმწიფო ძირითად როლს არ ასრულებდეს. ამ საქმეში სახელმწიფოს როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ექსპორტზე ორიენტირებული დარგების, განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, რადგან სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ღვინის მსოფლიო ბაზარზე გატანა და უდიდესი ავტორიტეტის მქონე ფირმებთან კონკურენტულ ბრძოლაში ადგილის მოპოვება პრაქტიკულად გამორიცხულია.

– ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო სივრცე (ტერიტორია) არც თუ ისე დიდია, მაგრამ მისი ბუნების მრავალი უნიკალური კომპონენტი, ნაირგვაროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ფართო სპექტრი და ა.შ. იძლევა მცირემიწიანობის ეფექტური კომპენსირების საშუალებას, თუ აღნიშნული რესურსები მიზნობრივად მაღალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა (ანუ შედარებით მაღალი ღირებულების მქონე) პროდუქციის წარმოებისათვის იქნება გამოყენებული. ეს აქსიომატური დებულება ვაზის მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში უნდა გაგრძელდეს აღებული კურსი ვაზის ჯიშობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, მსოფლიო ბაზარზე მაღალი მოთხოვნისა და ღირსების მქონე ღვინოების წარმოების გადიდებისათვის, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი სტიმულების მექანიზმი (უნიკალური ვაზის ჯიშების გაშენების, მოვლა-პატრონობის და კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გასატარებლად).

– უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში, ღვინის სარეალიზაციო ბაზრების მონახვამდე, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს წვრილგლეხურ მეურნეობებში წარმოებული ყურძნის (40-50%) წინასწარ დადგენილი ფასებით შესყიდვა, ღვინის ქარხნებში საკონიაკე სპირტების, აგრეთვე ყურძნისგან სხვადასხვა ნატურალური პროდუქტის (წვენების, კონცენტრატების, ბადაგის და ა.შ.) წარმოებისათვის ხელშეწყობა. წარმოებული არაალკოჰოლური პროდუქციის შესყიდვა და რეალიზაცია საზოგადოებრივი კვების, სკოლების, საავადმყოფოების და სხვა საჯარო ტიპის დაწესებულებებში.

– მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით უნდა დამუშავდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მევენახეობა-მეღვინეობის დარგების მათრვის სისტემა.

– უნდა დაჩქარდეს ღვინის ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა, რათა ექსპორტზე დაიშვას მხოლოდ ის ღვინოები, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო მოთხოვნებს. დარგის განვითარების სტრატეგია მაღალხარისხოვანი და უნიკალური ღვინოების წარმოებას უნდა დაეფუძნოს, რათა ქართული ღვინოებს ხარისხის ხარჯზე შეეძლოს ყველა ზღუდის გადალახვა.

– აიკრძალოს ქართული ღვინოების ქვეყნიდან გატანა და ადგილობრივ ბაზრებზე რეალიზება შესაბამისობის სერტიფიკატის და საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნის მფლობელის თანხმობის გარეშე.

– ყალბი სასაქონლო ნიშნების გამოყენებისა და ქართული პროდუქციის ფალსიფიცირების ფაქტების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია დაზუსტდეს გეოგრაფიული დასახელების და მათ გამოყენებაზე კანონიერად მოსარგებლე ფირმების ჩამონათვალი და გადაეცეს დსთ-ს ქვეყნების მაკონტროლებელ ორგანოებს.

– „ღვინისა და ყურძნის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, კონტროლირებადი დასახელების ღვინოების წარმოშობისა და რეალიზაციის სფეროში ფალსიფიცირებისა და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების პრაქტიკის აღსაკვეთად, დაჩქარდეს შესაბამისი კონტროლის მექანიზმების ამოქმედება, მათ შორის:

1. კონტროლირებადი დასახელების ღვინოების ატესტაციის, წარმოებისა და ხარისხის კონტროლის წესების მიღება და ამოქმედება;

2. შეიქმნას ქართული ღვინოების სერტიფიცირების წარმომადგენლობითი ორგანო (სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეწარმეთა, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით). დამტკიცდეს მისი წესდება და პროცედურის წესები.

– აუცილებელია სერტიფიცირების წესებისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, სასერთიფიკაციო ორგანოების აკრედიტაციის სისტემის რაციონალიზაცია, სავალდებულო და ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის მკვეთრად გამიჯვნა, ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი (შიდასაწარმოო კონტროლი) სისტემების განვითარება, სერტიფიცირების ნებაყოფლობით სისტემაზე თანდათანობით გადასვლა და სხვ.

– ფალსიფიკაციასთან ბრძოლის გააქტიურების მიზნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სასაქონლო და სავაჭრო ნიშნების განსახელმწიფოებრიობა, რაც სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის ღვინის ფალსიფიკატორებთან ბრძოლას.

– საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ხელშეკრულება „თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ“ ითვალისწინებს კანონმდებლობათა დაახლოებასა და ჰარმონიზაციას. საჭიროდ მიგვაჩნია დროულად გადაიხედოს საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“ ევროკავშირის ღვინის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამასთან ერთად საჭიროა გამკაცრდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებილი სანქციები „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონის ნორმებისა და მოთხოვნების დარღვევათა მიმართ.

– საჭიროა გადაიხედოს „ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის“ დებულება, მასში დარგის სახელმწიფო რეგულირების რეალური მექანიზმების გათვალისწინებით. რადგან მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი ღვინის და ყურძნისეული პროდუქციის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება.

– უნდა ვისწავლოთ კანონის პატივისცემა და მისდამი მორჩილება, როგორი ცუდიც არ უნდა იყოს ის. ცხადია, რომ ვაზისა და ღვინის პრობლემა ასეთი სიმწვავით არ დადგებოდა შესაბამისი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან საკანონმდებლო, ნორმატიული აქტების მოთხოვნების სრულად დაცვის პირობებში. ტყუილად არ ამბობენ: „ყოველი ერი ისე უნდა იცავდეს კანონს, როგორც მის მფარველ ციხე-გალავანსო“.

**პაატა კოლუაშვილი,**
ეკ. მეც. დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

# არითმეტიკის მეხუთე კანონი

*გასულ წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ერთ-ერთ გამომცემლობას დაუკვეთა სკოლის სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებაში. გამომცემლობამ, თავის მხრივ, იქირავა ავტორები, მოამზადა სახელმძღვანელო და გადასცა დამკვეთს. სამინისტროს „სპეციალისტებმა“, საპასუხოდ, გამომცემლობას გაუგზავნეს შენიშვნები, რომელთაგან ერთ-ერთი ასე ჟღერს: „განგვიმარტეთ, „ფიქრი“ რომელ (!) უნარ-ჩვევის განვითარებას ემსახურება“ (ამ ლოგიკით ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორებს, ალბათ, კითხვა ასე უნდა დავუსვათ: „რომელი უნარ-ჩვევის განვითარებას ემსახურება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“!!!“). ეს შენიშვნა, რაგინდ სასაცილოდაც უნდა მოგეჩვენოთ, ზუსტად ასახავს დღეს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების შინაარსს და მიზნებს. „ფიქრი“, როგორც „რევოლუციამდელი გადმონაშთი“, საერთოდ არ სჭირდებათ „ნათელი მომავლის“ მშენებელ „რეფორმატორებს“.*

*ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია პარიზის პიერ და მარია კიურების სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ ვიქტორ დოცენკოს ვრცელი წერილი საფრანგეთის განათლების, უკვე რეფორმირებულ, სისტემაში არსებული ანომალიური სიტუაციის შესახებ.*

ისტორიკოსები დღემდე კამათობენ, თუ როგორ მოხდა, რომ ბრძენმა და განათლებულმა ეგვიპტელებმა თვალის დახამხამებაში დაკარგეს შესანიშნავი პირამიდების შენების უნარი? ყველაფერი ეს მოხდა სულ რამოდენიმე თაობის განმავლობაში (IV და V დინასტიების მიჯნაზე, დაახლოებით XXVI საუკუნეში ქრისტეს შობამდე). ეს იყო მართლაც გამაოგნებელი ისტორიული კატასტროფა. საუკუნეობით სწავლობდნენ, ხვეწდნენ ოსტატობას, თაობიდან თაობებს გადასცემდნენ დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას, შემდეგ ააშენეს სამი დიდი პირამიდა (ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინის) და... ერთბაშად ყველაფერი დაავიწყდათ. დაკარგეს ცოდნა, დაკარგეს ოსტატობა, დაკარგეს ელემენტარულ მოვლენათა აღქმის უნარი. განსაკუთრებით საკვირველი ის არის, რომ ყველაფერი, თითქოს და, თავისთავად მოხდა, ომებისა და ბარბაროსთა შემოსევების გარეშე. ის, რაც შემდგომ აშენდა, გამოიყურება პირამიდების საცოდავ მიმსგავსებად და არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

დღეს უკვე ვიცი, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ამგვარი რამ. საქმე ისაა, რომ უკვე მეხუთე წელია ვასწავლი ფიზიკასა და მათემატიკას პარიზის უნივერსიტეტში (პიერ და მარია კიურების სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც " არის VI"). უნდა ითქვას, რომ განათლების დონით არც პარიზს უკავია უკანასკნელი ადგილი ჩვენს პლანეტაზე და არც ჩემს უნივერსიტეტს – პარიზში. რუსეთი ყოველთვის რამდენადმე ჩამორჩება დასავლეთს და, თუ იმით ვიმსჯელებთ, რაოდენ ენერგიულად შეუდგა რეფორმებს ჩვენი მშობლიური სამინისტრო და, რაც მთავარია, რად გარდაქმნას გვპირებს ამ რეფორმების მიხედვით, ჩემთვის პარიზის მაგალითის გათვალისწინებით ნათელია, რა გველის არც თუ შორეულ მომავალში. მე არა მაქვს პრეტენზია „მომავლიდან გამოცხადებული წინასწარმეტყველის“ როლზე და, ამდენად, შევეცდები გვერდი ავუარო განზოგადებებს. მითუმეტეს, რომ ჩემს ძალებს აღემატება საფრანგეთის განათლების საშუალო დონის (რომელზეც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს) და ახლანდელი რუსეთის განათლების საშუალო დონის (რომელზეც მით უფრო არაფერი ვიცი) შედარება. ხოლო თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, საერთოდ არ მესმის, რას ნიშნავს ტერმინი „განათლების საშუალო დონე“. მე მხოლოდ პირად გამოცდილებას გაგიზიარებთ – როგორც ამბობენ, „რასაც ვხედავ – იმასვე ვმღერი“.

თავიდან მცირე ცნობა: საფრანგეთში დიდი ხანია შემოღებულია და მოქმედებს „ერთიანი ეროვნული გამოცდები“ (ეეგ), ოღონდ აქ ამ გამოცდებს ბაკ-ი ჰქვია – სიტყვიდან ბაკალავრი. ფრანგული ბაკ-ის შემოღების მოტივაცია დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენი ეეგ-ისა: ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებში უნდა იყოს, განათლების ნიადაგზე აღმოცენებული კორუფცია უნდა აღმოიფხვრას, მოთხოვნები კურსდამთავრებულთათვის უნიფიცირებული უნდა იყოს და ა.შ... მოკლედ, ყველაფერი უნდა იყოს სამართლიანად და პატიოსნად. არის განსხვავებაც: ბაკ-ს აქვს რამდენიმე სპეციალიზაცია: ის შეიძლება იყოს სამეცნიერო, როცა პრიორიტეტი (მეტი კოეფიციენტი) აქვთ გამოცდებს მათემატიკასა და ფიზიკაში, ჰუმანიტარული, როცა პრიორიტეტი ენიჭება ენებს, ფილოსოფიური, ეკონომიკური და ა.შ... ახალგაზრდას, რომელმაც ჩააბარა ბაკ-ი, უფლება აქვს, მისაღები გამოცდების გარეშე ჩაეწეროს თავისი პროფილის ნებისმიერ უნივერსიტეტში (თუმცა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, – ჩაწერა ფრანგებს, დიახაც, რომ აქვთ) და ისწავლოს იქ სრულიად უფასოდ (თუ არ ჩავთვლით საკომისიო მოსაკრებელს – 300 ევროს – ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში). თუ სტუდენტი დოკუმენტურად დაამტკიცებს, რომ მისი ოჯახის შემოსავლები გარკვეულ ოდენობაზე ნაკლებია, მაშინ შეუძლია მიიღოს სტიპენდია. მოსწავლეს, რომელმაც ბაკ-ი გარკვეულ დონეზე (15 ქულაზე მეტი 20-დან) უკეთ ჩააბარა, უფლება აქვს, ჩაეწეროს ე.წ. „გრანდ ეკოლის“ (ყველაზე ცნობილი მათ შორის არის „ეკოლ ნორმალ სუპერიერი“) მოსამზადებელ განყოფილებაზე. ეს არის ერთგვარი ელიტარული უნივერსიტეტი, რომელში მოსახვედრადაც მოსამზადებელი კურსების შემდეგ მისაღები გამოცდები ბარდება. სტუდენტთა განთესვა გრანდ ეკოლში, ისევე როგორც სხვა უნივერსიტეტებში, ზამთრის და გაზაფხულის სესიებზე ხდება. თუ სტუდენტის მიერ გამოცდებზე მიღებული ქულების ჯამი გარკვეულ რაოდენობაზე ნაკლებია, მას გარიცხავენ (ან, გარკვეულ შემთხვევაში ტოვებენ მეორე წლით). განთესვა ძალიან სერიოზულად მიმდინარეობს – ჩემს უნივერსიტეტში პირველ ზამთრის სესიაზე სტუდენტთა 40%-ს რიცხავენ, ხოლო მომდევნოებზე – 30%-ს და ა.შ... ამის შედეგად სწავლების მეორე წლის ბოლოს თავდაპირველი რაოდენობის მეოთხედი თუ რჩება უნივერსიტეტში (ფაქტობრივად, ეს არის ორი წლის მანძილზე გაწელილი მისაღები გამოცდები). განთესვა შემდეგშიც გრძელდება, თუმცა არა ასეთი ინტენსივობით. საბოლოოდ კი სწავლას აგვირგვინებს ორ ან სამწლიანი ე.წ. დეა, რომელიც მცირე კორექტივებით ჩვენს ასპირანტურას შეესაბამება და რომელიც, როგორც ჩვენთან, დისერტაციით და სამეცნიერო ხარისხით მთავრდება (უფრო ზუსტად, უნდა დამთავრდეს). ბუნებრივია, ამას მხოლოდ „ყველაზე, ყველაზე ძლიერები“ აღწევენ.

საკმაოდ მოსაწყენი შესავალი რომ დავამთავროთ, ცოტა რამ ჩემ შესახებ: ვარ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ვმუშაობ თეორიულ ფიზიკაში, უნივერსიტეტ „ არის VI“-ში, ვუკითხავ მათემატიკასა და ზოგად ფიზიკას პირველკურსელებს; და კიდევ: „კონტრასტული შხაპის“ სახით მიმყავს სემინარები თეორიულ კურსში (არ განვმარტავ, რის შესახებ) ბოლო წლის ასპირანტებისათვის „ეკოლ ნორმალ სუპერიერში“ (ანუ ზუსტად იმათთვის, რომლებიც არა მხოლოდ „ყველაზე, ყველაზე“, არამედ „სუპერ“ და „ექსტრა“ არიან).

როგორც ხედავთ, განათლების სისტემა თითქოს კარგად და გონივრულადაა მოწყობილი და ყოველივე ამისათვის ფულიც კი არის (მართალია, ფრანგები სულ ტირიან, რომ თანხები განათლებას კატასტროფულად არ ჰყოფნის, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ იციან, რას ნიშნავს სინამდვილეში – „არ ჰყოფნის“). ამის მიუხედავად, მინდა გავაგებინო მათ, ვინც ჯერ არ იცის, რომ „გვინდოდა უკეთ, მაგრამ გამოვიდა, როგორც ყოველთვის“ ხდება არა მხოლოდ რუსეთში. ფრანგული განათლება (და მე ვეჭვობ, რომ არა მხოლოდ ფრანგული) – ამის ნათელი მაგალითია.

ჩემი მოღვაწეობის სპეციფიკის გამო თხრობის დროს იძულებული ვიქნები, მივმართო უმაღლესი მათემატიკის „ექსპერტებს“. მხედველობაში ისინი მყავნან, ვინც ფლობს არითმეტიკის ოთხივე მოქმედებას, ამასთანავე იცის წილადების შეკრება და გამრავლების ტაბულა.

მაშ ასე, ამ სასწავლო წელს აღმოვაჩინე, რომ ჩემს 50 პირველკურსელს შორის (მე ორი ჯგუფი მყავს) 8-ს ჰგონია, რომ სამი მეექვსედი (3/6) ერთი მესამედის (1/3) ტოლია. ხაზს ვუსვამ, ამ ახალგაზრდებმა ახლახან ჩააბარეს სამეცნიერო ბაკ-ი, ანუ ის, რომელშიც პრიორიტეტი ფიზიკა-მათემატიკას ენიჭება. ექსპერტები, ვისაც ამ ამბავს ვუყვები და ვისაც არა აქვს პარიზის უნივერსიტეტებში სწავლების გამოცდილება, მაშინვე ჩიხში ექცევიან, ცდილობენ რა გაიგონ, თუ როგორ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს. ისინი უშვებენ ყველა ექსპერტისათვის დამახასიათებელ სტანდარტულ შეცდომას, უნდათ დაინახონ ამაში ლოგიკა, ეძებენ მათემატიკურ მსჯელობას (მცდარს), რომელსაც ასეთ შედეგამდე მივყავართ. სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივია: სტუდენტებს ეს სკოლაში დაასწავლეს და მათ კი, როგორც ბეჯითმა მოსწავლეებმა (უნივერსიტეტში მხოლოდ ბეჯითები ხვდებიან), დაიმახსოვრეს. აი, ასე! მორიგ გაკვეთილზე (რომელიც ფუნქციის წარმოებულს ეხებოდა) თემას მცირედად გადავუხვიე და სტუდენტებს ვაუწყე, რომ 3/6 1/2-ის ტოლია და არამც და არამც 1/3-ისა, როგორც ზოგ-ზოგიერთები თვლიან. რეაქცია ასეთი იყო – „დიახ, გასაგებია“. რომ მეთქვა, სამი მეექვსედი ერთი მეათედის ტოლია, რეაქცია ანალოგიური იქნებოდა.

წინა ორი სასწავლო წლის განმავლობაში 10 –15 % ჩემი მოსწავლეებისა სისტემატურად ავლენდა სხვა, არანაკლებ, „არასტანდარტულ მათემატიკურ ცოდნას“. ისინი თვლიდნენ, რომ ნებისმიერი რიცხვი ხარისხად -1 ნულის ტოლია. თან ეს არ იყო შემთხვევითი ფანტაზია, არამედ კარგად შეთვისებული ცოდნა, რომელიც მრავალჯერადად (ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად) და ორივე მიმართულებით ვლინდებოდა: თუ რაღაც რიცხვი იყო ხარისხად -1, ის იქვე უტოლდებოდა ნულს და პირიქით თუ რაიმეს განულების საჭიროება არსებობდა, იქვე მოშველიებული იყო ხარისხი -1. რეზიუმე იგივეა: მათ ასე ასწავლეს.

აი, რასაც ვერაფრით ვერ ასწავლიან საცოდავ ფრანგ ბავშვებს, ეს – წილადებზე მოქმედებებია. საერთოდ, წილადები (მათი შეკრება, გამოკლება, გამრავლება და, განსაკუთრებით, გაყოფა) ჩემი სტუდენტების მუდმივი თავსატეხია. პარიზში ჩემი ხუთწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია გაგანდოთ, რომ ასე თუ ისე თამამად წილადებზე მოქმედებებს ჩემი I კურსელების მხოლოდ მეათედი ახერხებს. უნდა ითქვას, რომ არითმეტიკული ოპერაცია – გაყოფა, – ფრანგული საშუალო განათლების ნამდვილი აქილევსის ქუსლია. წარმოიდგინეთ, რომ ბავშვს უნდა აუხსნათ გაყოფა, ალბათ დაიწყებდით იმით, რომ 6 ვაშლს 3 ბიჭზე თანაბრად გაანაწილებდით, არა? ნურას უკაცრავად. რომ მოგიყვეთ, როგორ ასწავლიან გაყოფას ფრანგულ სკოლაში, ისევ ექსპერტებს მივმართავ. ყველას არა, მაგრამ ზოგიერთს, შესაძლოა, ჯერ კიდევ ახსოვს ქვეშმიწერით გაყოფის წესი. მაშ ასე, ფრანგულ სკოლაში ოპერაცია გაყოფას ასწავლიან ისეთი ფორმალური ალგორითმის სახით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, 2 რიცხვიდან (გასაყოფი და გამყოფი) მკაცრად განსაზღვრული მათემატიკური მანიპულაციის გზით მივიღოთ მესამე რიცხვი (განაყოფი). რა თქმა უნდა, ამ საშინელების ათვისება მხოლოდ უამრავი სავარჯიშოს გაკეთებით შეიძლება. ეს სავარჯიშოები კი შემდეგნაირია: საცოდავ მოსწავლეებს აძლევენ თავსატეხებს უკვე შესრულებული ქვეშმიწერით გაყოფის სახით, რომელშიც რამდენიმე ციფრია გამოტოვებული და სწორედ ამ გამოტოვებული ციფრების პოვნაა საჭირო. ბუნებრივია, ამის შემდეგ რაც არ უნდა გითხრან 3/6-ზე, დაეთანხმები ყველაფერს.

რა თქმა უნდა, გარდა სკოლაში მიღებული სისტემური „არასტანდარტული“ ცოდნისა, ხშირად ვხვდებით სტუდენტთა პირად ფანტაზიებსაც. ზოგიერთი მათგანი ძალიან სასაცილოა. მაგალითად, ერთმა ყმაწვილმა შემოგვთავაზა მნიშვნელიდან მრიცხველში რიცხვი გადაგვეტანა ნიშნის შეცვლით, მეორე გოგონამ, როცა ვექტორებს შორის კუთხის კოსინუსი 8-ის ტოლი მიიღო, დაასკვნა, რომ კუთხე 360□-სა და 8-ის ნამრავლს უდრიდა და ა.შ. მსგავსი კაზუსების მოზრდილი კოლექცია მაქვს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებს კიდევ გააჩნიათ ფანტაზია, არც ისე ცუდია. სკოლაში ხომ უკვე გადააჩვიეს ფიქრს (ვინც ვერ გადააჩვიეს, უნივერსიტეტში გადააჩვევენ), დაე, ასე მაინც გამოავლინონ გონების სისხარტე (მანამ, სანამ გონება და სისხარტე კიდევ შერჩენიათ).

დიდი ხნის განმავლობაში ვერაფრით ვიგებდი, განათლების ასეთი დონით ამ ახალგაზრდებმა როგორ ჩააბარეს ბაკ-ი, რომლის ამოცანები, როგორც წესი, შედგენილია საკმაოდ მაღალ დონეზე და რომელთა ამოხსნა საკმაოდ სერიოზულ ცოდნას მოითხოვს. აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად ყველა ამოცანა კარგი კალკულატორის საშუალებით იხსნება – ისინი (კალკულატორები) ძალიან ჭკვიანები არიან. თანამედროვე კალკულატორი ნებისმიერ ალგებრულ გარდაქმნას ასრულებს, ფუნქციის წარმოებულსაც პოულობს და მის გრაფიკსაც დახაზავს. სხვა თუ არაფერი, ღილაკებზე სწრაფი და სწორი თანმიმდევრობით თითის დაჭერას ახალგაზრდები ძალიან იოლად სწავლობენ, თუმცა ხანდახან შეიძლება შეცდნენ კიდეც, სიჩქარეში იმ ღილაკს არ დააჭერენ თითს და „კონფუზიც“ არ დააყოვნებს. თუმცა „კონფუზი“ - ეს ჩემი ძველმოდური გაგებით, თორემ მათი მოწინავე აზრით – უბრალოდ შეცდომაა – რას იზამ, ხდება ხოლმე. მაგალითად, ჩემმა ერთმა სტუდენტმა დედამიწის რადიუსი 10 მილიმეტრი მიიღო. საუბედუროდ, სკოლაში არ ასწავლეს (ან ვერ დაიმახსოვრა), რა ზომისაა ჩვენი პლანეტა, ამიტომ მიღებულმა 10 მმ-მა ის არ განაცვიფრა და მხოლოდ მაშინ, როცა ვუთხარი, რომ პასუხი არასწორია, დაიწყო შეცდომის ძებნა, – უფრო ზუსტად, მეტი გულმოდგინებით შეუდგა ღილაკებზე თითის დაჭერას და მეორე ცდით მიიღო კიდეც სწორი პასუხი. იგი ბეჯითი მოსწავლე იყო, მაგრამ სრულიადაც არ აღარდებდა, რა რადიუსი აქვს დედამიწას – 10 მილიმეტრი თუ 6400 კილომეტრი, – რამდენსაც გეტყვიან, იმდენი იქნება.

ნუ იფიქრებთ, რომ პრობლემის გადაწყვეტა კალკულატორების აკრძალვით შეიძლება: ასეთ შემთხვევაში ბაკ-ს ვერავინ ჩააბარებს. ბავშები იძულებულნი იქნებიან, სკოლის დამთავრებისთანავე ეძებონ სამუშაო და მათთან ერთად უმუშევარი დარჩება უნივერსიტეტების პროფესორთა მთელი არმია – მოხდება საშინელი სოციალური აფეთქება. ასე რომ, კალკულატორებისთვის ხელის ხლება არ ღირს, მით უმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსწავლეები ღილაკებზე თითებს სწორად აჭერენ.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლიან მათემატიკასა და ფიზიკას უნივერსიტეტში. მათემატიკის აზრით შემოდგომის სემესტრში ისწავლება სამი თემა: ტრიგონომეტრია (სინუსები, კოსინუსები და ა.შ.), ფუნქციების წარმოებული და სტანდარტული ფუნქციების რამდენიმე ინტეგრალი, ანუ ყველაფერი ის, რაც უნდა სცოდნოდა სტუდენტს, ბაკ-ი რომ ჩაებარებინა, მაგრამ უნივერსიტეტში ხელახლა ასწავლიან, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად რომ „ისწავლონ“.

ტრიგონომეტრიის შესწავლა 0□, 30□, 45□, 60□, 90□ სტანდარტული კუთხეების სინუსის, კოსინუსის, ტანგენსის, კოტანგენსის ცხრილითა და ამ ფუნქციებს შორის რამდენიმე სტანდარტული დამოკიდებულებით ამოიწურება. ბეჯითმა სტუდენტებმა, რომლებიც არც ისე ცოტანი არიან, ეს ისედაც იციან. მე ჩემს სტუდენტებს ყოველ წელს ჯიუტად ვუსვამ ერთსა და იმავე შეკითხვას: ვის შეუძლია ახსნას, თუ რატომ არის 30□-იანი კუთხის სინუსი ?-ის ტოლი. უკვე ხუთი წელია ვასწავლი, ყოველ წელს 50 სტუდენტი მყავს და 250 სტუდენტიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ კითხვას პასუხი ვერავინ გასცა. უფრო მეტიც, მათი აზრით, თვითონ შეკითხვაა მოკლებული აზრს: ის, თუ რისი ტოლია ყველა ეს სინუსი თუ კოსინუსი (აგრეთვე მთელი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

*მე-10 გვერდიდან*

დანარჩენი ცოდნა, რომელსაც მათ სკოლაში აზეპირებინებენ და ახლა უნივერსიტეტში აზუთხვინებენ), – ეს, უბრალოდ, რაღაც მოცემულობაა, რომელიც უნდა დაიმახსოვრონ. და მაინც, ყოველ წელს გულის გამაწვრილებლად ვცდილობ მათ გადარწმუნებას, ვცდილობ ავუხსნა, საიდან რა მოდის, რა კავშირი აქვს მთელ ამ ცოდნას იმ სამყაროსთან, რომელშიც ჩვენ, მე და ჩემი სტუდენტები, ვცხოვრობთ, ძალისხმევას არ ვიშურებ, რომ მათთვის ეს საინტერესო იყოს, ისინი კი მიყურებენ როგორც სულელს და მოთმინებით ელიან, ბოლოს და ბოლოს, როდის ვეტყვი, რა უნდა დაიზუთხონ. უზარმაზარ მიღწევად ვთვლი, თუ სემესტრის ბოლოს ერთი ან ორი სტუდენტი დამისვამს შეკითხვას „რატომ?“. სამწუხაროდ, ასეთ შედეგს ყოველ წელს ვერ ვაღწევ.

ახლა ფუნქციის წარმოებული. ძვირფასო ექსპერტებო, არ შეშინდეთ: არავითარი კოშის თეორემა, არავითარი „მოცემულია ნებისმიერად მცირე ეფსილონ მეტი ნულზე...“ აქ არ იქნება. როდესაც მე ვიწყებდი უნივერსიტეტში მუშაობას, იმისათვის, რომ გამეგო, რა ხდებოდა, ჩემი კოლეგების ლექციებს ვესწრებოდი და შედეგად აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი გაცილებით, ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ოდესღაც ჩვენ გვასწავლეს. ვჩქარობ გაგიზიაროთ ჩემი აღმოჩენა. ფუნქციის წარმოებული - ეს არის შტრიხი, რომელიც ფუნქციას მარჯვენა ზედა კუთხეში დაესმება. ღმერთია მოწმე – არ ვხუმრობ, მართლა ასე ასწავლიან. რა თქმა უნდა, ამით ყველაფერი არ მთავრდება, საჭიროა იმის შესწავლაც, რა მოხდება, როცა შტრიხს ფუნქციას დაუსვამ და ა.შ. შესასწავლია ცხრილი, რომელშიც მოცემულია, თუ რას უშვრება ეს შტრიხი ცნობილ სტანდარტულ ფუნქციებს, ამასთანავე, უნდა დაიმახსოვრონ, რომ, თუ ამ მაგიური ოპერაციების შედეგი დადებითი აღმოჩნდა, მაშინ ფუნქცია იზრდება და, თუ უარყოფითი, ფუნქცია იკლებს. გაინტეგრალებაც – მსგავსი ისტორიაა: ინტეგრალი - ეს ვერტიკალური კლაკნილია; რომელიც დაისმება ფუნქციის წინ, შემდეგ მოცემულია ამ კლაკნილთან ურთიერთობის წესები და ცალკე შეტყობინება: ინტეგრირების შედეგი მრუდქვეშა ფართობია (ვის რა ეშმაკად უნდა ეს ფართობი?...).

ფიზიკის სწავლების მეთოდიკაც ანალოგიურია, მაგრამ მოსაყოლად მოსაწყენი, რადგან აქ არც ისე ბევრია სასაცილო. ამიტომ მოკლედ (სრული სურათის წარმოსადგენად): პიერ და მარია კიურების სახელობის უნივერსიტეტში I სემესტრში ფიზიკის კურსი იწყება, წარმოიდგინეთ, წრფივი ოპტიკით (თან, რატომღაც, ლაბორატორიულ სწავლებას იწყებენ ოსცილოგრაფით), შემდეგ ორი მეცადინეობის განმავლობაში ზედიზედ სწავლობენ ფიზიკურ სიდიდეთა განზომილებების უშველებელ ცხრილებს (მაგალითისთვის, როგორ გამოისახება კილოგრამებში, მეტრებში და წამებში გრავიტაციული მუდმივა და ა.შ.; თანაც, აღვნიშნავ, რომ მათ წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის ეს გრავიტაციული მუდმივა), შემდეგ – მექანიკა (ძალთა თანაფარდობა, ბურთულების შეჯახება და ა.შ.) და შემოდგომის სემესტრს აგვირგვინებს, რატომღაც, ჰიდროდინამიკა. რატომ მაიც და მაინც ასეთი არჩევანი? – წარმოდგენა არა მაქვს; შესაძლებელია ეს ის მცირედია, რაც ჩვენი სექციის მთავარმა კოორდინატორმა იცის. რატომ მაინცდამაინც ასეთი თანმიმდევრობით? – ისე, ჩვენში დარჩეს, რა მნიშვნელობა აქვს რა თანმიმდევრობით დაიზუთხავ ყოველივე ამას...

საცოდავი პიერ და მარია კიურები... ალბათ საფლავში ტრიალებენ...

შევეცდები ჰუმანიტარებს მთელი ამ აბდა-უბდის შორეული ანალოგია შემოგთავაზოთ. წარმოიდგინეთ, რომ რუსული ლიტერატურის საუნივერსიტეტო კურსი შედგებოდეს შემდეგი საკითხებისგან: 1. ჩეხოვის შემოქმედება; 2. XIX – XX საუკუნეების რუსული და საბჭოთა მწერლობის ლინგვისტური ანალიზი; 3. თქმულება იგორის ლაშქრობაზე; 4. პლატონოვის შემოქმედება და მორჩა...

რაც შეეხება „ეკოლ ნორმალ სუპერიერის“ ასპირანტებს (ანუ იმათ, ვინც „სუპერ, ყველაზე, ყველაზე“ არის), აქ სიტუაცია სხვაგვარია. მათ ისეთი მკაცრი შერჩევა გაიარეს, რომ თავისუფალ ფანტაზიორებს, მითუმეტეს – ფუქსავატებს, მათ შორის ვერ შეხვდებით. უფრო მეტიც, წილადებშიც კარგად ერკვევიან, ალგებრაც იციან და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც ამ ასაკში უნდა იცოდნენ. ისინი ზედმიწევნით მიზანდასახულნი, შრომისმოყვარენი და კარგი შემსრულებლები არიან, დისერტაციებთან დაკავშირებითაც, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი წესრიგში ექნებათ. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ აზროვნება არ შეუძლიათ, მითითების შესრულება?! – კი ბატონო, რაიმეს დამახსოვრება?! – რამდენიც გენებოთ, მაგრამ აზროვნება? – ნურას უკაცრავად, ორგანიზმის ეს უნარი, სამწუხაროდ, მთლიანად ატროფირებული აქვთ. თეორიული ფიზიკა მათ, რა თქმა უნდა, არ იციან, სამაგიეროდ, აქვთ „მრავალფეროვანი“ ცოდნა უამრავი წვრილმანის შესახებ, მაგრამ ეს ცოდნა ჭრელია და წარმოადგენს პატარ-პატარა ცოდნების ქაოტურ მოზაიკას. ამ პატარ-პატარა ცოდნებს წარმატებით იყენებ, თუ მათთვის მომზადებული კითხვები წინასწარ შეთანხმებული და თავსებადია ცოდნის აღნიშნულ მოზაიკასთან. მაგალითად: თუ ასეთ ასპირანტს რაიმეს ეკითხებიან, მაშინ პასუხი უნდა იყოს ან ცოდნა „ “, ან ცოდნა „ “, ან ცოდნა „ჩ“, იმიტომ, რომ, თუ პასუხი არც „ “, არც „ “, არც „ჩ“-ა, ასპირანტს დამბლა ემართება, დამბლა, რომელსაც ჰქვია – „ასეთი რამ შეუძლებელია“. „ეკოლ ნორმალ სუპერიერის“ ასპირანტებსაც აქვთ ცოდნის სერიოზული ხარვეზები, თუმცა ამ შემთხვევაში საწყალი ბავშვები უდანაშაულონი არიან – რას იზამ, ასეთი მასწავლებლები ჰყავდათ. ყოველ წელს აღმოვაჩენ ხოლმე, რომ არც ერთ ჩემს ასპირანტს „ეკოლ ნორმალ სუპერიერიდან“ არ შეუძლია გაუსის ინტეგრალის აღება და არც იმაზე აქვს წარმოდგენა, თუ რა არის იგი. ეს ასპირანტები შესანიშნავი შემსრულებლები გახდებიან, როგორც ის „რობოტი შემსრულებლები“ ძველი ფილმიდან “მოსკოვი – კასიოპეა”. ამიტომაც პირველკურსელებთან მუშაობა უფრო მსიამოვნებს, მათთან ჯერ კიდევ ღვივის იმედის ნაპერწკალი, რომ ვინმეს რაიმეს ვასწავლი.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, წლიდან წლამდე, ადრეული ასაკიდან მთელი ამ ნაბოდვარის ზუთხვა; ისიც ცხადია, რომ ყველაფრის გაზუთხვა შეუძლებელია; თვით ყველაზე ბეჯით მოსწავლეებს, თუნდაც მცირედში, მაგრამ მაინც აქვთ ხარვეზები. პრაქტიკაში ეს ყველაფერი აღმაშფოთებლად გამოიყურება (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც). წარმოიდგინეთ ბეჯითი სტუდენტი – იცის გაწარმოება, იცის ინტეგრირება (ანუ მან დაიზუთხა წესები „შტრიხისა“ და „ვერტიკალური კლაკნილის“ შესახებ), მაგრამ არ იცის წილადების მიმატება, ან მიმატება იცის – გამოკლება კი არა (არ ისწავლა თავის დროზე)! ამავე დროს, ისწავლა მთელი გამრავლების ტაბულა, მაგრამ არ იცის, რამდენია 6-ჯერ 7 (შეიძლება ავად იყო, როცა მასწავლებელი ამას ხსნიდა). ალბათ უკვე მიხვდით, ასეთ ვითარებაში 3/6 არათუ 1/3-ის, არამედ, რისიც გნებავთ, იმის ტოლი შეიძლება იყოს. თუ გნებავთ, ამას დავარქვათ „არითმეტიკის მეხუთე კანონი“ – რამდენსაც გეტყვიან, იმდენი იქნება!

ჩემთვის უცნობია, თუ რამდენი ხანი გრძელდება აქ ეს საგანმანათლებლო „აპოკალიფსი“, შესაძლებელია ათი წელი ან ოდნავ ნაკლები, თუმცა ცხადია, რომ სკოლებში უკვე მივიდნენ „ახალი თაობის“ მასწავლებლები – აი, ასეთი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი – მე ამას ჩემი სტუდენტების მაგალითზე ვხედავ. რაც შეეხება ჩემს კოლეგებს, უნივერსიტეტის დღევანდელ პროფესურას..., არა, მათ არითმეტიკასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში აქვთ, და, საერთოდ, გარკვეული აზრით, ყველანი საკმაოდ განსწავლულნი არიან – გადაშენების გზაზე მყოფი ეს თაობა თანდათან ბერდება და ქრება. მეორე მხრივ, როცა განათლების სისტემაში ასეთ საყოველთაო „ბარდაკს“ აქვს ადგილი, თაყვანდებიან არა მარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლებიც. როგორც ჩანს, ეს ბუნების გარდაუვალი კანონია – გახრწნილება ხრწნის („მსგავსი მსგავსს შორის“!?)...

ამ სასწავლო წელს სასემესტრო საკონტროლოზე ერთ-ერთი ამოცანა (მე მგონია, მას ჩვენი მერვე ან, შესაძლოა, მეშვიდეკლასელები ჯეროვნად შეაფასებენ) შემდეგნაირი იყო: „საჰაერო ბურთი მიფრინავს 20 კმ/სთ სიჩქარით ერთი მიმართულებით 1 საათისა და 45 წუთის განმავლობაში, შემდეგ იცვლის მიმართულებას მოცემული კუთხით (60°) და იმავე დროის განმავლობაში იმავე სიჩქარით მოძრაობს. გამოთვალეთ მანძილი მოძრაობის საწყისი წერტილიდან საბოლოო წერტილამდე“. საკონტროლოს ჩატარებამდე ორი კვირის განმავლობაში უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ცხარე დისკუსია, – ძალიან ძნელი ხომ არ იქნება ეს ამოცანა ჩვენი სტუდენტებისათვის. საბოლოოდ გადაწყვიტეს, გაერისკათ და შეეტანათ აღნიშნული ამოცანა საკონტროლო წერის საკითხებში, იმ პირობით, რომ ამოცანის ამომხსნელი დამატებით პრემიალურ ქულებს მიიღებდა. შემდეგ საკონტროლო ნაშრომის გამსწორებელი პედაგოგების დასახმარებლად ამოცანის ავტორმა წარმოადგინა ამოხსნა. იგი მოიცავდა ნახევარ გვერდს და თანაც არასწორად იყო ამოხსნილი. ამის გამო აღშფოთებული კოლეგებმა მარტივი არგუმენტით დამამშვიდეს: „რა განერვიულებს?, სულ ერთია, ამ ამოცანას ვერავინ ამოხსნის...“ და მართლებიც აღმოჩნდნენ... 150-დან ამოცანა მხოლოდ ორმა სტუდენტმა (ჩინელები იყვნენ) ამოხსნა. ჩემი 50 სტუდენტიდან დაახლოებით ნახევარს ამოცანის ამოხსნა არც კი უცდია, ხოლო ვინც სცადა, – მათი პასუხების ამპლიტუდა 104 მეტრიდან 108 500 კილომეტრამდე იყო. როდესაც საკონტროლო ნამუშევარს ვუბრუნებდი იმ გოგონას, რომელსაც პასუხად 108,5 ათასი კმ ჰქონდა, ვეცადე, მისი სალი აზრისათვის მომეხმო: „ეს ხომ იგივეა, რომ ორნახევარჯერ შემოუფრინო დედამიწას?!“ მან ღირსების გრძნობით მიპასუხა : „დიახ, მე უკვე ვიცი – ეს მცდარი ამოხსნაა ”. აი, ასეა საქმე...

მკითხველი ალბათ შეწუხდა პასუხის მოლოდინში დიდი ხნის მომწიფებულ კითხვაზე: „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ საფრანგეთი ხომ მაღალგანვითარებული ქვეყანაა, სადაც უამრავი გონიერი და განათლებული ადამიანი ცხოვრობს, საფრანგეთი ხომ ერთ-ერთი ლიდერია ფიზიკა-მათემატიკასა და მაღალ ტექნოლოგიებში, ქვეყანა, სადაც, რუსული საზომით, „ყველაფერი კარგადაა“. ბოლოს და ბოლოს, სად გაქრა „ბურბაკის“ მათემატიკური სკოლა? და, საერთოდ, რა შუაშია ერთიანი ეროვნული გამოცდები?

„ბურბაკიზე“ მოგახსენებთ, ის არ გამქრალა, ფუნქციონირებს, ოღონდ დაემსგავსა „შავ ხვრელს“, რომელიც აგრძელებს ადამიანების (თანაც ნიჭიერი ადამიანების) „შეწოვას“, მაგრამ, თუ რა ხდება შიგნით, უცნობია მათთვის, ვინც გარეთაა. ეს ყველაფერი უფრო და უფრო ემსგავსება ჰერმან ჰესეს ცნობილ რომანს „თამაში შუშის მძივებით“. უდავოა, რომ „ბურბაკის“ მძლავრი ტრადიცია ფრანგულ საზოგადოებას ჯერ კიდევ შემორჩა და ამიტომაც ქვეშმიწერით გაყოფის სწავლებისას დღესაც ასეთი თავსატეხებით აწვალებენ საცოდავ ფრანგ ბავშვებს. ანდა, მაგალითად, როცა საჭირო იყო 5X+3=0 განტოლების ამოხსნა, ერთმა ჩემმა სტუდენტმა მთელი ფურცელი გაავსო მოსაზრებებით ამ ტიპის განტოლებების ამონახსნთა სიმრავლის სტრუქტურისა და თვლადობის შესახებ, თუმცა განტოლება მაინც ვერ ამოხსნა. კარგადაა ცნობილი, თუ რა რჩება, როცა რწმენიდან, სწავლებიდან ან მეცნიერებიდან ქრება სული – გვრჩება მარაზმი.

რაც შეეხება შეკითხვას – „ნუთუ ეს შესაძლებელია?“ როგორც ხედავთ, შესაძლებელია... დიახაც, რომ შესაძლებელია! თუმცა ვეჭვობ, რომ მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე.

საგულისხმოა, რომ მთელი ეს საგანმანათლებლო კატასტროფა არცთუ ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო და როდესაც საუბრობენ ჭკვიან და განსწავლულ საფრანგეთზე, სინამდვილეში გულისხმობენ საზოგადოების ძალიან ვიწრო ფენას (სწორედ იგი განაპირობებს საფრანგეთის წარმატებას და შედგება გადაშენების გზაზე მყოფი ასაკოვანი „დინოზავრებისაგან“). ამ ფენის შევსება არ ხდება (უფრო სწორად, ხდება ჩინელებისა და ვიღაც გაურკვეველი რუსების ხარჯზე). აღსანიშნავია, რომ ყოველივე ამის შესახებ არსებობს სრულიად განსხვავებული თვალსაზრისიც. ეს ყოვლად ცინიკური შეხედულება გამანდო ერთმა უნივერსიტეტელმა კოლეგამ, საფრანგეთის დიდმა პატრიოტმა, წარმოშობით პოლონელმა, რომელიც რამდენიმე წელი სწავლობდა მოსკოვში, შესანიშნავად ფლობს რუსულს და ძალიან კარგად იცნობს რუსულ ლიტერატურას. იგი უაღრესად გონიერი ადამიანია, ისიც ასწავლის და მშვენივრად ხედავს, რაც ხდება, მაგრამ სულაც არ მიაჩნია ეს კატასტროფად. პირიქით, თვლის, რომ ყველაფერი სრულიად ნორმალურად და სწორად ვითარდება. მისი აზრით, „თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებას მხოლოდ კარგი შემსრულებლები სჭირდება. რათქმაუნდა, შემოქმედი და მოაზროვნე ადამიანებიც საჭიროა, მაგრამ მხოლოდ ერთეულები. ამიტომაც განათლების მთელი სისტემა სწორედაც კარგი შემსრულებლების შერჩევაზე, აღზრდასა და გაწვრთნაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ხოლო აზროვნების სწავლება ახალგაზრდებისთვის სულაც არაა საჭირო. თანამედროვე საზოგადოებაში ეს მხოლოდ საზიანო იქნება მათი მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის. ის, ვინც ნამდვილად ნიჭიერია, ასე თუ ისე, მაინც გაიკვლევს გზას. – ამ თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საგნებს (პირველ და მეორე კურსზე მაინც) ასწავლიან სტუდენტებს. ფიზიკა-მათემატიკის ნაცვლად, თავისუფლად შეგვეძლო გვეიძულებინა ისინი, რომ ეზუთხათ თუნდაც ლათინური (თუმცა სად იპოვი ახლა ამგვარ სპეციალისტებს?). სულ ერთია, მომავალ საქმიანობაში მათ ფიზიკა-მათემატიკის გაგება არ დასჭირდებათ. – სკოლისა და უნივერსიტეტის დონეზე მნიშვნელოვანია მხოლოდ ყველაზე მორჩილი, შრომისმოყვარე შემსრულებლების შერჩევა და გაწვრთნა. აი, სულ ესაა... მათთვის კი, ვინც ამ სისტემას ვერ მოერგება, მათთვის, ვინც ამ სისტემიდან ამოვარდება და ნარჩენებში მოხვდება, არსებობს ცოცხი ქუჩების დასაგველად, სალარო აპარატი სუპერმარკეტებში, ქარხნის კონვეიერები და ა.შ... აი, თქვენ, საბჭოთა კავშირში, აწარმოეთ მილიონობით განათლებული მოაზროვნე ინჟინრები, და რა? – პირდაპირი პროფესიული მოვალეობების თვალსაზრისით მათ არაფერი იცოდნენ, ერჩივნათ, ეფიქრათ მსოფლიოს ბედზე, ცხოვრების აზრზე, დოსტოევსკიზე... თანაც ეს ე.წ. „მოაზროვნე და განათლებული ინჟინრები“ ხშირად თავს უბედურად თვლიდნენ: აუსრულებელი ოცნებები დიად მიღწევებზე, არშემდგარი ტალანტები, მსოფლიო სევდა და ა.შ... აქ კი ცხოვრებისეული პრეტენზიები და მოთხოვნილებები, როგორც პირადი, ისე პროფესიული, მკაცრად ალგორითმირებულია – და ყველა ბედნიერი და კმაყოფილია...“

მგონი, აზრი გასაგებია, ამის შესახებ უმსჯელიათ უამრავ უტოპიაში თუ ანტიუტოპიაში. პირადად მე ასეთი თვალსაზრისი თანამედროვე განვითარებული საზოგადოების შესახებ უაღრესად უსიმპათიოდ მეჩვენება, თუმცა ეს მის მცდარობას სულაც არ ნიშნავს. მიმაჩნია, რომ მსგავს სისტემაში ვერანაირი ნიჭი ვერ გაიკვლევს გზას (უბრალოდ, აღარავინ დარჩება, მათ რომ ასწავლოს); და მაშინ ადამიანებს, უფრო ზუსტად კი „რობოტ-შემსრულებლებს“, უცებ დაავიწყდებათ „დიადი პირამიდების“ შენება; თუმცა შეიძლება მე ვცდები...

ახლა იმედი მაქვს გასაგებია, თუ რა შუაშია ერთიანი ეროვნული გამოცდები? თუ ადამიანები, იმის მაგივრად, რომ იაზროვნონ თვითონ და ასწავლონ აზროვნება შვილებს, ცდილობენ ყველაფერი საბოლოო ჯამში ალგორითმებსა და სულელურ ტესტებზე დაიყვანონ, მაშინ ქვეყნად საყოველთაო გამოთაყვანება დაისადგურებს. რაა აქ პირველადი და რა მეორადი, არ ვიცი; სავსებით შესაძლებელია, რომ ყველა ეს ბაკ-ი, ეეგ და სხვა მხოლოდ შედეგია და არა მიზეზი, თანამედროვე განვითარებულ საზოგადოებაში „აზროვნების რადიკალური, საყოველთაო გამარტივებისა“. ჩემს ახალგაზრდობაში გამოცდები ეეგ-ის სტილით მხოლოდ სამხედრო კათედრაზე ტარდებოდა, რაც ალბათ გამართლებული და გასაგებია: „მეთაურის ბრძანება კანონია ქვეშევრდომისთვის, მორჩა და გათავდა – აზროვნება აქ ზედმეტია“. ახლა კი სწავლების ასეთი სტილი, როგორც ჩანს, საყოველთაო ხდება. მე, ჩემდათავად, შემსრულებელი რობოტი-იდიოტების საზოგადოებას ისევ კორუფცია მირჩევნია. თუმცა ვეჭვობ, რომ ამ მხრივ რუსეთს რაიმე ემუქრებოდეს, ჩვენთან ხომ არა მხოლოდ კეთილი წამოწყება ქრება და იფუშება თითქმის უცილობლად, არამედ, საბედნიეროდ, იდიოტურიც.

მაგრამ თუ ცხოვრების ასეთი ალგორითმიზაცია კაცობრიობის შემდგომი განვითარების მაგისტრალური გზაა (თუ ეს ეფექტიანია, რატომაც არა?!), მაშინ ისღა დამრჩენია, კეთილი მგზავრობა ვუსურვო მას ამ მაგისტრალზე. აწი უჩემოდ განაგრძეთ, ბიჭებო! – მე ვრჩები...

ვ. ლოცენკო
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ უ შ ა გ ი

## „შემოცურებული“ იდეებისაგან დაცვის სამსახურში

**საქართველოს მრავალრიცხოვანი მტრები, სხვა სახის შემოტევებთან ერთად, ცდილობენ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების მანიპულირებასაც (მართვასაც) თავისი დივერსიული მიზნების შესაბამისად: შეუმჩნევლად „შემოაცურებენ“ ხოლმე სხვა თემებთან დაკავშირებით ისეთ დეზინფორმაციას, რომელიც, თავისი ამ შეუმჩნევლობის წყალობით, ილექება მკითხველის გონებაში, რათა შემდეგ ამოქმედდეს, როცა მკითხველს მოუწევს სპეციალური დაფიქრება ამ თემაზე, ამიტომ გაზ. „საქართველოს“ ამიერიდან ექნება სპეციალური რუბრიკა „გუშაგი“ ამგვარია „შემოსაცურებელი“ დეზინფორმაციის მოსაგერიებლად.**

ალექსანდრე ჭაჭია არა თუ ფარული აგენტია რუსეთისა, არამედ მისი პირდაპირი თანამშრომელიც. იგი საქართველოს პრესაში ძალიან დადებითად გამოჩნდა ათიოდე წლის წინ. სახელდობრ, მან სალი მსჯელობა მიაწოდა საზოგადოებას იმ საშიშროების შესახებ, რასაც საქართველოსთვის დღესაც წარმოადგენს თურქეთის ინტერესებისა და გავლენის ზედმეტი გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში. ამ ინფორმაციიდან — რომ თურქეთი დღესაც საქართველოსთვის მრავალმხრივ საშიშია, — მან (სრულებით არალოგიკურად) გამოიტანა დასკვნა, რომ რუსეთი საქართველოსთვის საშიში არ არის (ამ ავტორის მაშინდელი მსჯელობა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სხვა ასპექტებზე ჭეშმარიტების ანალოგიურ ელემენტებს არ შეიცავს და, ამდენად, საინტერესო არ არის). ამჯერადაც ბ-ნი ჭაჭია კვლავ გვევლინება უშიშროების სამსახურის ორგანოდ მიჩნეული გაზეთის „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე პორტრეტის თანხლებით, რომელშიც იგი დაფიქრებულ ბრძნად წარმოგვიდგება, ერთის მხრივ, და მოლირიკოსო სიმპათიურ ახალგაზრდად, რომელსაც, ლირიკოსის წესისამებრ, მზერა სადღაც გვერდზე აქვს მიპყრობილი და მკითხველს, ასე ვთქვათ, თავს ანფასის გარდა „პროფილშიც“ უჩვენებს, მეორე მხრივ. რა სიბრძნეს გვთავაზობს იგი? ამჯერად, ძველი გამოსვლებისაგან განსხვავებით, სიმართლის ელემენტი მის ინტერვიუში ძალიან მცირეა. სიმართლე აქ, რეალურად, დაიყვანება ორი რამის კონსტატაციაზე. ერთი ის გახლავთ, რომ ქართული ბატალიონების ყოფნა ერაყში ამერიკელებისათვის მომგებიანია, საქართველოსთვის კი არაფრით მომგებიანი არ არის. მეორეა იმ აგრეთვე ცნობილი, მაგრამ ქართულ მედიაში მიჩქმალული ფაქტის აღნიშვნა, რომ გაერთიანებულ ევროპასა და ამერიკას შორის, მყარი მოკავშირეობის გარდა, საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობებიც არსებობს (ძირითადად, ეკონომიკური მეტოქეობის ხაზით) და რომ ნატოში საქართველოს მიღებას ამერიკელები უფრო ემხრობიან, ვიდრე ევროპელები. დანარჩენი, რითაც იგი მკითხველის მოხიბვლას ცდილობს (კეკლუცად გვერდზე მიპყრობილი თვალების გარდა) დეზინფორმაციაა, როგორც, მაგალითად, ის, რომ საქართველო არის „ვერშემდგარი სახელმწიფო“ (მას ეს ბედი ემუქრება „ავთვისებიანი ლაწირაკების“ მმართველობის წყალობით, მაგრამ ეს კატასტროფა ჯ ე რ არ მომხდარა: ვერშემდგარ სახელმწიფოთა ნუსხაში საქართველოს არ იხსენიებენ), რომ ამერიკასა და რუსეთს შორის საქართველოს „გაყოფის“ და, საერთოდ, საქართველოს ხარჯზე გარიგების პრაქტიკაც და საშიშროებაც ჯერ კიდევ არსებობს (სინამდვილეში ამ ორი სუპერძალის წინააღმდეგობა ამიერკავკასიაში დღეს უკვე ისეთ ნიშნულზე იმყოფება, რომ გარიგება მათ შორის არანაირი პირობით აღარ მოხდება), რომ თურქეთი საქართველოს აეროდრომის ხელთგდებას ცდილობს „ირანის საწინააღმდეგოდ“ (სინამდვილეში დღეს თურქეთი და ირანი სტრატეგიულ პარტნერებად ჩამოყალიბების გზაზე დგანან (იხ. თუნდაც „ნიუ სტეიტსმენის“ ციტირება „საქართველოს“ წინამდებარე ნომერში), რომ „რუსეთის გარეშე“, ანუ რუსეთის გაღიზიანების შემთხვევაში, ვთქვათ, ჩვენი ნატოში შესვლის შემთხვევაში ჩვენს ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ (თუმცა იმას, რომ ნატოში არშესვლის შემთხვევაში რუსეთი ამ საკითხში ჩვენი მომხრე გახდება, ჭაჭია ვერ ამბობს. სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ყველა შემთხვევაში, რუსეთის ნების წინააღმდეგ, რომლის მიმართულება და გამჭოლი მიზნები სტაბილურია და ცნობილია), რომ კოსოვოს წართმევა სერბებისათვის „ავტომატურად ნიშნავს“ საქართველოსთვის მისი აწ ოკუპირებული ტერიტორიების წართმევას (სინამდვილეში კოსოვოს წართმევით სერბეთი „დასაჯეს“ რუსული ორიენტაციისთვის, რაც დამსჯელთა მხრიდან დიდი სიბეცე იყო, და ამით რუსეთს ბალკანეთში საყრდენი შეუსუსტეს, ამიერკავკასიაში კი რუსეთის შემოშვება, გაძლიერება ან დატოვება დასავლეთის არც ერთი ნაწილის გეგმებთან თავსებადი არ არის) და ა.შ. და ა.შ. ინტერვიუს დედააზრი, ანუ ის იდეა, რომლის „შემოცურებისათვისაც“ იგი აღებულია და დასტამბულია „ასავალ-დასავალის“ მიერ, გამოხატულია შემდეგ სიტყვებში: „რუსეთთან სერიოზული მოლაპარაკების საფუძველი ერთადერთი რამ შეიძლება იყოს — ეს არის ქართული მხარის მიერ საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ჯარების განლაგებაზე უარის თქმა და ამ პუნქტის რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებაში დაფიქსირება“. ჭაჭია არ წერს (მკითხველს უმალავს), რომ ჩვენს გეოგრაფიულ არეალში ამგვარი პუნქტი ჰქონდა რუსეთ-ირანის ურთიერთობათა განმსაზღვრელ ხელშეკრულებას (რომ ირანი თავის ტერიტორიქზე მესამე ქვეყნის ჯარს არ შეიყვანდა) და სწორედ ეს პუნქტი გამოიყენა სტალინმა 1941 წელს, როცა ირანში გერმანელი სამხედრო სპეციალისტების ჯგუფის ჩასვლის ფაქტი მოიმიზეზა და ირანის ჩრდილოეთი ნახევრის ოკუპაცია მოახდინა. თემა, რომელსაც ჭაჭიას ხელით შემოცურებული რუსული იდეა ეხება, ორი ქვეყნის ურთიერთობის მნიშვნელოვანი თემაა და ამიტომ მას ცოტა ღრმად უნდა შევეხოთ.

„ხელშეკრულება“ ნიშნავს მხარეთა ვალდებულებებისა და უფლებების განსაზღვრას ერთმანეთთან მიმართებაში. ვთქვათ, საქართველო იღებს ვალდებულებას რუსეთის წინაშე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის ჯარი არ განალაგოს. რა ვალდებულებას იღებს სამაგიეროდ რუსეთი? ერთადერთს, ისიც წერილობით ართქმულს: სანამ საქართველოს უცხო ჯარი არ შემოუყვანია, რუსეთი თავის თავს ვალდებულად თვლის, რომ საქართველოზე სამხედრო დარტყმა არ მოახდინოს. როგორც კი საქართველო პირობას დაარღვევს, რუსეთს შეეძლება თქვას, რომ საქართველომ ხელშეკრლება დაარღვია რუსეთის უსაფრთხოების საზარალოდ, და ამ ზარალის გამოსასწორებლად სამხედრო ზომებს მიჰმართოს. ამგვარად, ჭაჭიას მიერ შემოთავაზებული პუნქტები ხელშეკრულებისა საქართველოს ნეიტრალურად დგომის იდეის ტოლძალი კი არ არის, არამედ რუსეთისათვის საქართველოს ოკუპაციის უფლების დაკანონების იდეისა, რისი რეალიზაციაც (ანუ ამ უფლების არსებობის ფაქტის რეალიზაცია) გარდუვალად მოხდება იმავე წამს, რა წამსაც რუსეთს საშუალება მიეცემა, საქართველოს ოკუპაცია მესამე და მეათე მხარეების (ანუ მსოფლიოს) რეალური სამხედრო ჩარევის საშიშროების გარეშე მოახდინოს. რა არის ე რ თ ა დ ე რ თ ი რეალური საშუალება იმისა, რომ რუსეთს ამგვარი (მსოფლიოს მიერ დაუსჯელი) დარტყმის საშუალება არ მიეცეს რომელიღაცა წლის რომელიღაცა დღეს? (დღესდღეობით რუსეთს ასეთი საშუალება არა აქვს). ეს ერთადერთი საშუალებაა საქართველოს ყოფნა სათავდაცვო ხელშეკრულებაში მსოფლიოს იმ ძალებთან, რომლებსაც რუსეთის ალაგმვის საშუალებაც აქვთ და (კერძოდ, ამიერკავკასიაში) სურვილიც. აი, მთელი ალფა და ომეგა რუსეთის ზრახვისა და ოცნებისა (სადღეისოდ) ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ვითარებასთან დაკავშირებით. ამ ოცნებისა და გეგმის უპირველესი ელემენტია: რუსეთს ჰქონდეს იურიდიული მექანიზმი, რომ გადალახოს სუვერენული და გაეროს წევრი ქვეყნის, ამ შემთხვევაში — საქართველოს დამცველი საერთაშორისო ნორმა, სახელდობრ, აგრესიის დაუშვებლობის პრინციპი, და საქართველოს კიდევ ერთხელ დაპყრობა მოახდინოს საერთაშორისო სამართლის ნორმებში ჩატევით.

საქართველოს „ნეიტრალიტეტის“ იდეას დღეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ აზროვნებაში თუ ვერაზროვნებაში რუსეთის არაერთი მეტ-ნაკლებად ფარული აგენტი „აცურებს“ (პარტიების ლიდერების, დიპლომიანი და უდიპლომო „პოლიტოლოგების“ თუ საზოგადოებრივი აზრის რუსულ თარგზე წარმართვის მსურველი სხვა კალმოსნების ჩათვლით). ეს იდეა — იმ შემთხვევაში, როცა იგი გულწრფელ სურვილს ემყარება და არა დავალებას — აბსურდია. ნეიტრალიტეტი მოიპოვება არა განიარაღებით და თვითიზოლაციით, არამედ რეალური ბალანსის მიღწევით აგრესორობის კანდიდატთა, — ნეიტრალური ქვეყნის მეზობელთა — შორის, მათი შეთანხმებითა და გარიგებით, რომ ამ ქვეყანას ხელი არ ახლონ, და მათი მეტ-ნაკლები დაინტერესებით, რომ ეს პირობა შესრულონ. საქართველოს ძალის მხრივ უაღრესად ასიმეტრიული მეზობლობა ჰყავს: რუსეთი სუპერძალაა, თურქეთი დიდი ძალაა, დანარჩენები — მიკროძალები.

რუსეთი და თურქეთი დაინტერესებულნი არიან ერთმანეთთან კარგი ურთიერთობის ქონით, მაგრამ არ არიან დაინტერესებულნი საქართველოს არსებობით თუნდაც როგორც ბუფერისა. მათი რეალური გამჭოლი ინტერესია საქართველოს გაყოფა ერთმანეთს შორის ან მჭიდრო ურთიერთბალანსი, რომლის დროსაც საქართველო ერთ-ერთის შემადგენლობაში იქნება. ამის ვერმხედველი ბრმაა, არმხედველი — საქართველოს მტერი. რადგან იმის არხსოვნა, რომ 1921 წელს რუსეთის მე-11 არმიის შემოტევა აზერბაიჯანიდან და თურქეთის არმიის შემოტევა ბათუმის ზონიდან ერთ დღეს და ურთიერთდახმარებით დაიწყო, საქართველოს პოლიტიკაში ჩაბმული ან მასში ჩაბმის მსურველი კაცის მხრიდან შეუძლებელია.

რუსეთიც და თურქეთიც საქართველოსთვის საშიში არიან. ვთქვათ მკვეთრად: პოტენციური მტრები არიან. ტრადიციული შეხედულებით, ამავე დროს ერთმანეთის მტრებიც არიან და, ამდენად, ერთმანეთს ნაწილობრივ „აბათილებენ“. ეს იყო მაშინ, როცა ჩვენს რეგიონში მხოლოდ ლოკალური (ადგილობრივი) ინტერესები და პოლიტიკა არსებობდა. დღეს ეს ტყუილია, რადგან დღეს აქ გლობალური ინტერესებიც და გლობალური პოლიტიკაც მოქმედებს. დღეს ეს ორნი ერთობლივად არიან ჩვენი რეალური თუ პოტენციური მტრები.

ნატოში საქართველოს შესვლა ძალიან და ძალიან რთულია. ამასთან, ძალიან მძიმე პირობების შემცველიც (მაგრამ არა იმიტომ, რომ რუსეთი იმუქრება. საქმე რომ მხოლოდ რუსეთის ფაქტორით შემოიფარგლებოდეს, ნატოში საქართველოს შესვლა მხოლოდ ზეიმი იქნებოდა). ნატოში ყოფნა დღეს საქართველოსათვის თავის დაცვის ყველაზე უკეთესი საშუალებაა და არა ერთადერთი. მაგრამ იმ სხვის მოაზრებას და, მით უმეტეს, მის შესაძლებლობათა მომზადებას ნამდვილად ქმედითი მთავრობა უნდა და არა მარიონეტული და უძლური.

**ნ.ნათაძე**

# უთანასწორობანი ამერიკაში და სხვაგან

## (რა უნდა იცოდეს და რა უნდა ისწავლოს საქართველომ)

სათაურით „უთანასწორობა და ამერიკული ოცნება“ მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალი The Economist (რითაა ეს ჟურნალი საუკეთესო, ჩვენმა მკითხველმა დიდი ხანია იცის), აქვეყნებს წერილს, მომდევნო სერიითურთ, რომელიც იხილავს კაცობრიობის ერთ ყველაზე მძიმე და სადავო პრობლემას.: სად ძევს ადამიანთა უთანასწორობის დასაშვები საზღვარი? და რა მიმართულებით მიდის კაცობრიობის ევოლუცია ამ საკითხისადმი დამოკიდებულების მხრივ? მსჯელობის მასალას იგი ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფოების ცხოვრებიდან გვაწვდის.



უთანასწორობა და ამერიკული ოცნება

ამერიკელთა კოლექტიური სიზმარი და ოცნებაა: ჩვენი ქვეყანა შეუზღუდველი შესაძლებლობებისა და სოციალური მობილობის (ცხოვრების კიბეზე მაღლისკენ მოძრაობის) ქვეყანაა. კარგი ცხოვრების შანსი ყველას აქვს, ვისაც გარჯა არ ეზარება და ვინც წესების მიხედვით თამაშობს. ეს რწმენა არიგებს ამერიკელებს მათი ეკონომიკის ულმობელ სიმკაცრესთან. მათ არა აქვთ შური. მართლაც, რაში ენაღვლება ყველაზე უბრალო მუშას, რომ საწარმოს უფროსი მასზე 300-ჯერ მეტს იღებს, თუკი თვითონ იმედი აქვს, რომ ოდესმე უფროსი გახდება?

არც ერთ სხვა ქვეყანას ისე არ ჰყავს დამორჩილებული ტექნოლოგიური წინსვლისა და გლობალიზაციის სტიქიური ძალები და ხიფათები, როგორც ამერიკას. ამერიკული კაპიტალიზმის პრინციპებმა — რისკისათვის მზაობამ, მცირე რეგულაციურმა ჩარევამ და მწვავე კონკურენციამ — მას უზარმაზარი სიმდიდრე მოუტანა. დღესაც მისი ზრდა სწრაფია, უმუშევრობა მცირეა და მოგება მსუქანია. ამიტომაც ჰბაძავენ მას ანუ თავისი ეკონომიკის ამერიკანიზაციას ცდილობენ სხვა მდიდარი ქვეყნები, მაგალითად, იაპონია (ღარიბები ჰბაძავენო, ჟურნალი არ წერს. ცხადია, იმიტომ, რომ ღარიბებს სამაგისო ჭკუა აქვთ, თავის ქვეყანას მდიდრების თარგზე გაწყობა არ მოუნდომონ. რედ.). სინამდვილეში ამ მოდელით კმაყოფილი ყველა არაა, თვით ამერიკელების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩათვლით. რატომ?

ევროპელთა უმრავლესობას რომ ჰკითხოთ, ამერიკელებს თავისი ღარიბები უპატრონოდ ჰყავს მიგდებული. ამავე დროს გლობალიზაცია (რომელიც ამერიკელებთან აქვთ გაიგივებული) აიძულებს ევროპელებს, თავს ძალა დაატანონ ანუ საქონელი გააიაფონ, რის გამოც მცირდება მათი სოციალური პროგრამებიც. აქედან, ჟურნალის სიტყვით, ევროპელებში ასეთი ლოგიკა ჩნდება: გლობალიზაცია ამერიკას გვამსგავსებს, ამერიკას ზემოხსენებული დიდი ნაკლი აქვს (ღარიბთა მიმართ უყურადღებობა). მაშასადამე, თავისუფალი ვაჭრობა და ღია ბაზრები ცუდია. ჟურნალი არ ეთანხმება ამ აზრს, რომელშიც, მისი აზრით, ერთმანეთში აღრეულია სამი თემა: უთანასწორობა, მერიტოკრატია (ანუ შემოსავალი და ცხოვრების დონე კვალიფიკაციისა და უნარის მიხედვით) და იმიგრაცია. ამ სამ მომენტს იგი ცალ-ცალკე იხილავს. უთანასწორობა ამერიკაში მართლაც იზრდება: მდიდრები უფრო მდიდრდებიან, ღარიბები ნაკლებად. განსაკუთრებით ცუდია, რომ შემოსავლის ზრდის ტემპში ჩამორჩება საშუალო ფენა.

ეს მოვლენა სხვა სიტყვებითაც შეიძლება აღიწეროს და ჟურნალი მოვლენის ამ განსხვავებულ ხედვასაც გვთავაზობს. სახელდობრ, შემდეგს: მსოფიო ბაზარზე ტალანტი და კაპიტალი გლობალიზაციის პირობებში (ანუ მჭიდრო მსოფლიო ბაზრის არსებობის პირობებში — სადაც ყველა ყველას სწვდება) უფრო ფასობს, ვიდრე გლობალიზაციამდე ფასობდა. ამიტომ შემოსავალიც მეტი აქვს. ტექნოლოგიური ნახტომით გამოწვეული უზარმაზარი ბუმი ამერიკაში (1995 წლიდან), რომელმაც შრომის ნაყოფიერება რამდენიმე წელიწადში, ზოგადად, 30%-ით გაზარდა, ყველაზე მეტი მოგების მომტანი აღმოჩნდა იმათთვის, ვისაც ჰქონდა ტალანტი (კვალიფიკაცია) და ვისაც ჰქონდა დასაბანდებელი კაპიტალი. სხვებმაც მოიგეს, მაგრამ ნაკლები. გლობალიზაციის ქარიშხლები ამერიკაში ეხება და ემუქრება ყველაზე მდიდრებს. საშუალო კვალიფიკაციისანი მას ნაკლებად გრძნობენ, ყველაზე დაბლისანი კი სულაც არ გრძნობენ. მათი წუხილის საგანია არა კონკურენცია ან სამუშაო ადგილების გარეთ გატანა (მაგალითად, ამერიკიდან დაახლოებით მილიონი სამუშაო ადგილი გატანილია გარეთ: ისინი (ამერიკელები) გათვლების, აღრიცხვების, მართვის, რეგულირების აუარებელ ოპერაციებს უკვეთავენ ინდოელებს, რომელთაც კომპეტენტური მათემატიკოსების და კომპიუტერების დიდოსტატების უზარმაზარი არმია ჰყავთ. ეს სამუშაო ადგილები აკლდება ამერიკელ სპეციალისტებს, რაც, ბუნებრივია, არა მხოლოდ ფართო, არამედ ღრმა უკმაყოფილებასაც იწვევს. ათიდან ექვს კაცს აღარ მოსწონს თავისუფალი ვაჭრობის

გაგრძელება მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-12 გვერდიდან

პრინციპი, ათიდან ცხრა უკმაყოფილოა სამუშაო ადგილების სხვა ქვეყანაში გადატანისა), არამედ იმიგრაცია: შემოდის მექსიკელი ან სხვა ვინმე და დგება მანქანების მრეცხავად იქ, სადაც ამერიკელი უნდა დამდგარიყო. ამ მხრივაც, ჟურნალის აზრით, კრიტიკა ამერიკული სისტემის მიმართ გაზვიადებულია: დაბალი მუშახელის მოზღვავების მიუხედავად ამ შრომის ფასი ამერიკაში ჯერჯერობით არ დაცემულა. პირიქით, შრომის ფასის საყოველთაო ზრდაში ამ სახის შრომაც მონაწილეობს, ოღონდ ნაკლები პროცენტით.


„იშრომე და მოიგებ". ამერიკული პოპულარული იდეოლოგია

იმის ილუსტრაციისათვის, თუ რამდენად არარეალისტურია ამერიკული სისტემის კრიტიკა ამ პუნქტში, ჟურნალს მოჰყავს ციფრები. თურმე ყველაზე მდიდარ ადამიანთა კატეგორიის შემოსავალი შედგება არა უშრომელი შემოსავლებისაგან, არამედ მაღალი ხელფასებისაგან, რომელსაც ადამიანები თავისი შრომის საფასურად იღებენ (თუმცა არც თუ იშვიათია „მსუქანი კატის" ფენომენი, ანუ პრაქტიკა, როცა კომპანიის უფროსები ერთმანეთს უნიშნავენ ზედმეტად გიგანტურ ხელფასებს თავისი აქციონერების ჯიბის ხარჯზე). ხელფასი ამ კატეგორიის ადამიანთა ჯამური შემოსავლის 60%-ს შეადგენს.

ევროპელები, ჟურნალის სიტყვით, იმაზე ღელავენ, თუ როგორ ნაწილდება ეკონომიკური ნამცხვარი. ამერიკელებს ეს არ აწუხებთ. ისინი ფიქრობენ ეკონომიკის ზრდაზე, და არა მოგების განაწილებაზე. ჯონ კენედის სიტყვით, „მოქცევა ყველა ნავებს მაღლა წევს". 2000 წლიდან თუმცა შრომის ნაყოფიერება კვლავ იზრდება, იგი ნაკლებ ნავებს წევს. საშუალო მუშის შემოსავალი თუ 1995 წლიდან 6%-ით იზრდებოდა, ახლა 1%-ითღა იზრდება. ამერიკული უპირატესობით შრომის ნაყოფიერებაში გამოწვეული ბუმი 1950-იანსა და 1960-იან წლებში სრულად ვრცელდებოდა მშრომელთა საშუალო ფენაზე. შემოსავალთა განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის მცირდებოდა. პირველთა და მეორეთა გზების გაყრა რეიგანის დროს დაიწყო.

ამერიკული სისტემის ამ პუნქტის გამართლებას ჟურნალი ასეთი ლოგიკით გვთავაზობს: უთანასწორობაში ცუდი არაფერია (ჯამურად თუ მივუდგებით), თუ შესრულებულია სამი პირობა (მკითხველს ვურჩევთ, შეადაროს ეს პირობები საქართველოში არსებულს. რედ.). პირველი. საზოგადოება, როგორც მთელი, მდიდრდება, ამასთან, მდიდრდება მკვეთრად, მაღალი ტემპით. მეორე. საზოგადოებას აქვს „დაცულობის ბადე" ყველაზე ღარიბებისათვის, რაც მათ ათავისუფლებს პირადი კატასტროფის ხიფათისაგან. მესამე. ყველას, განურჩევლად სქესისა, ფერისა, რასისა და ა.შ. აქვს შანსი, რომ გაარღვიოს საზოგადოების მთელი ვერტიკალური სისქე და მის ზედა შრეში ავიდეს. ამ უკანასკნელ პუნქტს, თუმცა თეორიულად იგი ურყევია და ამერიკელთა ფსიქოლოგიაშიც თავისი ხელშეუხებელი ადგილი აქვს, ჟურნალი მაინც ამერიკული სინამდვილის შედარებით სუსტ ადგილად თვლის და თავისი აზრის საფუძველსაც გვთავაზობს. ამით გადავდივართ სამი დასახელებულიდან მეორე ფაქტორის თემაზე – მერიტოკრატიისაზე (merit ინგლისურად ნიშნავს დამსახურებასაც და ღირსებასაც, ხარისხსაც).

### მერიტოკრატია

ღირსებასა და დამსახურებას (იგულისხმება: იმას, თუ რას იმსახურებ, და არა იმას, რა გაქვს დღემდე დამსახურებული) ქმნის ნიჭი (უნარი) და განათლება. იგი


მექსიკელი იმიგრანტები

დღეს შემოსავლის ძირითადი წყაროა. ამ მონაცემების გადამწყვეტ როლზე შემოსავლის ფორმირებასა და განაწილებაში მეტყველებს ასეთი ციფრები. 1916 წელს ამერიკელების უმდიდრესი 1% თავისი შემოსავლის მხოლოდ ერთ მეხუთედს იღებდა ხელფასით ანაზღაურებული შრომით, 2004 წელს ამ პროცენტმა 60%-ს მიაღწია (ანუ. დიდი შემოსავლები 60%-ად შრომას მოაქვს, და არა ქონებას). მაგრამ განათლების თვალსაზრისით ამერიკელების წინაშე ერთმანეთის თანასწორი პერსპექტივა არაა გაშლილი. მაგალითად, არის პრაქტიკა, როცა გამოჩენილ უნივერსიტეტში შენახულია (დაკონსერვებულია) ადგილები იმათი შვილებისათვის, ვისაც ეს უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და შემდეგ მაღალ მდგომარეობას მიაღწევს. ამ უთანასწორობის წამალი, ჟურნალის აზრით, ის კი არ არის, რომ მდიდრებს შეუმცირდეთ განათლებისაკენ მისვლის საშუალება, არამედ ის, რომ ღარიბებს და ულარიბესებს გაეზარდოთ. ამ მხრივ ამერიკაში ზოგი რამ კარგად არის, მაგალითად, სათემო კოლეჯები (ადგილობრივი საზოგადოება ინახავს თავის კოლეჯს), ზოგი რამ ცუდად (მაგალითად, ასეთივე სათემო, ადგილობრივი სკოლები დაბალი ხარისხისაა).

„მომუშავე მდიდრების" ეს მაღალი პროცენტი და მათი მდგომარეობა, რაც ფაქტია, მაინც ნაკლებ სასიქადულოა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. სახელდობრ, მშრომელთა შემოსავლის დიდი ზომა შვილების შემოსავლის ზომას ამერიკაში განაპირობებს 2,5-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე სკანდინავიის ქვეყნებში და კანადაში. მშობლების ეკონომიკური შეძლება შვილებისაში აისახება შემთხვევათა ერთ მეხუთედში, აშშ-ში – ნახევარში (ამ მდგომარეობას ჟურნალი „სკლეროზულს" უწოდებს).

თუ შრომის სირთულეს ათ საფეხურად გავყოფთ, მაშინ კვალიფიკაციით გამოწვეული განსხვავება პირველი საფეხურის და მეცხრე საფეხურის შემოსავალს შორის 1980 წლიდან დღემდე ამერიკაში საშუალოდ გაიზარდა ერთი მესამედით, მაგრამ ტიპიური მუშის შემოსავალმა მხოლოდ 10%-ით მოიმატა (თავისი რეალური სყიდვისუნარიანობით) ბოლო 25 წლის მანძილზე. მკვლევრები თანახმანი არიან იმაზე, რომ ამის მთავარი მიზეზია ტექნოლოგია, რომელმაც დახელოვნებული მშრომელების გამოყოფილობა ნაკლებ დახელოვნებულებისაგან გაამკვეთრა. სხვანი ფიქრობენ, რომ ერთერთი (არაგადამწყვეტი) ფაქტორია პროფკავშირთა დასუსტება. შემოსავალთა უანგარიშო ზრდის ამ ფაქტის შეფასებისაგან ჟურნალი თავს იკავებს. იგი აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკურ პოზიციათა საქმეა. მაგრამ მკითხველს შეახსენებს, რომ დიდი განსხვავებები შრომის ანაზღაურებაში კვალიფიკაციის მიხედვით ქმნის დიდ სტიმულს კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. როგორც ერთი („მემარცხენე"), ისე მეორე („მემარჯვენე") შეფასების გამომთქმელებს მხედველობიდან რჩებათ არსებითი დეტალები. მაგალითად, 1980-იან წლებში ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის მშრომელების შემოსავალი და საშუალო კვალიფიკაციის მქონეებისა უფრო და უფრო სხვავდებოდა ერთიმეორისაგან. შემდეგ სხვაობის ეს ზრდა შეჩერდა. შემდეგ ცოტა დაახლოებაც იწყო. არაკვალიფიციურთა შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საშუალოებისა. ერთადერთი ტენდენცია, რომელიც უდავო იყო, იყო ზედა, კვალიფიციური ფენის შემოსავლის განუხრელი ზრდა. ყველაზე მაღალხელფასიანი ამერიკელების (ესაა მოსახლეობის 1%) შემოსავალი 1980-იანი წლებიდან 2004 წლამდე გაიზარდა მთლიანი ჯამის (ანუ ყველა არსებული ხელფასების ჯამის) 8%-იდან 16%-მდე, ამ ერთი პროცენტის ზედა მეათედისა 2%-იდან 7%-მდე, ამავე 1%-ის ზედა 1%-ისა კი გაოთხკეცდა. ამგვარად, მოხდა შრომის ბაზრის პოლარიზაცია – ზედა ფენის შემოსავლის ზრდა, ქვედა ფენის ზრდა და შუა ფენის მოყოლა ყველაზე დიდი პრესის ქვეშ. ზედა ფენის შემოსავალთა ზრდაში დიდი როლი ეკუთვნის ტექნოლოგიებს (ინფორმაციულის ჩათვლით), რომელიც შესაძლებელს ხდის კვალიფიციური მშრომელის გასვლას მსოფლიო ბაზარზე. განსაკუთრებით თვალნათლივ ეს ეხება პოპულარული ხელოვნების ვარსკვლავებს, რომლებიც დღეს მსოფლიოზე მუშაობენ, და მთავარ მმართველებს (CHIEF EXECUTIVES, რომლებზეც მსოფლიო ნადირობს. საშუალო ფენაში, რომელიც უფრო და უფრო იჭყლიტება, ყვებიან ის პროფესიები, რომელთა შეცვლა ხერხდება კომპიუტერებისა და გამოყენებული მანქანური ტექნოლოგიებით (კლერკები და ა.შ.). ეს ტენდენცია მდგრადია და პერსპექტიული. მას ხელს უწყობს არენაზე ჩინეთის გამოჩენაც თავისი მრავალმილიონიანი იაფი მუშახელით და ზემოხსენებული ტიპის კვალიფიციური შეკვეთების გატანაც უცხოეთში (ინდოეთში და სხვა). შესაძლოა, ამ ტენდენციამ გამოიწვიოს ცვლილებები დახელოვნებისა და ხელფასის ტრადიციულ ურთიერთმიმართებაში. ჟურნალის პროგნოზი ის არის, რომ საშუალო კლასის საშუალო ნაწილი უფრო და უფრო პრესის ქვეშ მოყვება. თუ ეკონომიკა ზოგადად წინ ივლის, ამერიკელებში უმუშევრობა არ გაიზრდება, მომსახურებათა უცხოეთში გატანა კი გაიზრდება. თუ ეკონომიკაში შეფერხება იქნება, ამერიკელების სკეპტიციზმი გლობალიზაციის მიმართ გაიზრდება.

### იმიგრაცია

იმიგრაციის ფაქტორს შეერთებული შტატების შრომის ბაზრის საკითხებში ძალიან ბევრი რამ ჰბრალდება. მას მასობრივი ხასიათი აქვს, ლეგალური გზითაც და არალეგალურითაც. ამ პროცესის


იაპონელთა ნაწილი ჩრდილში რჩება

როლის შეფასებისათვის გამოყენებულია სამი რაოდენობრივი საზომი: რას ხარჯავს სახელწიფო იმიგრანტთა ნორმალური ჩართვისათვის თავის ცხოვრებაში, რას იხდიან იმიგრანტები გადასახადების სახით და რას ხარჯავენ ისინი ამერიკაში, ანუ თავის მხრივ რამდენი სამუშაო ადგილის შესაძლებლობას ქმნიან. ეს ციფრები მეტყველებს იმიგრაციის სასარგებლოდ და არა პირიქით. იმიგრაციის მასშტაბი შეერთებულ შტატებში ისეთია, რომ ადგილებში, სადაც იმიგრანტები მიაწყდებიან (დასაქმების შესაძლებლობის გამო) დემოგრაფიული, (ეთნიკური) შემადგენლობა რადიკალურად იცვლება უმოკლეს დროში. თვით ეს ფაქტი ადგილობრივ მოსახლეობას არ უხარია, მაგრამ, როგორც ჟურნალი წერს, სიმძაფრის გარეშე: სიმპათიის უქონლობა არ იწვევს სიძულვილს.

ამერიკაში იმიგრაციის დასახასითაებლად არსებითია ის, რომ თაობიდან თაობამდე იმიგრანტი ოჯახის მდგომარეობა იცვლება. მას აქვს სოციალური (აღმავალი) მობილობა. იგი კულტურულად ასიმილირდება, აგრეთვე ენობრივად.

***რედაქციისაგან:*** საქართველოს სინამდვილისათვის ჟურნალის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა ძალიან არსებით ინფორმაციას შეიცავს. პირველი ის არის, რომ კვალიფიკაცია (ანუ ბუნებრივი უნარისა და სათანადო განათლების კომბინაცია) ეკონომიკური ცხოვრებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური ცხოვრების, კულტურული ცხოვრების, საერთოდ, დედამიწაზე სტატუსის მოპოვების გადამწყვეტი ბერკეტი ხდება. იგი ცალკე, დამოუკიდებელი პარამეტრია სინამდვილისა, სახელდობრ, არსებითად არაა დამოკიდებული კაპიტალის ფაქტორზე. აქედან გასაგები ხდება საქართველოში მიმდინარე განათლებისა და მეცნიერების „რეფორმა", რომლის მიზანია ამ სახელმწიფოში ფუნდამენტური ცოდნის აღმოფხვრა. პრინციპი ასეთია: კვალიფიციური შრომის სფეროში, (რომელიც სიმდიდრისა და გავლენის ძირითადი იარაღი ხდება) საქართველოს წილი არ უნდა ედოს! მეორე. ამერიკაში (და, საერთოდ, ზეგანვითარებულ მსოფლიოში) საშუალო ფენის მშრომელთა შევიწროება ქმნის და მომავალში მზარდი ტემპით შექმნის დასაქმების ახალ მაძიებელთა არმიას, რისი შედეგიც იქნება მყარი კურსი არაკეთილდღეიან ქვეყნებში (როგორც საქართველოა) მშრომელთა ამ კლასის იმპორტირებაზე (იმიგრაციაზე), რათა მის მიერ დაკავებული იქნას ყველა ის სამუშაო ადგილი, რომელსაც ამ ქვეყანაში დასავლელი ინვესტორები განკარგავენ (ანუ, დასავლური კომპანიები, როგორც წესი, იმპორტირებული საშუალო დონის მშრომელებით იმუშავებენ და არა ადგილობრივით). მესამე. იმიგრაციის დემოგრაფიულ შედეგებს არ ექნება, მსოფლიოში გაბატონებული იდეოლოგიის მიხედვით, არანაირი „მინუს" ნიშანი, ანუ არ იქნება მიღებული იმის გათვლა, იმიგრაციის ასეთი ხარისხი. ხომ არ იწვევს დემოგრაფიულ კატასტროფას, ვთქვათ, საქართველოში ქართველების უმცირესობად ქცევის სახით.

# ამერიკელთა ადგილი მსოფლიოს გულებში

ბრიტანული პრესის საუკეთესო ნაწილი არ ერიდება (გასაგები მიზეზების გამო) დროდადრო ამერიკელი პოლიტიკოსების დამოძღვრას როგორც ცხოვრების სიბრძნისა და პრაქტიკული ჭკუის თაობაზე, ისე პრინციპების თაობაზეც. მაგალითად, გაზ. „ფაინენშელ თაიმსის“ ნომერი, რომელიც ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ტერაქტიდან სულ ოციოდე საათის შემდეგ გამოვიდა, მეგობრულად შეახსენებს ამერიკელებს, რომ... რაც უნდა დიდი და შემძვრელი იყოს მომხდარი ტრაგედია, საჭიროა ჯერ გამოიძიოთ და დაადგინოთ ვინ და რამდენად არის დამნაშავე და შემდეგლა შეუდგეთ დასჯას. ჟურნალ The Economist-ი, რომელიც უკეთესთა შორის უკეთესია არა მარტო ბრიტანეთში, არამედ მსოფლიოშიც (რაც ამ შემთხვევაში პრაქტიკულად ერთი და იგივეა), ამა წლის 17 ივნისის ნომერში ათავსებს ორ მასალას, რომელიც ამერიკელების დღევანდელი საგარეო პოლიტიკური ზნე-ჩვეულებების და მათი მუშაობის ფორმის ძალიან მკვეთრ კრიტიკას შეიცავს. პირველი ამ წერილთაგანი არის ნეკროლოგი 21 წლის არაბზე, რომელმაც, ორ ამხანაგთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით და რთული მომზადებით თავი ჩამოიხრჩო პროტესტის ნიშნად გუანტანამოს ამერიკულ ციხეში კუბაზე. სამი მსხვერპლიდან ჟურნალი ნეკროლოგის საგნად არჩევს ამ ახალგაზრდას, რადგან, როგორც ჩანს, მის პიროვნებას და მის შემთხვევას ყველაზე უფრო ტიპიურად და მკითხველისათვის საინტერესოდ თვლის. იასირ თალალ ალ-ზაჰრანი საუდის არაბეთის შვილია. 17 წლის ასაკში ის შეიპყრეს პაკისტანში. მანამდე ერთი წლის მანძილზე იმყოფებოდა ავღანეთში, სადაც, დედამისის სიტყვით, ქველმოქმედებისათვის მუშაობდა, ამერიკელების სიტყვით კი – თალიბებისათვის იარაღის მიწოდების საქმეში მონაწილეობდა. პატიმრობისას მან მონაწილეობა მიიღო პატიმართა ამბოხებაში, რომელშიც მოიკლა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთი აგენტი. მას ბრალდება არ წაუყენებია, ამგვარად, იგი არ იყო დანაშაულდამტკიცებული კრიმინალი. არც ტყვე იყო, რადგან კონფლიქტი, რომელშიც იგი მონაწილეობდა, არ იყო ომი სახელმწიფოებს შორის, ეს იყო „ამორფული ომი ტერორის წინააღმდეგ, რომელშიც ამერიკა ებრძვის ულმობელ, მაგრამ ჩრდილისებრ ალ-ყაიდას ქსელს“. ამიტომ მისთვის გამართლებული იყო ამერიკელების თვალში „მტრის უკანონო მებრძოლის“ სახელი. მათ თვალში მართებული იყო ისიც, რომ არც ჟენევის კონვენციები, არც ჩვეულებრივი ამერიკული პროცესუალური ნორმები მასზე არ უნდა გავრცელებულიყო. ამიტომ ის ბრალდების გარეშე დაკავებული რჩებოდა განუსაზღვრელი დროით. თუ გაუშვებდნენ, მაშინ ნათელი იყო, იგი შეეცდებოდა კიდევ ამერიკელების მოკვლას.

თავის ჩამოხრჩობა ალ-ზაჰრანიმ და მისმა ორმა თანაამხანაგმა გადაწყვიტეს თავისი უკანონო მდგომარეობისათვის მსოფლიოს ყურადღების მიპყრობის მიზნით. მათი გათვლის საფუძველი ის იყო, რომ, მათი აზრით, სამი კაცის ერთობლივი თვითმკვლელობის შემთხვევაში გარდუვალად მოხდებოდა იმ დანარჩენი ხუთასამდე პატიმრის ადრე თუ გვიან გათავისუფლება, რომლებიც სამართლებრივი თვალსაზრისით მათებრ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა ის, რომ ისლამი თვითმკვლელობას კრძალავს. ისლამის ეს ნორმა უკვე გადასინჯულია. იგი რეინტერპრეტირებულია თავის თავის ამფეთქებელი ჯიჰადისტებისა და სხვათა მიერ, როგორც სახელოვანი მოწამეობა. გუანტანამოს ციხეში, სადაც ხუთასამდე ასეთივე პატიმარია, თვითმკვლელობის მცდელობას, ადმინისტრაციის მონაცემებით, ადგილი ჰქონდა 41-ჯერ. ამ მცდელობათა შორის ერთი იყო მოჩვენებითი. იგი გათამაშდა იმ მიზნით, რომ მეთვალყურე კამერაში შეეტყუებინათ, რაც შეძლეს კიდეც. ამ ფონზე თავის მოკვლის მომზადება ძნელი იყო (მით უმეტეს, რომ კამერებს მავთულის ბადე ყოფს და ამგვარად კამერები დაცვისათვის სავსებით გამჭვირვალეა), მაგრამ შეთქმულებმა ეს შეძლეს. ოჯახის ცნობით, „ალ-ზაჰრანი არ იყო თვითმკვლელობისაკენ განწყობილი პიროვნება, მისი მიზანი იყო არა სიცოცხლიდან წასვლა, არამედ განცხადების გაკეთება, რომელიც მან და მისმა თანაამხანაგებმა ამ გზით მსოფლიომდე მიიტანეს.

მეორე პუბლიკაცია ამავე ნომერში სათაურით „ყურადღება მიაქციეთ თქვენს ენას“ და ქვესათაური „მცირე ზრდილობას ბევრი შეუძლია“ ეხება ამერიკული პოლტიკური ელიტის ქცევის წესს, რომელიც, ჟურნალის აზრით, ძალიან აზარალებს



კოსმოსური ინდუსტრია ამერიკაში

ამერიკელების იმეჯს მსოფლიოში და მათი საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობას. ციტირებული დიაგრამა გვეუბნება, რომ ამერიკელების რეიტინგი უცხოეთში 2000 წლიდან დღემდე განუხრელად ქვეითდება. დამოწმებულია ოთხი ქვეყნის მონაცემები:

ინგლისი იყო (დაახლოებით) 82, გახდა (დაახლოებით) 58

ინდონეზია იყო (დაახლოებით) 75, გახდა (დაახლოებით) 30

საფრანგეთი იყო (დაახლოებით) 60, გახდა (დაახლოებით) 40

თურქეთი იყო (დაახლოებით) 45, გახდა (დაახლოებით) 158

ჟურნალი შეშფოთებით იმოწმებს ამერიკის სახალხო დიპლომატიის მდივნის მოადგილის, ქალბატონ კოლინ გრაფის ნათქვამს, რომ სამი პატიმრის თვითმკვლელობა იყო „კარგი სვლა პიარის თვალსაზრისით“. ჟურნალის სიტყვით, იგი არ არის ერთადერთი პირი ბუშის ადმინისტრაციის შემადგენლობაში, ვისაც ასეთივე „თუნუქის ყური“ აქვს და ვისი სიტყვებიც უსულგულოდ ჟღერს ხოლმე. გუანტანამოს ბაზის მეთაურმა (ეს არის სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელიც მხოლოდ ციხისაგან არ შედგება), რომელიც, ჟურნალის სიტყვით, „მგრძნობიარე გულის“ პატრონი აღმოჩნდა, დაიჩივლა, ეს „ასიმეტრიული ომია“ ჩვენს წინააღმდეგო. დონალდ რამსფელდის ენამ, ჟურნალის სიტყვით, ამერიკას ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ჩამოაშორა აურებელი მეგობრები და მტრებად უქცია. ასევე უკმაყოფილოა ჟურნალი გაეროში ამერიკის ახალი წარმომადგენლის ჯონ ბოლტონისა, რომელიც ისე ესაუბრება ამ ორგანიზაციას მისი წესდების სასურველი რეფორმების თემებზე, თითქოს ყოველ წუთს ახსენებდეს მოსაუბრეებს, ამერიკა ამ ორგანიზაციის მთავარი დამფინანსებელია და ამიტომ ყველაფერში მისი ნება უნდა აღსრულდესო. ამ მოღვაწეს, ჟურნალის აზრით, დავიწყებული აქვს, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფოს „დამაარსებელი მამები“ აუცილებლად რაცხდნენ „ჯეროვან პატივისცემას კაცობრიობის აზრისადმი“. თვით ბუში, ჟურნალის სიტყვით, თავისდა სასახელოდ რაღაცას სწავლობს. სახელდობრ, კონდოლეზა რაისის კეთილისმყოფელური გავლენის შედეგად იგი მზადაა ამერიკის საგარეო ურთიერთობები კვლავ დიპლომატიური ენის ჩარჩოში დააბრუნოს. დღეს იგი იმ აზრისკენ იხრება, რომ გუანტანამოს ციხე სულაც დახუროს, თუმცა ამაში ამერიკელებს ხელს უშლის ის, რომ არ იციან, რა უყონ იქაურ პატიმრებს.

ჟურნალი მსჯელობს არა მხოლოდ ფაქტებსა და ტაქტიკურსა თუ სტრატეგიულ პერსპექტივებზე, არამედ პრინციპებზეც. მის გრაფი მართალია იმაში, რომ სამთა თვითმკვლელობა მართლაც პოლიტიკური აქტია და არა სასოწარკვეთის გამოვლენა. მაგრამ საქმე ისაა, და ამ საქმეში მთავარი ისაა, რომ ომი, რომელსაც ამერიკა აწარმოებს ტერორიზმის წინააღმდეგ, არსებითად ღირებულებათა სისტემების შეჯიბრება და ომია. ამ ომს ამერიკელები, თავის ენას რომ უფრთხილდებოდნენ და მსოფლიოს აზრს რომ ანგარიშს უწევდნენ, ისე მოიგებდნენ, რომ თითის განძრევაც არ დასჭირდებოდათ, რადგან ამერიკელების მიერ აღიარებული კომბინაცია ღირებულებებისა – სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის შეუვალი ადამიანური უფლება – შეუდარებლად უფრო ადვილი გასაყიდია („მისაყიდია“ მუშტრისათვის, მსოფლიოს საშუალო ადამიანისათვის), ვიდრე ის სისტემა, რომელიც მოპირდაპირე მხარეს დგას, სახელდობრ, ურჯულოთა თავების ჭრა და შუა საუკუნეები. მაგრამ მიუხედავად ამ ძალიან ადვილად მოსაპოვებელი მოგებისა, ამერიკელები მაინც ხშირად აგებენ კაცობრიობის გულებისათვის წარმოებულ ბრძოლას.

რატომ ხდება ეს? ჟურნალის პასუხია: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქმე სიტყვაზე ძლიერია. ამერიკელები კი საქმით არც თუ იშვიათად არღვევენ საკუთარ პრინციპებს (გუანტანამოს ამასწინანდელი ტრაგედია ამის ერთ-ერთი შემთხვევაა: პატიმარი ან უნდა გაასამართლო, ან უნდა გაუშვა). მეორე: ამერიკელები ზოგჯერ დგამენ ნაბიჯებს, რომლებიც სწორია, მაგრამ არაპოპულარული. მაგალითად, ის, რომ ამერიკელები ერაყში უნდა დარჩნენ მანამდე, სანამ იქ დამოუკიდებლად დარჩენისუნარიანი ხელისუფლება არ დამკვიდრდება, სწორია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არასოდეს პოპულარული არ იქნება. ამ მიზეზებთან ერთად, ჟურნალის აზრით, ზრდილობის დეფიციტიც ამერიკელების პოპულარობის დაქვეითების დიდ ფაქტორს წარმოადგენს.

მკითხველს მივაწოდებთ რამდენსამე ცნობას ვითარების სამართლებრივი მხარის შესახებ.

„საგანგებო სამხედრო ტრიბუნალები“ „მტრის უკანონო მებრძოლებისათვის“ და ამ მიზნისთვის განკუთვნილი ციხე გუნატანამოს სამხედრო ბაზაზე ერთი სისტემაა. ამ კატეგორიის პატიმრებზე ამერიკის ადმინისტრაცია დღემდე არ ავრცელებდა ჟენევის კონვენციების მოქმედებას (ეს კონვენციები ეხება სასამართლო პროცედურებს ეჭვმიტანილთა მიმართ), რადგან ისინი არ ეკუთვნოდნენ რომელიმე სუბიექტს, ვისაც კონვენციებზე ხელი აქვს მოწერილი. მათ არც სამხედრო ტყვეებად თვლიდნენ, რადგან იარაღს ღიად არ ატარებდნენ და ფორმა არ ეცვათ, არც სხვა რამ ნიშანი ჰქონდათ, რომელიც მათ არამეომრული სამოქალაქოებისაგან განასხვავებდა. თავდაპირველად (ანუ ტერორიზმთან ომის პირველ ხანებში) ამ კატეგორიის ადამიანთა საქმეების განხილვა ხდებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციის გარეშე. ორი წლის წინ უზენაესი სასამართლოს დადგენილების შედეგად ამ საქმეში შესწორება იქნა შეტანილი, მაგრამ მის შემდეგაც კი დაშვებულია, რომ ბრალდებული და მისი ვექილი არ დაასწრონ მოსმენის რაღაცა ნაწილს, რომ დაცვას არ მისცენ ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მთელი მტკიცებულების გადამოწმების საშუალება და რომ გამოყენებულ იქნას წამებით მიღებული ჩვენებები. ამჯერად უზენაესი სასამართლის ახალი გადაწყვეტილება (RULING) ბრალდებულ სალიმ ჰადამის, ბინ ლადენის ყოფილი მძღოლის საქმეზე ადგენს, რომ სპეციალური სამხედრო ტრიბუნალები, რომლებიც იხილავდნენ უცხოელი ტერორისტების საქმეებს ჟენევის კონვენციებისა და ამერიკული კანონის შესაბამისი პუნქტების უგულებელყოფით, უკანონოა. თუმცა სასამართლომ ამ კატეგორიის ეჭვმიტანილები სამხედრო ტყვეებად არ ცნო, მან დაადგინა, რომ, რაკი ისინი მოქმედებდნენ ჟენევის კონვენციების ხელმომწერი სახელმწიფოს (ავღანეთის) ტერიტორიაზე, ისინი ექვემდებარებიან დაცვას ამ კონვენციების მიერ (მათ აქვთ უფლება გასამართლდნენ და ამ გასამართლებაში დაცულ იქნენ სათანადო პროცესუალური ნორმებით და ა.შ.). აშშ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ The Economist-ის სიტყვით სამ დიდ რასმე მიაღწია: პირველი: იგი ზღუდავს პრეზიდენტის პრეტენზიას, რომ, როგორც მთავარსარდალს, მას შეეძლოს მეტისმეტად თავისუფლად მოქმედება ამერიკელი ხალხის დაცვის მოტივით ომის დროს. მეორე: მან დაადასტურა უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, სამოქალაქო თავისუფლებათა კონსტიტუციეური გარანტიები დაიცვას ომის დროსაც. მესამე და მთავარი: მან დაადგინა, რომ ამა თუ იმ კონფლიქტის ყველა მხარეს აქვს უფლება, რომ მასზე გავრცელდეს ჟენევის კონვენციების ნორმები.

2004 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ უარყო ბუშის პრეტენზია, რომ ტერორიზმში ეჭმიტანილნი დაკავდნენ განუსაზღვრელი ხნის მანძილზე ისე, რომ არ მიეცეთ სასამართლოს წინაშე წარდგომის საშუალება, მაგრამ ამ აქტში არ იყო დაზუსტებული, რომელ სასამართლოებზეა ლაპარაკი. ამიტომ ამ კატეგორიის პატიმრებს მიეცათ მხოლოდ გუანტანამოს სპეციალური სამხედრო ტრიბუნალისადმი მიმართვის უფლება.

ჟურნალის სიტყვით, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად ბუშს განზრახული აქვს დახუროს გუანტანამოს ციხე, რომელიც (უფრო ზუსტად – რომლის პროფილიც) უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ უკანონო გახადა. ჟურნალს ეჭვი ეპარება, რომ ბუშმა თავისი ამ განზრახვის განხორციელება შეძლოს.

რედაქციისაგან: ქართველი მკითხველისათვის, რომელიც მორალური თვასაზრისით მომთხოვნიცაა პოლიტიკის პრინციპებისადმი და ყურიც გამახვილებული აქვს საქართველოს და ქართველი საზოგასდოებისათვის ისტორიულად ცნობილი ინტერესების შესაძლო შელახვის ყველა სიგნალის მიმართ, ისევე როგორც საქართველოსთვის სხვა ქვეყნებზე უფრო მეტად ნაცნობი ისტორიული განსაცდელებისადმი უგულო სიბრმავისა და სიყრუის ნიშნების მიმართ (რასაც დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად ვხედავთ), ბრიტანული ჟურნალის პოზიცია ცოტა არ იყოს საჩოთირო მომენტს შეიცავს. განა სხვა ღირებულებრივი სისტემები, ვიდრე „სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის“ ამერიკული უფლებაა (ეს ადამიანის უფლებათა ცნობილი ამერიკული დეკლარაციის პუნქტებია) ერთის მხრივ და „ურჯულოთა თავების ჭრა და შუასაუკუნეებია“, მეორეს მხრივ, არ არსებობენ? განა სხვა ღირებულებებით და ღირებულებათა სხვა სისტემებით დედამიწაზე არავინ ცხოვრობს, მორალურად ვერ იქცევა და წინ არ მიდის? სხვა ღირებულებათა შორის, რომლებიც დღეს დედამიწაზე მოქმედებს, არის არა მხოლოდ პირადი, არამედ ეროვნული თავისუფლების უფლებაც, არა მარტო პირადი, არამედ საზოგადო, მათ შორის – ეროვნული ბედნიერების უფლებაც, პირადი და კოლექტიური (ოჯახური) სიამაყის დაცვის უფლებაც, ერისათვის ისტორიული მეხსიერების ქონის უფლებაც და არაერთი სხვაც. ეს უფლებები, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა საქართველოსათვის, მაგრამ ისინი ღირებულნი არიან სხვა ცივილიზებული ხალხებისთვის, მათ შორის – ევროპელებისთვისაც. ასე რომ, ადამიანებისა და მათი ეთნიკური ჯგუფების გათანაბრება მათი ისტორიული მეხსიერების, მათ წინაპართა მიერ შექმნილი კულტურული მრავალსახობის, მათი ისტორიული მონაპოვრების, მათი ეროვნული ტერიტორიის სიწმინდის დაცვისადმი მათი მიდრეკილების ზომისა და მოთხოვნილების მხრივ რეალისტური არ არის. კაცობრიობას არ უცხოვრია და არც ოდესმე იცხოვრებს პრინციპით: „ყველანი, როგორც ადამიანები, თანასწორნი ვართ, ამიტომ მოდით ჩვენი ადგილის განსაზღვრა დედამიწაზე ყველამ თავიდან, ნოლიდან დავიწყოთ“, – ვთქვათ, კოსოვო ალბანელებს მივაკუთვნოთ, რადგან ორმოცდაათიოდე წელია, რაც ისინი იქ უმრავლესობა არიან, და არა სერბებს, რომლებისთვისაც ეს მხარე მათი სამშობლოს ისტორიული და დღევანდელი შუაგულია. თუ ჩატარდება შესაბამისი რეიტინგული გამოკვლევები, ალბათ ამერიკელების რეიტინგის უკუსვლის ფაქტორთა შორის მათი შედარებითი ეროვნული ნიჰილიზმი ერთ-ერთ პირველ ადგილზე აღმოჩნდება. რაც შეეხება ჩვენს, ქართველების დამოკიდებულებას ჩვენი დღევანდელი და სამომავლო მოკავშირეებისადმი, ამერიკელებისადმი და მათი რეიტინგის მომავალი ბედისადმი, ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა განვუმარტოთ მათ, რომ საქართველოში მათი მოკავშირეა მხოლოდ ის, ვინც თავისი სულისკვეთებით (ე.წ. მენტალიტეტით) პატრიოტია, და არა ის, ვინც, როგორც ჭეშმარიტი ორეული ჰიტლერიუგენდისა, დღეს საქართველოში დესპოტური ბატონობისკენ ისწრაფვის და, როგორც ჭეშმარიტი ორეული კომკავშირისა (რაც ჰიტლერიუგენზე შეუდარებლად უფრო მძიმე შემთხვევაა), ბატონობის მოპოვებას და შენარჩუნებას თავისი ქვეყნის უცხოელებზე მიყიდვით, ან კიდევ უარესი, მიჩუქებით ცდილობს.

# საქართველოს, უკრაინისა და ნატოს შესახებ

სათაურით „რუსეთს ალყაში აქცევენ“ და ქვესათაურით „რუსული წუხილი იმაზე, რომ დასავლეთი მას ალყაში იქცევს, ნაადრევია“ ათავსებს მსჯელობას ამ ორი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობების და პერსპექტივების შესახებ. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები, ჟურნალის აზრით, „ნამდვილად უცნაური ჯიშის ადამიანები“ არიან: ორივეს უნდა ნატოში შესვლა,




მიუხედავად ავი გაფრთხილებებისა რუსეთის მხრიდან ამ ნაბიჯის შესაძლო შედეგთა თაობაზე. ქართველებს თავგანწირულად ჰსურთ ეს, თუმცა არანაირად არ არიან ამისათვის მზად. უკრაინელები ამისთვის უფრო შესაფერისად გამოიყურებიან, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იუშჩენკოს თანამემამულეებს ამის დიდი სურვილი არა აქვთ. ყირიმის ამასწინანდელმა ამბებმა იუშჩენკოს გასაჭირის ინკაპსულაცია (მისი ერთ წერტილში თავმოყრა. რედ.) მოახდინა. მრავალეროვანი (ინტერნაციონალური. რედ.) წვრთნა, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ამ ზაფხულს ყირიმის გარშემო, სინამდვილეში ნატოს ეგიდის ქვეშ არ არის. მსგავსი ერთობლივი წვრთნა გასულ ათ წელიწადში არაერთი ჩატარებულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმები თითქოსდა მომწამლავი გაზების გადმოტვირთვის შესახებ და თითქოსდა ნატოს მიერ ჩაფიქრებული გადატრიალების მცდელობის შესახებ, კომუნისტებისა და კაზაკებისაგან შემდგარმა ნაძირალების (RAGTAG) ბრბომ დაბლოკა ერთობლივი წვრთნისათვის მომზადების პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამერიკელ რეზერვისტებს. ამერიკელები წავიდნენ და მათ მიერ ამოსათხრელი ფეხსადგილები ამოუთხრელი დარჩა.

ისეთ მოსალოსო (WACKY) ქვეყანაშიც კი, როგორიც უკრაინაა, ყირიმი უჩვეულო რამ არის. მის რუსულენოვან მაცხოვრებლებში მრავალს ურჩევნია, ყირიმი დღესაც რუსეთში იყოს, როგორც იყო 1954 წლამდე. სევასტოპოლი რუსეთის ფლოტის დისლოკაციის ადგილია. ეს პროტესტები, რაც მოხდა, იყო აგრეთვე თანმხლები პროდუქტი იმ მღელვარებისა მარტის საპარლამენტო არჩევნების აქეთ, რომელიც ეხება უკრაინის მთავრობის შექმნას; ნატოში შესვლა-არშესვლა ერთ-ერთი შებრკოლების პუნქტია ყველა პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესში. ყოველივე ამის შედეგად ნათელია, რომ უკრაინელთა უმრავლესობა არ არის ნატოში შესვლის მსურველი. ეს „ტვინის საბჭოური გამორეცხვის შედეგია“, ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბუტენკო. მაგრამ იუშჩენკო მაინც აპირებს იბრძოლოს სადავო რეფერენდუმის ჩატარებისათვის. თუ არ მივაქცევთ ყურადღებას ამ დაბრკოლებას, უკრაინა დიდად და უდავოდ უსწრებს საქართველოს ნატოში მიღების შანსების მხრივ, სახელდობრ, იმით, რომ აქვს წარმატება სამხედრო რეფორმაში, უკეთესი ალჭურვილობა და მეტი ჯარისკაცები.

ქართველებს აქვთ გარკვეული პროგრესი, მაგრამ ქაღალდზე უფრო, ვიდრე რეალობაში. მათ აგრეთვე ცადეს დამსახურების მოპოვება ერაყის ომში მონაწილეობით, მაგრამ სააკაშვილს წინ უდგას მოლაპარაკების ჩამშლელი საკუთარი პრობლემაც — ის, რომ მისი ქვეყნის ნაწილი ფაქტობრივად ოკუპაციის ქვეშაა. როგორც ამბობს სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ლიდერი რონდელი, „საქართველო მოხერხებულადაა განლაგებული ნავთობით მდიდარ რუსეთსა და ნავთობით მდიდარ ისლამურ სამყაროს შორის“. იგი ერთხანს ნარკოტიკების გზა იყოო და ტერორისტების თავშესაფარი. მაგრამ გეოგრაფია მიუთითებს საქართველოს მთავარ ხარვეზზე. ორ სეპარატისტულ ანკლავს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ომით მოპოვებული აქვთ ქვაზი-დამოუკიდებლობა 1990-იან წლებში. ამ ომში მათ ამაგრებდა რუსეთი. სააკაშვილი და პუტინი, რომლებიც ერთმანეთს ამკობდნენ შეურაცხყოფებით თვეთა მანძილზე, ერთმანეთს შეხვდნენ პეტერბურგში, მაგრამ ანკლავებზე შეთანხმება ჯერ კიდევ შორსაა. მამუკა კუდავა, რომელსაც მიჰყავს ნატოს კამპანია საქართველოში, ოპტიმისტურად აცხადებს, რომ ნატოში შესვლა და ანკლავების დახარისხება (SORTING) ერთად მოხდება. ამავე დროს, კრემლის ანალიტიკოსი ნიკონოვი აცხადებს, რომ „თუ საქართველო ნატოში შევა, მას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დავიწყება მოუხდება“. ქართველები ჩივიან, თუ ანკლავებს მათი პრეტენზიებითურთ გადამწყვეტი ფაქტორის უფლება მიეცემათ, ეს ნიშნავს რუსეთისთვის ვეტოს უფლების მიცემასო. კუდავა შექმნილ სიტუაციას ადარებს იმ სასაზღვრო უთანხმოებებს, რომლებიც ბალტიისპირელებს თან შეჰყვათ ნატოში შესვლისას. მაგრამ დღევანდელი ფორმით საქართველოს მიღება ნატოში შეიძლება უფრო ჰგავდეს დამტვრეული ავტომანქანის ყიდვას.

სინამდვილეში რუსეთის მრისხანე განცხადებები საქართველოს და უკრაინის თაობაზე ნაწილობრივ ტაქტიკური ხასიათისაა. ასე მაგალითად, რუსეთის მთავრობისა და პარლამენტის განცხადებები უკრაინისთვის შექმნილი დიდი საფრთხის შესახებ მისი ნატოში შესვლის შემთხვევაში შესაძლბელია მორგებული იყო იმ ჭიდაობაზე, რომელიც დღეს კიევში წარმოებს მთავრობის შექმნის თაობაზე. იუშჩენკომ აღმოაჩინა მესამე ძალა „ყირიმის ამბებში“: ესენი არიან ზოგი რუსი პარლამენტარები, რომლებიც კომედიანტებივით უფრო იქცევიან, ვიდრე პარლამენტარებივით.

და მაინც, ჟურნალის სიტყვით, რუსეთის წუხილი ნაწილობრივ გულწრფელია და არ არის სავსებით უგნური. როგორც ამბობს ციტირებული ნიკონოვი, „ამერიკა შეწუხდებოდა, მექსიკა და კანადა რომ შესულიყვნენ სამხედრო ორგანიზაციაში რუსეთის ხელმძღვანელობით“ (ეს ცივი ომის დროინდელი რუსული პროპაგანდის ჩვეული ფრაზაა, რომელიც მოუსაზრებელ აუდიტორიაზეა გათვლილი. რედ). მოსკოვიდან დანახული, ჟურნალის აზრით, ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოების პროცესი მართლაც უსასრულოდ გამოიყურება და „ნატოს მიერ რუსეთის გარშემორტყმის შთაბეჭდილებას ქმნის, რაც, ციტირებული სიტყვების ავტორის (პესკოვი) აზრით, „საპასუხო ზომებს მოითხოვს“ (ესეც რუსეთის ძველისძველი დემაგოგიის ფრაზაა: რუსეთს რომ საპასუხო საშუალებები ჰქონდეს, მისი კილო სხვა იქნებოდა და „დემოკრატიის“ სიმულაციისთვისაც იგი თავს არ შეიწუხებდა. რედ.). გარდა ამისა, კრემლს აფიქრებს თავისი შავი ზღვის ფლოტის ბედი, თუ ყირიმში უკრაინა მკვიდრად დამაგრდება. მაგრამ კიდევ ერთი რუსი ავტორის (ტრენინი) აზრით, რუსეთისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ ნატოს წევრობა უკრაინას მუდამ განზიდავს რუსეთის გავლენის სფეროდან.

მიუხედავად თქმულისა, ჟურნალის აზრით, კრემლს ჯერ საპანიკო არაფერი სჭირს. თუმცა ამერიკელებს ამ ორი ქვეყნის ნატოში გაერთიანება უნდათ, ამ ალიანსის სხვა წევრები სულაც არ არიან ამ საქმის ენთუზიასტები. ჯერ ერთი, ორსავე რევოლუციას („ვარდებისას“ და „ნარინჯისფერისას“) უკვე კარგა მაგრად გადაეცალა დემოკრატიის პეწი. გარდა ამისა, ბევრი ევროპელი წევრი ფიქრობს, რომ ნატო უამისოდაც საკმარისად დიდია და ზოგი ახალი წევრი მასში დროზე ადრე შეუშვეს. ზოგს არც ის უნდა, რომ ნატომ მაინცდამაინც უფრო სწრაფად იმოძრაოს აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე ევროკავშირმა, ზოგსაც, უბრალოდ, რუსეთთან დაპირისპირება აშინებს („ვის აქვს საქართველოს დარდი?“ — მოჭმუხნული ამბობს რონდელი.).

„სააკაშვილიც და იუშჩენკოც ეძებენ კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ მიღწევას. ორივეს თვალში ნატოს წევრობა უფრო მიღწევადია, ვიდრე ევროკავშირისა. ბუტენკო ირწმუნება, რომ უკრაინამ შეიძლება ნატოში შესვლა შეძლოს 2008 წელს. მაგრამ შესაძლებელია, ისე მოხდეს, რომ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს ავსებდეს კომპლიმენტების ჯაჭვით, რომლებიც გამოთქმული იქნება „დიალოგებისა“ და „სამოქმედო გეგმების“ ჟარგონზე, და ეს პროცესი ბევრად უფრი დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე 2008 წელია“.

***რედაქციისაგან:*** ჩვენთვის, ქართველებისათვის, **The Economist-ის ამ არცთუ სიამოვნებით წასაკითხ წერილში არის რამდენიმე საინტერესო ცნობა (მინიშნება) იმის თაობაზე, თუ როგორ, რა ხარისხით და ერთგულების რა დოზით აწარმოებს საგარეო პოლიტიკას ორგული ყვითელნისკარტების ის ცნობილი გუნდი, რომელმაც საშინაო პოლიტიკა, პირველ ყოვლისა კი ეკონომიკა, დღევანდელ კატასტროფამდე მოიყვანა. ჯერ ერთი, რას ნიშნავს ბ-ნი რონდელის განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო ნავთობიან რუსეთსა და ნავთობიან ისლამის საუფლოს შორის ძევს, და იმაზე დუმილი, რაც ამ ფაქტიდან გამომდინარეობს: რომ საქართველო არც ერთს არ ეკუთვნის, როგორც იმავე ცივილიზაციის ნაწილი, და სწორედ ამიტომ არის იგი დასავლეთის (ფაქტობრივად, ერთადერთი) გენუინური პარტნერი და მოკავშირე ამ ზონაში. ამავე ბატონის განცხადება, რომ საქართველო იყო, მაგრამ აღარ არის ნარკოტიკების გზა და რომ იგი იყო (თუნდ ერთი წამის განმავლობაში მაინც, ოდესმე) ტერორისტთა თავშესაფარი, არის რუსული ცილისწამების ტექნიკური „შეცურება“ დასავლეთის საზოგადოებრივ აზრში, რაც პირდაპირ რუსულ-შეჭარდნაძისეულ განუკურნებელ ანტიქართულ სულისკვეთებას მეტყველებს, ისევე როგორც ამავე ავტორის უჰორიზონტობაზე ან მის ისევ რუსული წარმოშობის პესიმიზმსა და დეტერმინიზმზე მეტყველებს მისი „ოხვრა“ — „ვის აინტერესებს საქართველოო?“ (საქართველო ვის აინტერესებს ძალიან ინტენსიურად და რატომ, ეს დღეს ცნობილია საქმეში ოდნავ ჩახედული ყველა ადამიანისათვის). ასევე, სახელმწიფოს მმართველი ჯგუფის უპასუხისმგებლობაზე (უკეთეს შემთხვევაში) მეტყველებს ბ-ნ კუდავას ოპტიმისტური განცხადება, რომ ნატოში შესვლით გაბედნიერებული საქართველო „გამოარჩევს“, ანუ განსაკუთრებული სტატუსით გამოაცალკევებს აფხაზეთსაც (რაც ბუნებრივია და კანონიერია, თუ ამ სტატუსს სწორად განვსაზღვრავთ) და „სამხრეთ ოსეთსაც“, რომელიც მხოლოდ იმიტომ არსებობს ტერმინოლოგიურად, რომ მასში რუსეთის ჯარები დგანან და საქართველოს უმწიფარი პრეზიდენტი ჯიუტად ხმარობს ამ რუსი ბოლშევიკი ოკუპანტების მიერ მიღებულ ფსევდოტოპონიმს, რომელიც ადრე თუ გვიან საქართველოს მიერ ამ ტერიტორიის დაკარგვის წინამძღვარია.**

# ბალტიის ქვეყნები ნატოში

ჟურნალი The Economist-ი იხსენებს იმ დროს, როცა დიდი ეჭვები იყო ამ ქვეყნების მიღებაზე ნატოში, და ამ ეჭვების არგუმენტებს, რომლებიც ძალიან დაკლებულია, მაგრამ მაინც არსებობს დღესაც. რატომაა მიზანშეწონილი, რომ ნატოში იყოს ეს სამი პატარა ქვეყანა, რომლის არმიები ცუდად აღჭურვილი, ცუდად მომზადებული და ხშირად საეჭვო პირადი შემადგენლობის მყოლი ერთობებია, რომელსაც საბჭოთა დროიდან ალკოჰოლისა და უწესრიგობის ცუდი ჩვევები მოჰყვება? რატომ უნდა გაავრცელოს ნატომ თავისი დაცვის გარანტიები ასეთ საშარო და უსარგებლო მოკავშირეებზე? ეს და სხვა ამგვარი არგუმენტაცია მნიშვნელოვნად დაიფუშა იმ ორი წლის მანძილზე, რაც ეს ქვეყნები ნატოში არიან. რუსეთის დიდი ოხვრა-მუქარა მათი იქ შესვლის გამო ფუჭი აღმოჩნდა. ნატოს პრაქტიკული წვლილი იაფი და მცირეა: ოთხი უცხოური ავიაგამანადგურებელი, რომელიც ლიტვაშია ბაზირებული. სამაგიეროდ, ნატომ ბევრი მოიგო. ლიტვას ჰყავს სასარგებლო სპეციალური ძალები. დასავლელი ჯაშუშები კარგად ახასიათებენ თავის ესტონელ კოლეგებს. ესტონიასა და ლატვიას აქვს თანამედროვე რადარები, რომლებიც ღრმად იყურებიან რუსეთსა და ბელარუსში. „აქედან ჩანს ისეთი რამ, რაც არ ჩანს ნორვეგიიდან“, ამბობს ესტონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი.

კიდევ სხვა პლუსია მტკიცე ჯარისკაცები და მხარდამჭერი პოლიტიკოსები, რაც დღეს ევროპაში იშვიათობაა. ერთი დასავლელი მრჩეველი ამბობს, რომ მათი ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე მის ქვეყანაში ევროპაში. მათ ჰყავთ „რიგითები სამეცნიერო ხარისხებით, რომლებიც სამ-სამ უცხო ენას ფლობენ“. ტვინიანი აქაურები ძალიან არგიან ბალკანეთს, ბალტიისპირელი ჯარისკაცები ათეულობით მსახურობენ ერაყში და ასობით — ავღანეთში. მათ აქვთ „ლიბერალური წესები საქმეში ჩაბმისა, შეერთებული საკუთარი თავის მყარ კონტროლთან“, — ამბობს ესტონეთის სათავდაცვო კვლევების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი.

ბალტიისპირელებს შეუძლიათ სხვა ქვეყნებსაც რჩევა მისცენ, თუ როგორ უნდა გადააქციოთ მოძველებული არმიები უფრო პროფესიონალურ არმიებად. ბალტიის სათავდაცვო კოლეჯში ადგილობრივებთან ერთად უკრაინელები და ქართველები სწავლობენ. ბალტიისპირელები რომ პატარა ერთეული არიან, ამას, ცხადია, ვერავინ უარყოფს (თუნდაც პოლონეთთან შედარებით, რომელიც ყველაზე დიდია ნატოს ახალ წევრთა შორის). ბალტიისპირელებს ჰმართებთ უკეთესი მოპყრობა თავის ჯარისკაცებთან, ანუ მათი დაფინანსების გაზრდა.

ყველაზე დიდი გაკვეთილი, რასაც დასავლეთი იღებს ბალტიელების ნატოში ყოფნის გამოცდილებიდან, ის არის, რომ მათი ნატოში ყოფნა წყვეტს პრობლემებს, რომლებიც უამისოდ მუდმივი ჩირქის დენის წყარო იქნებოდნენ. ისინი რომ ნატოში არ იყონ, მუდმივი ჭიდაობა იქნებოდა დღეს აღმავლობის გზაზე მდგარ რუსეთთან. რაკი ნატოში არიან, ასეთი საკითხი აღარ მუსირებს“.

# „სომხური“ თავგადასავალი კენიაში

„სომხური“ ბრჭყალებშია იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ დადგენილა, „ძმები“ არტურ მარგარიანი და არტურ სარქისიანი მართლაც ძმები არიან და მართლაც სომხები, როგორც თვითონ აცხადებენ, თუ არა (უფრო მეტიც: ეს ორი ახალგაზრდა თურმე ცდილობდა შთაბეჭდილება შეექმნა, რომ სომხეთის პრეზიდენტის ნათესავები არიან). მათი საქმიანობა იყო „რეიდების“ ჩატარება, ანუ თავდასხმა კენიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შტაბ-ბინაზე დედაქალაქ ნაირობში იმ მიზნით, რომ ალიკაპი ჩამოეცვათ მეტისმეტად გაჯეჯილებული პრესისათვის, რომელიც პრეზიდენტს მვაი კიბაკის უტევს, განსაკუთრებით, მისი იმ ნაწილისათვის, რომელიც კორუფციის ეპიზოდების ჟურნალისტურ გამოძიებას ლამობს. პოლიციისა და მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო ამ ორი ახალგაზრდის სტილმა — შავმა სათვალეებმა, ოქროს ძეწკვებმა და ნაღდი ფულის დასტებმა. მათი „ლეგენდის“ უარყოფითი ნაწილი იყო „დაქირავებული მებრძოლები არ ვართო“, დადებითი ნაწილი — „პატივსაცემი ბიზნესმენები ვართო“. მათი სახლის გაჩხრეკვისას აღმოაჩინეს მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის ნომრები, ყალბი კენიური პასპორტები, ნიღბები და სხვა კომპრომატი.



ერთ-ერთი „ძმა“, რომელიც აცხადებს, აქ საფარისთვის (ნაირობისთვის) ვართო

# საქართველოს სატყეო მეურნეობის კოლაფსი

ამ ცოტა ხნის წინათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საზოგადოებას განსახილველად შესთავაზა დოკუმენტი „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია სახელმწიფო ტყეების მართვის და რესურსებით სარგებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით“.

„პოზიციის“ მთავარი ლაიტმოტივი ისაა, რომ დაასაბუთონ ტყეების გრძელვადიანი (50-წლიანი) იჯარით გადაცემის აუცილებლობა, რაც, ინკოგნიტო ავტორთა აზრით, კრიზისიდან გამოიყვანს ქვეყნის სატყეო მეურნეობას და შემოსავალს მოუტანს სახელმწიფოს.

თავიდანვე უნდა ითქვას – ამ დოკუმენტის გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი წარმოადგენს რომელიღაც ინგლისურენოვანი პროექტის უხეირო, ჩიქორთულ თარგმანს, გაუმართავი წინადადებებით და უცნაური ტერმინოლოგიით.

დოკუმენტი, დანართიანად, საკმაოდ დიდი მოცულობისაა (60 გვერდამდე) და მისი სრული განხილვა გაზეთში შეუძლებელია.

„პოზიციაში“ მოცემულია ცდა საქართველოს სატყეო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზისა და მისი მდგომარეობიდან გამოყვანის შეთავაზებისა, მაგრამ აქ ზოგადი ფრაზებით მანიპულირება უფროა, ვიდრე საქმის არსში ჩაწვდომა და მდგომარეობის ობიექტური ანალიზი.

გვთავაზობენ რა ტყეების გრძელვადიან იჯარას, ამ დოკუმენტში კონკრეტულად არაა მოცემული ტყის მერქნითი თუ არამერქნითი რესურსებით სარგებლობის ეკოლოგიზაციის ღონისძიებები, მითითებული არაა თუ როგორ, რა მეთოდებით და ხერხებით უნდა უზრუნველვყოთ ტყით უწყვეტი (მუდმივი) სარგებლობის პრინციპები, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ქვეყნის მოსახლეობის დაკმაყოფილება მერქნით, ეკოლოგიური წონასწორობის სტაბილურობის შენარჩუნება-გაძლიერება, ტყის პროდუქტიულობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლება, ტყეების კვლავწარმოება და ა.შ.

ყველაზე პარადოქსული და სავალალო კი მაინც ისაა, რომ, როგორც „დანართის“ სქოლიოდან ირკვევა, „პოზიციის“ ავტორებს ნიმუშად გამოუყენებიათ ვინმე ჯონ გრეის ნაშრომი „ტყეების კონცეფსიასთან დაკავშირებული პოლიტიკა და შემოსავლების სისტემები: ტროპიკული ტყეების პოლიტიკისა და მდგრადი მართვის (?!) თუ უზრუნველყოფის სფეროში არსებული სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და პოლიტიკა“. 2002.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაეროს (ფაო) მონაცემებით სწორედ ტროპიკულ ქვეყნებში გატარებული სატყეო მეურნეობის მართვის ამ „სანიმუშო“ პოლიტიკის წყალობით, ყოველწლიურად ამ სარტყელში დედამიწის პირიდან ქრება (ნადგურდება) დაახლოებით 15 მილიონი ჰა ტყე, მაშინ თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რას მოუტანს „ამ სანიმუშო პოლიტიკის“ დანერგვა ისედაც კოლაფსში მყოფ ქართულ სატყეო მეურნეობას.

საინტერესოა, „პოზიციის“ ავტორებმა რატომ აიღეს ნიმუშებად მაინც და მაინც ტროპიკული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ტყეები ულმერთოდ ნადგურდება, და რატომ არ ითვალისწინებენ და არ აანალიზებენ (არა მარტო ამ „პოზიციის“ ავტორები, არამედ სხვებიც) ისეთი ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებას ტყეების მართვაში, სადაც ტყეების სახელმწიფო საკუთრება მაღალ დონეზეა – მაგ., თურქეთში ტყეების 99% სახელმწიფოს საკუთრებაა, საბერძნეთში – 66, გერმანიაში – 59, შვეიცარიაში – 69 და ა.შ.



განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა ამ ქვეყნების გამოცდილების გადმოღება? რა სისტემით და როგორ სატყეო მეურნეობას აწარმოებენ ეს ქვეყნები სახელმწიფო ტყეებში? ისიც ხომ ფაქტია, რომ ბევრი ქვეყანა აწარმოებს კერძო ტყეების უკან დაბრუნებას – შესყიდვას. ჩვენ რატომ ვცდილობთ ველოსიპედის ხელმეორედ გამოგონებას?

დღეს საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემა კოლაფსშია ბოლო პერიოდში გატარებული არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის გამო.

ყველა ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში კარგად ესმით ტყეების მნიშვნელობა და ატარებენ ისეთ სატყეო პოლიტიკას, როგორიც ამ ქვეყნის ინტერესებს მიესადაგება.

ჩვენში კი ტყე ბევრს, ერთის მხრივ, მეწველი ძროხა, მეორეს მხრივ, ხეების უბრალო ერთობლიობა ჰგონია და ვერ აცნობიერებენ, რომ იგი ურთულესი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სასიცოცხლოდ საჭიროა ქვეყნის არსებობისათვის, ამიტომაა, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სატყეო მეურნეობას ხელისუფლება აფინანსებს ანუ აძლევს დოტაციებს.

ჩვენში კი სრული განუკითხაობა და ქაოსია. სატყეო მეურნეობა აღმოჩნდა გერის როლში: სატყეო მეურნეობებს აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა; სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი გადააქციეს გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციად; კატასტროფულად შემცირდა სატყეო სამუშაოების დაფინანსება, მოხდა თანამშრომელთა გაუმართლებელი შემცირება იმდენად, რომ ბევრგან ერთ ტყის მცველზე დასაცავად მოდის 4-6 ათასი ჰა ტყე; სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან არასპეციალისტები (მაგ., ქიმიკოსები, გეოლოგები, ტექნოლოგები და ა.შ.); ყოვლად გაუმართლებელია, რომ ყველა სახის ჭრები (მთავარი სარგებლობა, მოვლითი, სანიტარული ჭრები) გახადეს ტენდერების (აუქციონების) ობიექტი, დაინტერესებული მაფიოზური ჯგუფების გამო, რამაც ჩვენი ტყეები მიიყვანა სრულ კატასტროფამდე იმ მიზეზის გამო, რომ ტენდერში გამარჯვებული სუბიექტი ანუ ე.წ. ლიცენზიანტი, თავისთავად ცხადია, ჭრის საღ ხეტყეს და არა იმას, რაც პირველ რიგში სხვადასხვა სახის ჭრებითაა გათვალისწინებული, რის გამოც ჩვენი ტყეების სასაქონლო ღირებულება და პათოლოგიური მდგომარეობა სავალალოა, სხვადასხვა მავნებელ დაავადებათა გავრცელების წყალობით.

ე.წ. დემოკრატიისა და თავისუფალი მეწარმეობის დროში ქვეყანაში ფუნქციონირებს მრავალი ასეული ხეტყის სახერხი ლეგალური თუ არალეგალური საწარმო, რომელთა წარმადობა დიდად აღემატება ჩვენი ტყეების შესაძლებლობებს; ამიტომაა, რომ ქვეყნის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონის, ბორჯომის ხეობის ტყეები, სადაც ოფიციალური შემოწმებისას 300-ზე მეტი სახერხი აღირიცხა, კატასტროფის პირასაა; არაოფიციალური მონაცემებით, ლეგალური თუ არალეგალური გზით საქართველოდან ხე-ტყე გაედინება 40-ზე მეტ უცხო ქვეყანაში და ა.შ. და ა.შ.

აი, ის სავალალო სურათი, რაც გამოიწვია სატყეო მეურნეობის სისტემაში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გაუტარებლობამ და დილეტანტთა და მაფიოზთა ჯგუფების გაბატონებამ. სახელმწიფომ თითქმის ხელი აიღო ტყეების მართვაზე და სატყეო პოლიტიკის გატარება ხელში შეატოვა ან მოხალისე, ან დაინტერესებულ ჯგუფებს.

ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ ჩვენი ტყეების განადგურება უკიდურეს ზღვრამდეა მისული და სახეზე გვაქვს უღრმესი ეკოლოგიური კრიზისი აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

ტენდერების სახელმწიფო პოლიტიკის არასწორი მიმართულების გამო სახელმწიფო და სატყეო სისტემა კარგავს ტყეებიდან უზარმაზარ შემოსავალს და თავის მხრივ თითქმის არ აფინანსებს ტყეების აღდგენა-განახლების ღონისძიებებს.

არადა, ოფიციალური მონაცემებით, ჯერ კიდევ 1990 წლისთვის საქართველოს ტყეების თითქმის 20% ანუ 500 ათას ჰა-ზე მეტი დეგრადირებული იყო და საჭიროებდა აღდგენით ღონისძიებებს. არავინ უწყის, ბოლო 15 წლის განმავლობაში კიდევ რამდენი ათასი ჰა მიემატა ამ დეგრადირებულ ტყეებს; ფაქტი ერთია, ტყეებისადმი ასეთი უდიერი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო მკვეთრად გამოიხატა ეკოლოგიური კრიზისი თავისი თანმდევი ეკომიგრანტებით, რაც კიდევ უფრო ღრმავდება და რაზედაც, სანამ ჯერ კიდევ დროა, აუცილებლად უნდა დაფიქრდეს ხელისუფლება.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავლად ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენს ტყეებს იჯარა გადაარჩენს, ზოგიც კერძო საკუთრებას გვთავაზობს და ა.შ. და ეს ხდება ისე, რომ არ კეთდება ობიექტური სიტუაციური ანალიზი; არადა, სატყეო მეურნეობის გარდაქმნის ამ ე.წ. კონცეფცია-პოზიციებსა და პროექტებზე ასეულ ათასობით თუ მილიონობით დოლარი (გრანტი თუ კრედიტი) დაიხარჯა და იხარჯება. ეს თანხები რომ



სატყეო მეურნეობის განვითარებას მოხმარებოდა ან ხმარდებოდეს, იგი თანდათანობით გამოვიდოდა კრიზისიდან.

საქართველოს ტყეებისა და სატყეო მეურნეობის სისტემის ზემოაღწერილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „პოზიცია“ ანაქრონიზმად უნდა მივიჩნიოთ და ვაღიაროთ, რომ ახლანდელ ეტაპზე როგორც ტყის იჯარით, ისე კერძო საკუთრებაში გადაცემა ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ქვეყანა ამისთვის არანაირად – არც ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად, არც ფსიქოლოგიურად და ა.შ. მზად არაა.

დღევანდელ პირობებში არც ერთი მოიჯარე და კერძო მფლობელი არ დაიწყებს ტყეების აღდგენა-გაშენებას, რაც ასე სჭირდება ჩვენს დეგრადირებულ ტყეებს, არამედ, პირიქით, გაგრძელდება ტყეების უმოწყალოდ გაჩეხვა-განადგურება.

აქედან გამომდინარე, ტყეების შემდგომი გაჩანაგებისაგან და ეკოლოგიური კრიზისისაგან ქვეყნის გადასარჩენად საჭიროა სახელმწიფო პირით შემობრუნდეს ტყეებისკენ და აწარმოოს ისეთი სწორი პოლიტიკა, რომლის წყალობითაც მოგებას მიიღებს სახელმწიფოც და სატყეო სისტემაც. ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია სატყეო მეურნეობებს მიეცეთ სამეწარმეო საქმიანობის უფლება და გაუქმდეს ტენდერების მანკიერი სტილი.

ხელისუფლებისათვის რომ სატყეო მეურნეობის სისტემაში შექმნილი ნამდვილი სურათი უცნობია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ბატონმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს მრჩევლების ზეგავლენით, გააკეთა ფრიად შემაშფოთებელი განცხადება – კერძოდ ის, რომ უახლოეს ხანებში საქართველო უნდა გადაიქცეს განვითარებული სატყეო მრეწველობის ქვეყნად.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებული სატყეო მრეწველობა დღეისთვის ეს იქნება საქართველოსთვის ყელის გამოჭრა, რადგან ტყეების უკვე დაწყებულ განადგურებას მოჰყვება უკვე შორს წასული ეკოლოგიური კრიზისის გაღრმავება და ქვეყანა გაივსება ეკომიგრანტებით, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

დაბოლოს, ყველას უნდა ახსოვდეს ერთი რამ – საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ხოლო მისი ტყეების 98% მთის ტყეებია, მათ შორის კი 80% განლაგებულია დიდი დაქანების (21°) ფერდობებზე და ისინი განაპირობებენ ქვეყანაში ეკოლოგიურ წონასწორობას, მათს ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომ საჭიროა მეტად გაწონასწორებული და ფრთხილი სატყეო პოლიტიკის წარმოება.

**ბიძინა თავაძე,**
**ტოგო ბეროზაშვილი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები
საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვები“

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.